გაზეთი ზიარის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№1 (757) 9 – 10 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი

# საშობაო ეპისტოლე



გვ. 5–6

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორისა




გვ. 3

## თბილისის მერიის გენინსპექციის მაღალჩინოსანი კორუფციის კონკრეტულ ფაქტებს დებს

## „თუ ამ პირობას არ შევასრულებ, მოდით და შემაფურთხეთ!“



ვინ იქნებიან ირაკლი ალასანიას პარტიის ახალი სახეები და რომელ ბიზნესმენებს დაადგა თვალი ირაკლი ქალაგიშვილმა პარტიის დასაფინანსებლად

გვ. 4

## „ვისოლსა“ და „სოკარს“ მალე კონკურენტები გამოუჩნდება

ნავთობპროდუქტების ბაზარზე ზაალ იაკობიძის „სენტა“ ბრუნდება

გვ. 7

## რა პრობლემები აწუხებთ დმანისელებს



"არჩევნები ჩატარდა, მთავრობა შეიცვალა, განათლებული და ნიჭიერ ადამიანებს კი ყურადღებას მაინც არავინ აქცევს, როდის უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი?"

გვ. 10

## „არ არიან ესენი გმირები! მიგვატოვეს ბრძოლის ველზე და სასიკვდილოდ გაგვიმეტეს!“

რა ინფორმაციის მიწოდება უნდა კაპიტან უჩა გუგუჩიას პირადად ირაკლი ალასანიასთვის

გვ. 12

## „ტრასეკას“ სომხური განზომილება, ანუ ვის აძლევს ხელს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა

გვ. 13

# ბიძინა ივანიშვილი თავდაცვის აკადემიის კურსანტებს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებს შეხვდა. პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილი რეფორმები გააცნო. ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას სამხედრო განათლების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ქვეყანას განათლებული ჯარი უნდა იცავდეს. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით სამხედრო განათლების სფეროში ახალი ინვესტიციების ჩადებას გეგმავს.

**„ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს განათლება წარმოადგენს. დღეს სიმბოლურია, რომ განათლების სისტემაში პირველად თქვენთან მოვედი. წარმატების მისაღწევად საჭიროა, განათლებული საზოგადოება გვყავდეს. ის, რომ ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას სჭირდება ღირსეული დაცვა, ამასაც განათლებული ჯარი უნდა აკეთებდეს... ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ავაშენოთ ისეთი ქვეყანა, ისეთი ჯარი, და გვყავდეს ისეთი განათლებული და ღირსეული ოფიცრები, რომ საქართველოს დაცვაში მათ პრაქტიკულად, პრევენციის როლი შეასრულონ. ჯარისკაცი იმისთვისაა, რომ საკუთარ სამშობლოს ემსახუროს და მისი უსაფრთხოება დაიცვას“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აკადემიის სტუდენტებთან შეხვედრისას.

პრემიერ-მინისტრთან ერთად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი იმყოფებოდნენ. მათ ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინფრასტრუქტურა და მსმენელების საცხოვრებელი პირობები დაათვალიერეს. მინისტრებს მეგზურობა აკადემიის კომენდანტმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ნიკოლოზ აგლაძემ გაუწია.

**„თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ჰყავდეს განათლებული, ინტელექტუალურად განვითარებული და მოაზროვნე ჯარი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას პრემიერ-მინისტრი ეწვია. ჩვენ საკმაოდ დიდი შესაძლებლობები გვაქვს, რომ ასეთი განათლება მივცეთ ჩვენს მსმენელებს. პროფესია ჯარისკაცი არ იქნება მხოლოდ ვიწროდ სამხედრო პროფესიით შეზღუდული, მათ სერიოზული სამოქალაქო განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ“,** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მედიის წარმომადგენლებთან.

*„ვერსიანიუსი“*

# მემედ აბაშიძის ძეგლის გადატანას ითხოვენ



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ბათუმის მერიას წერილით მიმართავს და მემედ აბაშიძის ძეგლის სხვა ტერიტორიაზე გადატანას ითხოვს.

როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ავთანდილ ბერიძემ ბრიფინგზე განაცხადა, გარდა ამ საკითხისა, არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომელიც ბათუმის მერიამ უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრას.

ბათუმში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები გაზით ვაჭრობისა და მშენებლობის დროს: „ვთხოვეთ ბათუმის მერიას, დაუყოვნებლივ ემსჯელა და მოეფიქრებინა ადგილი, სადაც გადაიტანდა მემედ აბაშიძის ძეგლს, რომელიც საზოგადოების შეფასებით, შეუფერებელ ადგილზე დგას. ვაპირებთ, ხვალამდე წერილობით მივმართოთ მერიას და წარვუდგინოთ ჩვენს მიერ შედგენილი ნუსხა იმ საქმეებისა, რომლებიც მერიისგან დაუყოვნებლივ გადაწყვეტას ითხოვს“.

შეგახსენებთ, რომ მემედ აბაშიძის ძეგლი ბათუმის ზღვისპირა პარკიდან აბაშიძის სახელობის ქუჩაზე, 2005 წელს გადაიტანეს.

*„მედიანიუსი“*

# ნინო შუბლაძე „რუსთავი 2“-ის ეთერში „პოზიციით“ 18 ან 22 იანვარს ბრუნდება



ჟურნალისტი ნინო შუბლაძე „რუსთავი 2“-ის ეთერში „პოზიციით“ 18 ან 22 იანვარს ბრუნდება.

როგორც „პირველს“ ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, ნინო შუბლაძემ განუცხადა, პირველი გადაცემის ეთერში გასვლის თარილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე გადაწყდება და „პოზიცია“ ეთერში 18 ან 22 იანვარიდან, ყოველ სამშაბათსა და პარასკევს გავა.

ცნობისთვის, ჯერ კიდევ გასულ ზამთარს გახდა ცნობილი, რომ „რუსთავი 2“-ის ეთერში ნინო შუბლაძე ახალ პოლიტიკურ თოქ-შოუს ამზადებდა, შემდეგ გადაცემის გასვლის თარიღად 2012 წლის აპრილის ბოლო დასახელდა, თუმცა „პოზიცია“ ეთერში აღარ გავიდა და სექტემბერში, მაყურებელმა წინასაარჩევნო დებატები „რუსთავი 2“-ის ეთერით, „კურიერის“ ფორმატში იხილა.

**„კომპანიის შიდა რესურსები სხვანაირად გადანაწილდა და გადაწყდა, რომ წინასაარჩევნო დებატები საინფორმაციო გამოშვება „კურიერის“ ფორმატში გასულიყო“,** — განუცხადა მაშინ „პირველს“ შუბლაძემ.

*„პირველი“*

# სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთწლიანი გახდება



საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთწლიანი გახდება. ამის შესახებ ალასანიამ ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ტენ ბრუკსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა: „ბუნებრივად, ჩვენ შევამცირებთ სავალდებულო სამხედრო გაწვევის ვადებსაც და რაოდენობასაც. პირველ ეტაპზე, იგეგმება 12 თვემდე შემცირდეს სავალდებულო სამსახური. იანვრის ბოლოსკენ უკვე ცნობილი იქნება ზუსტი ხედვა ვადებში გაწერილი და მას საზოგადოებას წარვუდგენთ“.

*„პირველი“*

# კახა კალაძე: „სააკაშვილი საქართველოს მტერია“



საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, კახა კალაძის განაცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებებით ჩანს, რომ ის საქართველოს მტერია, რადგან მისი განცხადებები საქართველოში ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის.

ასე გამოეხმაურა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას, რომლის თანახმადაც, ჰიდროელექტროსადგურების ხობი 1-ის და ხობი 2-ის მშენებლობა შეჩერებულია.

კახა კალაძემ სააკაშვილის განცხადებას ტყუილი უწოდა.

მისი თქმით, აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ხელშეკრულების შესაბამისად, 2013 წლის მარტში დაიწყება და 2017 წელს დასრულდება.

**„მიხეილ სააკაშვილი განაგრძობს იმ დემაგოგიას, რასაც ცხრა წლის განმავლობაში აკეთებდა. ამ ჰესების მშენებლობა ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს და არანაირი შეფერხება არ ყოფილა. როდესაც ჩვენი მთავრობა დაინიშნა, შევხვდით ყველა ინვესტორს და გავუგზავნეთ წერილი, რომ ჩვენი მხრიდან იქნებოდა ხელშწყობა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით და საპასუხოდ, მათგნაც მივიღეთ მადლობის წერილი“,** — აღნიშნა კალაძემ და სააკაშვილს მოუწოდა, შეეშვას სიცრუესა და დემაგოგიას.

**„ბოლოდროინდელი განცხადებებით ჩანს, რომ ეს ადამიანი ჩვენი ქვეყნის მტერია, რადგან მისი განცხადებები საქართველოში ინვესტიციების შემოსვლას ხელს უშლის“,** — განაცხადა კალაძემ.

მან ჟურნალისტებს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ხობის ჰესის მშენებელი კომპანიისთვის, შპს GIG energy-სთვის გაგზავნილი წერილიც წარუდგინა, სადაც ენერგეტიკის სამინისტრო მშენებელ კომპანიას ჰესების მშენებლობაში მხარდაჭერას უცხადებს, რის საპასუხოდაც GIG energy-მ საპასუხო წერილი გამოუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ მათი მხრიდან ხობიჰესის მშენებლობისთვის გაკეთდება ყველაფერი პროექტის დათქმულ ვადებში განსახორციელებლად.

*„მედიანიუსი“*

# მთელ საქართველოში თოვლია მოსალოდნელი



სინოპტიკოსები მთელი საქართველოს მასშტაბით თოვლიან ამინდს ვარაუდობენ.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში მოსალოდნელია თოვლი, ღამით ძლიერი. იქროლებს დასავლეთის მიმართულების ქარი, 8-13 მეტრი წამში. ჰაერი 1-დან 6 გრადუსამდე გათბება.

სინოპტიკოსებს ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოშიც თოვლია მოსალოდნელი, ზოგან ძლიერი. მაღალ მთაში მოსალოდნელია ქარბუქი. დაუბერავს დასავლეთის მიმართულების ქარი 10-15 მეტრი წამში, ჰაერის ტემპერატურა კი 0-5 გრადუსი დაფიქსირდება.

ამინდის გაუარესების გამო, გუდაური-კობისა და სტეფანწმინდა-ლარსის გზის მონაკვეთებზე ზვავსაშიშროებაა.

თბილისშიც თოვლია მოსალოდნელი, თუმცა დროგამოშვებით, აქაც იქროლებს ჩრდილო დასავლეთის მიმართულების ქარი, 10-15 მეტრი წამში. ჰაერი 3 გრადუსამდე გათბება.

*„მედიანიუსი“*

# ირაკლი ალასანია: „საქართველოს შეიარაღებული ძალების მთლიანად საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა იგეგმება“



თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, 2016 წლისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების მთლიანად საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა იგეგმება.

მისივე თქმით, დაგეგმილია სავალდებულო გაწვევის ვადებისა და რაოდენობის შემცირებაც

**„პირველ ეტაპზე იგეგმება სავალდებულო სამსახურის ვადის 12 თვემდე შემცირება. ასევე, გვაქვს სურვილი და ვგეგმავთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები მთლიანად გადავიდეს სამხედრო საკონტრაქტო სამსახურზე. აქედან გამომდინარე, ეტაპობრივად, შევამცირებთ სავალდებულო გაწვევის რაოდენობასაც“,** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა და დასძინა, რომ ამ საკითხზე დეტალურ ინფორმაციას იანვრის ბოლოს გაავრცელებენ.

*„მედიანიუსი“*

# მცხეთა-მთიანეთში 18 სოფელი გარესამყაროსაა მოწყვეტილი



მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ხადას ხეობასა და უკანა ფშავში 18 სოფელი გარესამყაროსაა მოწყვეტილი. ხადას ხეობაში თოვლის საფარი 1 მეტრს, უკანა ფშავში კი 80 სანტიმეტრს აღწევს. სოფლებამდე მისვლას მაღალი გამავლობის მანქანებიც ვერ ახერხებენ.

როგორც ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, გადაუღებელი თოვის გამო, გზის გაწმენდა ვერ ხერხდება.

ხადას ხეობაში, ამ დროისთვის, სულ 6 ოჯახი ცხოვრობს. რამდენიმე დღეა, მილის დაზიანების გამო, ხეობას ბუნებრივი აირიც აღარ მიეწოდება და მოსახლეობას გათბობის პრობლემა აქვს.

„ძალიან დიდი თოვლია ხადას ხეობაში, დაახლოებით 1 მეტრი. ორი დღის წინ გავწმინდეთ გზა, მაგრამ გადაუღებლად თოვს. ტრაქტორი გვაქვს და ხვალ ალბათ ისევ გავწმენდთ გზას“, – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა, ვანო ებრიალიძემ.

**„80-სანტიმეტრიანი თოვლია, უკანა ფშავის ყველა სოფელი გარესამყაროსაა მოწყვეტილი. სამი დღეა თოვს, თუ გადაიღებს, ხვალ გზას გავწმენდთ“,** – აღნიშნა უკანა ფშავის რწმუნებულმა, ნუგზარ გუშარაშვილმა.

უკანა ფშავის 12 სოფელში, ამ დროისთვის, 10-მდე ოჯახი ცხოვრობს.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# თბილისის მერიის გენინსპექციის მაღალჩინოსანი კორუფციის კონკრეტულ ფაქტებს დებს



## იოსებ ჯუღელი: „მარტო ტრანსპორტის, კეთილმოწყობისა და პარკირების სამსახურების შემოწმებაც კმარა, უგულავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას!“

ნელი თორდია

**როგორ „ათეთრებდნენ“ ფულს უგულავას უწყებაში, როგორ ასხვისებდნენ კანონდარღვევით საგანმანათლებლო ობიექტების მიწებს და რა გარიგებაა საჯარო რეესტრსა და ზოგიერთ კომერციულ ბანკს შორის — თბილისის მერიის გენერალური ინსპექციის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების ყოფილი უფროსი იოსებ ჯუღელი „ვერსიას“ მერიაში მუშაობის პერიოდში აღმოჩენილ დარღვევებსა და თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, მის წინააღმდეგ განხორციელებულ ზეწოლაზე ესაუბრება.**

— იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროში ვმუშაობდი, როცა მერიის გენერალური ინსპექციის უფროსად გურამ საღარაძე დაინიშნა. სწორედ ამ დიდებული ადამიანის მუშაობის პერიოდში დავინიშნე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების უფროსად. ჩვენ გვევალებოდა მერიის დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური შემოწმება, მოქალაქეთა განცხადებების მიღება-შესწავლა, დასკვნების გამოტანა და შემდგომი რეაგირებისთვის მთავრობის სხდომაზე გატანა. სწორედ იმიტომ, რომ „შიდა სამზარეულოს“ ამბები დაემალა, გიგი უგულავამ თავისი მერობის პერიოდში, მიზანმიმართულად გაანადგურა გენერალური ინსპექცია და პროფესიონალი თანამშრომლები ქუჩაში გამოყარა. დასამალი კი უგულავას, ძალიან ბევრი ჰქონდა... კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების უფროსად მუშაობის პერიოდში

**განცხადებით მომმართეს ვაჟა-ფშაველაზე,128-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებმა. საკითხი შევისწავლე და გავარკვიე, რომ თბილისის მაშინდელმა მთავრობამ კანონდარღვევით გაასხვისა სკოლის ნაკვეთი. მთავრობის გადაწყვეტილება გავაუქმეთ და მიწის ნაკვეთი სკოლას დავუბრუნეთ, მაგრამ ყველაზე საინტერესო შემდეგ მოხდა, როცა ხელისუფლებაში მოსულმა „ნაციონალებმა“, აღნიშნული დარღვევის გამო, ქონების მართვის სამმართველოს უფროსი დააპატიმრეს და იგივე მიწის ნაკვეთი თვითონ გაასხვისეს. დაახლოებით, იგივე მოხდა საფეხბურთო სკოლა „ავაზასთან“ დაკავშირებითაც. ჩემს სამსახურს განცხადებით მიმართა ცნობილი ფეხბურთელის, მიხეილ მესხის მეუღლემ ქეთევან მესხმა და აცნობა, რომ სკოლა ზეწოლით წაართვა უდესიანმა. სკოლა ძველ მეპატრონეს დავუბრუნეთ, თუმცა „ნაციონალებმა“, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ისევ უდესიანს ჩაუგდეს ხელში.**

**— მერიიდან თქვენი გამოშვება ამ საქმეებს ხომ არ უკავშირდება?**

— სამსახურიდან 2006 წლის სექტემბერში გამომიშვეს, თუმცა მანამდე ბევრი „ნაციონალის“ გადამტერება მოვასწარი. ცოტა ხანს ჭიაბერაშვილთანაც მომიწია მუშაობა, რომელსაც ნაკლებად აინტერესებდა ადამიანის პარტიული კუთვნილება, თუმცა უგულავა მისგან რადიკალურად განსხვავებულია. რა თქმა უნდა, ასეთ მერს არ მოეწონებოდა, როცა „ნაციონალებს“ ბიუჯეტისთვის ფულის დამალვასა და ფინანსურ მაქინაციებში ვამხელდი. მახსოვს, მერიის შპს „შუქნიშანს“, რომელსაც გაქანებული „ნაციონალი“ ხელმძღვანელობდა, მარტო ერთ პატარა ოპერაციაში ბიუჯეტისთვის დამალული 88 000 ლარი ვუპოვეთ. წარმოიდგინეთ, სხვაგან რა ხდება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ტრანსპორტის, კეთილმოწყობისა და პარკირების სამსახურების საფუძვლიანი შემოწმებაც კმარა იმისთვის, რომ უგულავას წინააღმდეგ საქმე აღიძრას.

**— ამ სამსახურებში უკვე მაკონტროლებლები მუშაობენ, თუმცა შესაძლოა, თქვენსავით არ იცოდნენ, სად და რა უნდა ეძებონ.**

— მინდოდა ბატონ ხადურთან შესვლა, რათა მერიაში მიმდინარე შემოწმებაში ღიად, საზოგადოებრივ საწყისებზე ჩართვის საშუალება მქონოდა. თუ გვიან არ არის, ახლაც მზად ვარ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დავეხმარები და დავადგენ, მაკონტროლებლები სწორი გზით მიდიან თუ არა.

**— ეჭვისთვის, რაიმე ობიექტური გარემოება არსებობს?**

— ზოგჯერ, მაკონტროლებლები შემოწმებისთვის ისეთ აბსურდულ გზას ირჩევენ, რომ მტკიცებულებებს ვერ დებენ და ყველაფერი სადავო ხდება. ამის დაშვება არაფრით შეიძლება.

**უნდა გაარკვიონ, რამდენი ავტოსადგომია თბილისში და სად მიდის იქიდან შემოსული ფული? მაშინ, როცა თბილისში ერთი კუთხეც არ არის დარჩენილი, სადაც პარკირების ნიშანი არ დგას, ერთი ქრონომეტრაჟი არ ჩატარებულა. დედაქალაქში, დაახლოებით, მილიონნახევარი ადამიანი ცხოვრობს, ყველა ოჯახს მანქანა არა ჰყავს, მაგრამ უხეში გათვლებით, სამ-ოთხ ოჯახზე ერთიც რომ ავიღოთ და პარკირების საფასურზე, 50 ლარზე გადავამრავლოთ, უზარმაზარი თანხები გამოვა. საინტერესოა, სად წავიდა ეს თანხა და რა განვითარდა, როდესაც თვალით არავის უნახავს დაპირებული პარკირების აპარატურა.**

*დასასრული მე-8 გვერდზე*



# 2013 წლის კონფლიქტები

ჯოშუა კუცერა

EURASIANET.org

**ერთი წლის წინ, ჩვენს რუბრიკაში The Bug Pit გამოითქვა პროგნოზები იმის თაობაზე, რომ ორი, ყველაზე შესაძლო კონფლიქტი შეიძლება, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გაჩაღებულიყო: ან აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ან ტაჯიკეთში. ფართომასშტაბიან კონფლიქტს 2012 წელს რეგიონი გადაურჩა, მაგრამ ეს ორი მოვლენა სერიოზულად გართულდა: აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ბაქოს მიერ რამილ საფაროვის შეწყალების გამო, ხოლო ტაჯიკეთში ზაფხულში, ხოროგაში სერიოზული საბრძოლო მოქმედებების დროს.**

2013 წელს, როგორც ჩანს, შესაძლო კონფლიქტების კერად კვლავ ეს ორი ადგილი დარჩება, თუკი დავუშვებთ იმ ალბათობას, რომ რეგიონში კონფლიქტი მაინც გაჩაღდება (შარშანდელი ვერსიით, მესამე კონფლიქტის ყველაზე რეალური სცენარი იყო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი სწორედ უზბეკეთს და ყირგიზეთს, ან ტაჯიკეთს შორის. თუმცა არც ეს პროგნოზი გამართლდა, და 2012 წელს საზღვარზე შეტაკებებისა და სამხედრო ნაწილების გადაადგილების რიცხვი შემცირდა, ის, რაც 2011 წელს დაძაბულობის გამწვავებას უწყობდა ხელს).

ერთი წლის წინ, საკმაოდ რეალური ჩანდა სამოქალაქო არეულობისა და კიდევ უარესი მოვლენების განვითარების შესაძლებლობა საქართველოში იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში 2012 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი არჩევნების ფონზე, ძალიან მწვავე კონკურენცია არსებობდა. ეს არ მოხდა. ამ რაიონშიც, როგორც ჩანს, კონფლიქტი ნაკლებ სავარაუდოა, ვიდრე ერთი წლის წინ, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანამ დაამტკიცა ის, რომ პოლიტიკური ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის უნარი გააჩნია, ხოლო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოტენციურად ცვალებად ხასიათს ოპოზიციური მთავრობა გააკონტროლებს.

მაშ, რა ადგილებისთვის ღირს ყურადღების მიქცევა რეგიონში 2013 წელს? როგორც ყოველთვის, ეს სომხეთი და აზერბაიჯანია; აზერბაიჯანელმა ანალიტიკოსმა რაზი ნურულაევმა „ტვიტერში“ დაწერა, იმის გამო, რომ 2013 წელს ორივე ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებია, „ამ წელს სომხეთი და აზერბაიჯანი უპირატესობას მიანიჭებენ საომარ რიტორიკას, ორმხრივი მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე, წელს არ იგეგმება“. თუმცა, მუდმივი დაძაბულობა კონფლიქტის ხაზზე მთიან ყარაბაღში, აზერბაიჯანის მხრიდან სამხედრო ძალის ზრდა და საომარი რიტორიკა ქმნის იმის პირობებს, რომ პატარა შეცდომის ან ინციდენტის შემთხვევაში, სიტუაცია კონტროლს აღარ დაექვემდებაროს.

და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონფლიქტის რისკი შემცირდა, ქვეყანა, შესაძლოა, საკმაოდ რთული გეოპოლიტიკური მოვლენების არენად იქცეს, რადგან პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გეგმებს — კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს აშშ-სა და ნატო-სთან და იმავდროულად, გააუმჯობესოს რუსეთთან კავშირები, როგორც ჩანს, წელს გამოცდა ელის (და პირველ რიგში, კრემლის მხრიდან), რასაც შეიძლება დაძაბულობა მოჰყვეს.

შარშანდელის მსგავსად, „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფმა“ „ცენტრალური აზიის“ ტერიტორია „2013 წლის ათი პოტენციური კონფლიქტის“ სიაში შეიყვანა. აქ შედიან ტაჯიკეთი, ხელისუფლების მემკვიდრეობითობის კრიზისი უზბეკეთში, სოციო-ეკონომიკური დაძაბულობა ყაზახეთში და ნაციონალურ ნიადაგზე არსებული დაძაბულობა ყირგიზეთში. „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ მსგავსად, იმის მტკიცებას, რომ ამ ყველაფერს შეიძლება კონფლიქტი მოჰყვეს, არ დავიწყებ, მაგრამ დინამიკა, უდავოდ, საკმაოდ შემაშფოთებელია.

ცენტრალურ აზიაში მთავარი თემა იქნება მზადება 2014 წლისთვის, როდესაც აშშ და საერთაშორისო კოალიციის ძალები ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას დაიწყებენ. ბოლომდე არავინ იცის, როგორი პროცესი იქნება ეს, მაგრამ რეგიონის ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ სამხრეთიდან არასტაბილური ვითარების გავრცელების გამო. მათ უმრავლესობას არ გააჩნია საგარეო საფრთხის თავიდან აცილების რესურსი, მაგრამ ეს ვაკუუმი შეიძლება რუსეთმა შეავსოს „კოლექტიურ უსაფრთხოებაზე შეთანხმების ორგანიზაციის“ საშუალებით. მიმდინარე წელს, რომელსაც 2014 წელი მოსდევს, ეს ორგანიზაცია შეეცდება იმის მტკიცებას, რომ ის არა, უბრალოდ, სალაყბო ორგანოა, როგორადაც დღემდე გამოიყურებოდა, არამედ რეალური ინსტრუმენტი უსაფრთხოების სფეროს პრობლემების გადაჭრისთვის.

2012 წელს, რეგიონმა შეძლო, თავი აერიდებინა რამდენიმე გასროლისთვის (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით), განსაკუთრებით, ტაჯიკეთსა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში. ამტკიცებს თუ არა ეს, შექმნილ სიტუაციებს, მიუხედავად მათი სიმწვავისა, გააჩნიათ იმის რესურსი, რომ არ აფეთქდნენ? თუ 2012 წლის მოვლენებმა ხელი შეუწყო არასტაბილური ვითარების გამწვავებას, მოამზადა რა, საბოლოო ჯამში, ნიადაგი რაიმე კატალიზატორისთვის, რომელიც ფართომასშტაბიან კონფლიქტს გამოიწვევს? იმედი ვიქონიოთ, რომ 2013 წელს, ჩვენი ყველაზე ცუდი პროგნოზები არ გამართლდება.

# „თუ ამ პირობას არ შევასრულებ, მოდით და შემაფურთხეთ!“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სახე, გია ჭანტურიას თანამებრძოლი, საქართველოს პატრიარქის ფონდის მთავარი მენეჯერი, ორი წლის წინ პოლიტიკაში დაბრუნებული ირაკლი ქადაგიშვილი ახლა, სახელისუფლო პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარეა. ქადაგიშვილმა საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებები საზოგადოებას ყველა ეტაპზე აუხსნა და, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მეორედ მოსული, ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს: რატომ შეირჩა ირაკლი ალასანიას პარტიის ლიდერად, რის გამო დაუპირისპირდება თუნდაც, თანაკოალიციელებს და რის სანაცვლოდ სთავაზობს ბიზნესმენებს მის პარტიაში ფულის ჩადებას — ირაკლი ქადაგიშვილი „ვერსიის“ კითხვებსა და ოპონენტების ბრალდებებს პასუხობს და რთულადშესასრულებელ გარანტიებსაც იძლევა:**

**— „გაღლეტილი“ ოპოზიციური პარტიის წევრიდან, სახელისუფლო პარტიის თავმჯდომარედ იქეცით. გრძნობთ განსხვავებას, ბატონო ირაკლი?**

— ამ არჩევნებში ხალხმა მთელი ენერგია ჩადო და ახლა ცოტა მოეშვა, ამიტომ ვცდილობთ, ჩვენი მხარდამჭერები ყოველდღიური, პარტიული ცხოვრების რიტმში ნელ-ნელა დავაბრუნოთ და ვიწყებთ ინტენსიურ მუშაობას რაიონული ორგანიზაციების გაძლიერებისთვის. საქართველოში უნდა დამთავრდეს მდიდარი სახელისუფლო პარტიისა და გაღლეტილი ოპოზიციის ეპოქა! ოპოზიციაში მოხვედრა გამარგინალებას, დაშლა-განადგურებას არ უნდა ნიშნავდეს, ხელისუფლებაში მოსვლა კი იმას, რომ შენი პარტიის წევრები მილიონრები და ქვეყნის დამაქცევრები გახდებიან. ხელისუფლებით ტკბობასა და ნაციონალური მოძრაობისა თუ მოქალაქეთა კავშირის გზის გავლას ნამდვილად არ ვაპირებთ.

**— წინასწარ როგორ შეგიძლიათ, ასე, დაბეჯითებით მითხრათ, ხიბლში არ ჩავცვივდებითო, როცა 4 წლის პარტია ჯერ სამი თვეა ხელისუფლებაშია?**

— როგორც კი ხიბლში ჩავვარდები, ამ 4 წელში მოპოვებული წარმატება წავა პოლიტიკური ისტორიის ჩრდილისკენ და შესაძლოა, მერე სანაგვეზეც მოხვდეს! ეს ყველაფერი გააზრებული გვაქვს. ქვებს არც ოპოზიციაში ყოფნის დროს ვისროდით და არც ხელისუფლებაში მყოფები ვაპირებთ ხალხის ჩაქოლვას. უბრალოდ, პასუხისმგებლობის ხარისხი ჩვენთვის ერთიორად გაიზარდა — ადრე სხვას ვაკრიტიკებდით, ახლა თავად მოგვიწევს კრიტიკაზე პასუხის გაცემა და მიცემული დაპირებების შესრულება.

**— შეგიძლიათ, მოსალოდნელ კრიტიკას ახლავე უპასუხოთ — აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველაზე მეტი „თავისუფალი დემოკრატია“, რომლებიც ამავდროულად, პარტიულ ლიდერებად რჩებიან. ეს არჩევნების დროს უხერხულობას არ შეგიქმნით?**

— ჩვენი სახეები აღმასრულებელ ხელისუფლებაში რომ არიან და პარტიის პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესშიც ჩაერთვებიან, კანონთან კოლიზიას არ ქმნის. კანონის მოთხოვნა რომ ყოფილიყო, სხვა თემაა, მაგრამ პარტიიდან ახლა მათი წასვლით, ჩავთვლიდი, რომ ამ ადამიანებმა თანამდებობები „გაინაღდეს“ და პარტიისა თუ ხალხის წინაშე აღებული ვალდებულებებისგან ხელის დაბანა უნდათ! ირაკლი ალასანია იმიტომ გადადგა თავმჯდომარეობიდან, რომ ძალოვანი უწყება აბარია და ჯარის, პოლიციის პოლიტიზების თემა მთლიანად გამორიცხა. მეორე მხრივ, მომავალი არჩევნებისთვის პარტიის მომზადებას ფიზიკურად ვერ მოასწრებდა.

**— მე კი თქვენი გულწრფელობისა არ მჯერა, როცა ამბობთ, დიდი ხნის მეგობარი ალასანიასგან, რომელიც სოხუმში გაიცანით, ამ პოსტის შემოთავაზებას არ ელოდით.**

— მაშინ მოვილაპარაკეთ, რომ მე პარტიის თავმჯდომარე გავხდებოდი — გამოიცანით! რეალურად, არჩევნების შემდეგ მკითხა, მინდოდა თუ არა წასვლა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საკითხი მარტივად დავსვი — რა უფრო უპრიანი იქნებოდა საქმისთვის. საუბარი 2 დღეს გაგრძელდა და გადაწყვეტილებაც მივიღე. იცით, აღმასრულებელი ხელისუფლებაც ვნახე, მანქანაც მემსახურებოდა და ხალხს ეგონა, ოქროს კოშკები მექნებოდა, მაგრამ თუ პოლიტიკაში პოლიტიკისთვის მოდიხარ, ეს შენთვის მხოლოდ სამსახური არ არის. შემოთავაზება ადამიანურად მოულოდნელი და სასიამოვნო იყო და მე ის მივიღე. რაც შეეხება უხერხულობას არჩევნებში — ვეცდებით, ყველას ჰქონდეს ღია დებატების საშუალება, სატელევიზიო ეთერში, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ნულამდე დავიყვანოთ, პოლიცია წარმატების მიღწევის იარაღი აღარ იყოს და ალასანია იქნება თუ სხვა ლიდერი, საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდას მხოლოდ კანონის ჩარჩოებში ეწეოდეს.

**— მინიმუმ, საარჩევნო კანონია ამისთვის შესაცვლელი, განსაკუთრებით, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ნაწილში და უკვე იცით, ეს როგორ უნდა გააკეთოთ?**

— ისე, როგორც ახლა ვაკეთებთ. როცა გამსახურდია სამოქალაქო დაპირისპირებით შეცვალეს, ახალმოსულმა ხელისუფლებამ პირდაპირ გააუქმა იმდროინდელი საკრებულოები, რაც, ჩვენს შემთხვევაში, აზრად არავის მოსვლია. მეორე მომენტია, თავად საკრებულოებში მიმდინარე შიდაგადაადგილებები, რაც ახალი პოლიტიკური რეალობის გამო დაიწყო. ხალხმა ცვლილებას ხმა მისცა, მაგრამ ამ ცვლილებების დანახვა ადგილზე, გამგეობებში სურთ. შესაბამისად, ოქტომბერში დაწყებული პროცესი საკრებულოებში გაგრძელდა. კოალიციის პოლიტიკური ნება კი ის იყო, რომ საკრებულოების რღვევა არ მომხდარიყო.

**ვინ იქნებიან ირაკლი ალასანიას პარტიის ახალი სახეები და რომელ ბიზნესმენებს დაადგა თვალი ირაკლი ქადაგიშვილმა პარტიის დასაფინანსებლად**



**— ამიტომ ახლა პასუხს აღარ აგებთ თქვენი პარტიის წევრის მიერ გამგეობის კარის აჭედვაზე?**

— რომელიმე საკრებულოში ადამიანებმა საერთო ენა თუ ვერ გამონახეს და ერთმანეთს ცუდად მოექცნენ, მათი პრობლემაა. ჩვენი მხრიდან, პროცესი, მეტ-ნაკლებად მშვიდობიანია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან მმართველობის ეს ფორმა ადამიანს ყველაზე ხშირად ეხება და მისგან ყველაზე დიდ ბენეფიტსაც ელის, თუმცა მიმაჩნია, რომ სოფელში გაფუჭებულ შარაგზაზე პასუხი ძველებურად პრეზიდენტსა და პრემიერს აღარ უნდა მოვთხოვოთ.

**— აქაც თვითმმართველობის შესახებ კანონია შესაცვლელი, რამდენიც უნდა იძახოთ, საკონსტიტუციო უმრავლესობამდე 5-4 კაცი დარჩაო.**

— ამ ეტაპზე, ხალხისთვის მიცემული წინასაარჩევნო დაპირებების შესასრულებლად, საკონსტიტუციო უმრავლესობა მაინცდამაინც არ გვჭირდება. ეს ჩვენი თვითმიზანი და აუცილებლობა რომ ყოფილიყო, მიღწეულიც იქნებოდა!

**— „ნაციონალური“ მეთოდებით — ფულით, მუქარით, ამის გამოცდილება გვაქვს!**

— ჰოდა, ნუ გავიხსენებთ ძველ გამოცდილებას ახალ ხელისუფლებასთან მიმართებაში. ეს ჩვენთვის საჭირო რომ ყოფილიყო, ალბათ, ხალხის მოთაფვლას, გადმობირებას, ჭკუის გადაბრუნებას დავიწყებდით. ჩვენი საპარლამენტო ძალებით კი ბევრი რეალური ცვლილების მიღწევა ისედაც შეგვიძლია. მიმაჩნია, რომ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა 2013 წლის 5 იანვარს ამოიწურა, მერე, უკაცრავად გამოთქმისთვის, ითაღლითა და ხელისუფლება 9 თვით გაიხანგრძლივა. ეს მის ნამუსზე იყოს, მაგრამ ვამბობთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ამაზე თვალს ვხუჭავთ.

**— თუმცა, ხალხის დიდი ნაწილის დაკვეთა სააკაშვილის დღესვე წასვლაა, პარლამენტი და ალასანია კი მას სახიფათოდ „ეთამაშებიან“, თვითმფრინავებსა და დაცვას ართმევენ, რაც არ ტოვებს სტაბილურობის განცდას!**

— არავინ არავის ეთამაშება, აქ ძალიან მკაცრი პოლიტიკაა, რაც პრეზიდენტის ინსტიტუტიდან დაწყებული, ნებისმიერ სამინისტროს უნდა შეეხოს, რათა არც ერთი პოსტი უკიდეგანო ფანტაზიების დაკმაყოფილებას არ ემსახურებოდეს! რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს, უბრალოდ, „ნაციონალები“, როგორც ადრე, ისე ახლა, ალასანიას სააკაშვილის პირდაპირ კონკურენტად აღიარებენ და კრიტიკის დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ისრები, ძირითადად, სწორედ მისკენაა მიმართული.

**— რასაც ხელს უწყობს კოალიციაც.**

— ჩვენი პარტიისთვის ირაკლი ალასანია პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატურა იყო, მაგრამ მას მერე, საქართველოში „ბევრმა კონსტიტუციამ ჩაიარა“, ახალი კონსტიტუციით კი ამ ინსტიტუტის რაობა იცვლება.

**— პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა ხდება და არ გაწყობთ ირაკლი ალასანია ასეთ პრეზიდენტად, გასაგებია...**

— ნომინალური არ ხდება, მაგრამ უფლებამოსილება მნიშვნელოვნად ეზღუდება. ნებისმიერ შემთხვევაში, რაკი კოალიციური მთავრობა ვართ, პრეზიდენტობის საერთო კანდიდატზეც შევჯერდებით. 2014 წლის არჩევნებზე კი, პოლიტიკური ფონის მიხედვით გადაწყდება, კვლავ კოალიციურ რეჟიმში დავრჩებით თუ ყველა პარტია ცალკე გავა.

**— როგორც უნდა იყოს, არჩევნების მოსაგებად პარტიას სახეები სჭირდება — ამდენი ლიდერი რომ „გაეცით“ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ახლა ვის ვიხილავთ „თავისუფალი დემოკრატების“ ავანგარდში?**

— ახალი სახეებიც წამოვლენ, მაგრამ ის ლიდერები, ვისზეც საუბრობთ, „თავისუფალ დემოკრატებად“ რჩებიან. ახალი სახეები ახლა მოდიან პარტიაში, ეს ორი წელი მათ თავიანთ სოფლებსა და რაიონებში გამოკვეთს. დღესვე შემიძლია გითხრათ, რომ მომავალი არჩევნებისთვის ყველაზე მთავარ, რეგიონული მართვის სამსახურს თემურ სალუქვაძე უხელმძღვანელებს, თბილისის ორგანიზაციას კი სათავეში გიორგი მუსხელიშვილი ჩაუდგება.

**— ახლა რა ვითარებაა პარტიაში — ოფისი გამოგიცვლიათ, რაიონული ორგანიზაციების გაძლიერებას გეგმავთ და ალბათ, ვერავის დააჯერებთ, რომ ივანიშვილს თქვენთვის უზარმაზარი თანხა არ გადმოურიცხავს.**

— რას ამბობთ, გვაქვს დაფინანსება ბიუჯეტიდან, როგორც პარლამენტში გასულ პარტიას და დაფინანსების მოზიდვას საკუთარი ძალებით ვაპირებთ. დღეს თავისუფალია ბიზნესსივრცე სახელისუფლო წნეხისგან და მათ არავინ უკრძალავს, თავიანთი პოლიტიკური სიმპათიის მიხედვით, შემოწირულობის გაკეთებას. ახლა სწორედ ამ გეგმაზე ვმუშაობთ.

**— ძალიან გაგიჭირდებათ — რას პირდებით, რა გარანტიას აძლევთ მუდმივად ხელებგადაგრეხილ და დაშინებულ ბიზნესმენებს, პარტიის დაფინანსების სანაცვლოდ და ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ თქვენც დაშინება-დაშანტაჟების გზით არ წახვალთ?**

— გპირდებით, მსგავსი აღარაფერი მოხდება და თუ ამ პირობას არ შევასრულებ, მოდით და შემაფურთხეთ! პირველ რიგში, იმაზე შევთანხმდეთ, რომ ბიზნესმენი არც ერთ ჩვენგანზე ნაკლებად არ აგებს პასუხს ქვეყნის განვითარებაზე. ის უნდა იყოს პოლიტიკური პროცესის მონაწილე, მაგრამ გარანტიაც უნდა ჰქონდეს, რომ ბიზნესგარემოს განვითარებას ხელს შევუწყობთ. ჩვენ ამ ხალხს მათი ინტერესების დაცვას ვპირდებით და თუ საგადასახადო უწყება ან რომელიმე სამინისტრო ამ ინტერესების წინააღმდეგ წავა, უკვე ჩვენ გავილაშქრებთ! პირდაპირ გეტყვით, თვალი ყველა ბიზნესმენს ერთდროულად დავადგით და თებერვლის დასაწყისში, მათთან შეხვედრასაც ვამზადებთ, სადაც ყველა მათგანს ღია შეთავაზებას გავუკეთებთ და ჩვენს ხედვებსაც გავაცნობთ. გარწმუნებთ, ხელების გადაგრეხვით დახმარების მიღებას არავისგან ვაპირებთ და თან, კოალიციის რეჟიმში ვმუშაობთ, ამიტომ ძალიანაც რომ გვინდოდეს, არავინ მოგვცემს საშუალებას, ვინმეს რამე გამოვძალოთ!

## ვერსიანიუსი

### ვერა ქობალია: „სამწუხაროდ, მედიის განვითარებისთვის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ 4 ორგანიზაცია მონაწილეობდა“



საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის, ვერა ქობალიას განცხადებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების პროგრამებისთვის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ ოთხი ორგანიზაცია მონაწილეობდა.

როგორც „პირველს“ საკონკურსო კომისიის წევრმა, ვერა ქობალიამ განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს საკმაოდ კარგი გაშუქება ჰქონდა, აქტიურობა ძალიან დაბალი იყო: **„სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხმა ორგანიზაციამ შემოიტანა განაცხადი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს საკმაოდ კარგი გაშუქება ჰქონდა და ინფორმაცია გავრცელდა როგორც ტელევიზიით, ასევე ინტერნეტით და პრეზიდენტის ვებ-გვერდით. აქტიურობა ძალიან დაბალი იყო. ვიმედოვნებ, მომავალში, არასამთავრობო სექტორი უფრო აქტიური იქნება“.** რაც შეეხება იმას, რა კრიტერიუმით შეარჩია საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ და ზაზა დარასელის ჟურნალისტიკის განვითარების ფონდი, ქობალიას თქმით, ოთხი კონკურსანტიდან, პირობები მხოლოდ ამ ორმა დააკმაყოფილა: **„ოთხიდან ერთმა, მინიმალური მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. სამი დარჩენილი პროექტიდან კი ერთს არ ჰქონდა წარმოდგენილი ბიუჯეტი და პროექტის ფინანსური ნაწილი. კომისიამ სცადა, ორგანიზაციის თავმჯდომარე გასაუბრებაზე მოეწვია და საშუალება მიეცა, ფინანსური ნაწილი წარმოედგინა, მაგრამ სამწუხაროდ, ორგანიზაციის ხელმძღვანელი კონტაქტზე არ გამოვიდა. ამდენად, კონკურსის პირობები მხოლოდ მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტმა და ზაზა დარასელის სახელობის ჟურნალისტიკის განვითარების ფონდმა დააკმაყოფილეს და თანხა მათი წინადადებების მიხედვით გადანაწილდა. ცნობისთვის, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების პროგრამებისთვის 800 ათასი ლარი მიიღო".**

*„პირველი“*

# საშობაო ეპისტოლე

## უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორისა



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“ (I პეტრე 5.5)

მადლობა უფალს, რომ კვლავ გავხდით ღირსნი, მოგვესმინა ანგელოზთა საოცარი საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2.14).

ყოვლადწმიდა სამების მოწყალებით „სიტყვა ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის სავსე მადლითა და ჭეშმარიტებით“(იოანე 1.14).

დიახ, „დღეს დავითის ქალაქში დაიბადა... მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკა 2.11) და უწოდებენ სახელად ემმანუელს, რაც თარგმანებით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი“ (მათე 1.23).

გიხაროდეთ, ერნო, „რაც არ უხილავს თვალს, არ სმენია ყურს და არც კაცს გაუვლია გულში, ის განუმზადა ღმერთმა თავის მოყვარეთ“ (Iკორ.27.6).

მაშ, მივეახლოთ მას და თაყვანი ვსცეთ, ვითარცა მწყემსთა ბეთლემისათა და შევწიროთ ძვირფასი ძღვენი, ვითარცა მოგვთა აღმოსავლეთისათა.

იგი მოვიდა ამქვეყნად, რათა მოუხმოს თავის ცხოვართ და აზიაროს ისინი ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ვინ შეიძლება შემოგვთავაზოს უკეთესი არჩევანი? ანდა რა შეიძლება იყოს ამაზე მეტად სანუკვარი?! მაგრამ ამას ბევრი ვერ ხვდება, არამედ მხოლოდ ისინი, რომელნიც სიცოცხლის აზრს სწორად აცნობიერებენ.

საერთოდ, ყოველი გონიერი ადამიანი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას, — რისთვის არის ამ ქვეყანაზე და რა უნდა აკეთოს? ეს კი ცხოვრების საზრისის, ანუ სამყაროში თავისი ადგილის პოვნას, გულისხმობს. თუმცა არსებობენ ისეთნიც, რომელნიც ასეთ კითხვას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უსვამენ საკუთარ თავს და მიწიერ ყოფას უმიზნოდ და, შესაბამისად, უაზროდ ამთავრებენ. საზოგადოების ნაწილი კი თავის მრწამსს, თავის დანიშნულებას საკუთარ წარმოდგენაზე, ან სხვადასხვა თეორიისა და რელიგიის სწავლების საფუძველზე აყალიბებს. მათი ქმედება, რა თქმა უნდა, მოტივირებულია და ხშირად წარმატებულიც ამ ქვეყანაზე, მაგრამ სულის ცხონება, რაც ყველაზე მთავარია და არსებითი, ამ გზით ვერ მიიღწევა.

ყველასგან განსხვავებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ცხოვრების საზრისი. მას შეიძლება „ქრისტესმიერი გონება“ ეწოდოს, რადგან იგი, პირველ რიგში, სულიწმიდის მადლმოსილებას გულისხმობს, შემდეგ კი ადამიანურ შესაძლებლობებს.

„ქრისტესმიერი გონის“ შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რასაც წმიდა პავლე მოციქული ჭეშმარიტ სიყვარულზე წერს, რომ იგი არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ შურს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ მოიწონებს უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფერს ითმენს, ყოველთვის იმედი აქვს. ამ სულისკვეთებით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები.

ქართული სულის ერთ-ერთი სახასიათო თვისება შოთა რუსთაველმა ასე გამოთქვა: „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“. ზოგიერთი ვერ ხვდება მის შინაარსს, რადგან, მიწიერი ლოგიკით, სხვისთვის მიცემული ნივთი თუ ქონება გამცემს აღარ ეკუთვნის და ეს ნათქვამი, ბუნებრივია, მისთვის გაუგებარია.

არადა, აღნიშნული აფორიზმი შეიცავს ღრმა ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის უკვდავების შესახებ. მორწმუნეს სწამს, რომ მის მიერ აღსრულებული უანგარო ქველმოქმედება სათნოა ღვთისათვისაც და ადამიანისათვისაც. ამასთან, იცის, რომ რასაც გასცემს ამქვეყნიურ დროებით ყოფაში, მას მარადიულ ცხოვრებაში დაიუნჯებს და ეს არის მიზეზი მისი სულიერი სიხარულისა, ხოლო რასაც არ გასცემს, ბუნებრივია, ის მას მარადიულ ყოფაში მოაკლდება.

ამიტომაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულის სულისთვის, ლოცვასთან ერთად, მის სახელზე მოწყალების გაღება აუცილებელია, რაც დიდად შეეწევა გარდაცვლილს.

სწორედ ასეთი აზროვნებიდან მომდინარეობს ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, თანადგომისა და თავგანწირვის უნარი; ისიც, რომ იგი ყველაზე ძვირფასს, სიცოცხლეს, უშურველად წირავდა მოყვასისა თუ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ეს დამოკიდებულება იმდენად შეისისხლხორცა ჩვენმა ერმა, რომ იგი მის განუყოფელ თვისებად იქცა.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

— საუკუნეებია შთამომავლებს დევიზად გადაეცემათ ეს სიტყვები. ასე იზრდებოდნენ თაობები; რა თქმა უნდა, მათ შორის მუდამ იყვნენ კარიერისა და პირადი კეთილდღეობის სურვილით საკუთარი მეობისა და ქვეყნის ინტერესების ნებაყოფილობით უარმყოფელნი და საზოგადოებისათვის ცუდი მაგალითის მიმცემნი, მაგრამ დღემდე სწორედ იმიტომ მოვაღწიეთ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი გაჰყვა არა მათ, არამედ ჩვენი ეროვნული მეობისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულებს.

ახლა დრო შეიცვალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება; განსხვავება კი იმაშია, რომ თუ ადრე დაპირისპირებული მხარეების საჯარისო ნაწილები ომობდნენ, ახლა ბრძოლა ადამიანის საზრისის, ანუ აზროვნების წესისთვის, მიმდინარეობს, რაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით ხორციელდება;

ძირითადად ამ გზით ვრცელდება ფსევდოკულტურა და ანტირელიგიურ ღირებულებათა სისტემები, რომელთა ქვაკუთხედსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას ეგოიზმი წარმოადგენს. ეგოიზმის წინ წამოწევა კი ხელს უწყობს პიროვნებაში მომხმარებლური და მომხვეჭელური მისწრაფებების განვითარებას, რაც იწვევს საზოგადოების საერთო დეგრადაციას, ხოლო გარემოში — ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უარყოფითი საინფორმაციო ველი ყველაზე მეტად მომავალ თაობაზე მოქმედებს. ისინი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორთან და ინტერნეტთან ატარებენ და, ფაქტობრივად, არავინ არის მათი სწორად ფორმირებისათვის ხელისშემწყობი, რადგან სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც სათანადოდ ვეღარ ასრულებენ აღმზრდელობით ფუნქციას, არც მშობლებს სცალიათ შვილებისათვის; ეკლესიაც მასთან მისულთა მიმართ ძირითადად აღსარებითა და ზიარებით იფარგლება. ეს ასე აღარ უნდა გაგრძელდეს და რეალური ნაბიჯები უნდა გადავდგათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამისთვის კი არსებული ვითარება სწორად უნდა შევაფასოთ.

ფაქტია, რომ ელექტრონული მასმედიით, უარყოფითთან ერთად, ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც ვრცელდება ყველა სფეროში. ამაშია გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე და სწორედ ეს უნდა გამოვიყენოთ სათანადოდ.

ვფიქრობთ, ამიტომაც კარგად უნდა ავითვისოთ ახალი ტექნოლოგიები და მათი საშუალებითაც უნდა გავუჩინოთ ახალგაზრდებს ღრმა აზროვნების სურვილი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, რათა დააფასონ სხვათა ღირსება და მათგან კეთილი შეითვისონ.

მაგრამ ყოველივე ამას შეძლებს მხოლოდ ის, ვისაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული ეროვნულ-ქრისტიანული საზრისი. ამისთვის კი აუცილებელია, ვასწავლოთ მათ საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ქართული ფოლკლორი, კულტურა და ჩვენი ქრისტიანული ტრადიციები..., ჩვენ უნდა შევქმნათ კონკურენტუნარიანი საინფორმაციო გარემო, რომელიც ზემოაღნიშნულ ფასეულობებს დაეფუძნება და მათ თანამედროვეობასთან შეაზავებს. ეს კი დიდად დაეხმარება ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად გასცენ პასუხი დროის გამოწვევებს.

ამაშია საქართველოს გადარჩენა. ახლა კი თქვენს ყურადღებას საქართველოს ისტორიაზე შევაჩერებ. სამწუხაროდ, ჩვენი უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რაც ქართველთა წარმომავლობასა და ერის ერთიანობას უკავშირდება, რეალური სახით თანამედროვე საზოგადოებამ ნაკლებად იცის. ამის მიზეზი არის ის, რომ ცარიზმი და საბჭოთა იმპერია ყოველთვის ცდილობდნენ, იგი არაობიექტურად წარმოეჩინათ. მათ არ სურდათ, ჩვენს ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, რადგან იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საშიშროებას შეიცავდა. არაობიექტურად მიწოდებული ისტორიის საფუძველზე, სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ შეიქმნა, მაგალითად, ავტონომიები, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში.

ადრეც მითქვამს, რომ სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ ცენზურას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა ისეთი მიმართულებები, რომელნიც მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ დარგებად მიიჩნეოდა.

ჩვენს ცნობილ მკვლევარებს დიდი ძალისხმევა და თავდადება დასჭირდათ, რათა ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ და დღემდე მოეტანათ ჩვენი ერის ისტორიული სიმართლე.

ახლა კი, როდესაც აღსდგა საქართველოს თავისუფლება, აუცილებელია, შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე (აღნიშნულ საკითხზე ბოლო სხდომაზე იმსჯელა წმ. სინოდმა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება). ამას ჯერ კიდევ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში ცდილობდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი, მაგრამ მათი ნააზრევი მაშინდელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საპირწონედ, ბუნებრივია, ვერ იქცა.

მაგალითად, გავიხსენოთ წმიდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიაღს, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ ურარტუელთა სამ მთავარ ღვთაებას შორის უპირველესს „ქალდი“ერქვა.

„ურარტუელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცნი“, — წერს იგი „ქვათა ღაღადში“და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამყარებს.

თავის ცნობილ ნაშრომში, — „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, — კათოლიკოს-პატრიარქი კირიონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველნი შთამომავალნი არიან ქალდეველთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

საყურადღებოა, რომ „ქალდი“ დღესაც ჰქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები. „ქალდეად“ ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვაც.

ამ ტოპონიმთან დაკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „კუალად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენეს იგინიცა ქართლს“.

სიტყვა „ქალდიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც“, რომელსაც, ალბათ, უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა.

სინამდვილეში „ქალდი“ საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის, ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან“ მომდინარეობს.

ამდენად, ქალდი — ქართი — ქართლი — ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია. საერთოდ, ეს საკითხი შემდგომ კვლევასა და გაღრმავებას საჭიროებს. საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ჩვენმა გენმა გაუძლო ათასი ჯურის გარეშე ძალებისა და სხვადასხვა იმპერიის არაერთ მცდელობას, რომ გავეთიშეთ და დავენაწევრებინეთ; ჩვენ შევძელით, საკადრისი პასუხის გაცემა მათს ვერაგულ ქმედებებზე და დღემდე ერთობითა და ერთსულოვნებით მოვაღწიეთ. ჭკვიან მტერსა და უგუნურ მოყვასს დღესაც უნდა ჩვენი გაყოფა, მაგრამ, ღვთის მოწყალებით, ამას ვერ მიაღწევენ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ვიყოთ არა როსტომ ხანის, არამედ ცოტნე დადიანის მემკვიდრენი.

ჩვენი ერის ერთიანობის უნიკალურობა ჩვენს საოცარ მრავალფეროვნებაშია. ყველა კუთხე თავისებურებებით გამოირჩევა: განსხვავებულია მათი სიმღერა, ცეკვა, სამოსი, სამზარეულო, მეტყველება, კილო; მაგრამ ამავე დროს ყოველივე ეს ერთიანი ქართული სულის განუყოფელი ნაწილია.

ხასიათიც განსხვავებული გვაქვს; ზოგი უფრო ფიცხია, ზოგი დინჯი, ზოგი იუმორით სავსეა, ზოგიც მკაცრი, ზოგი სიტყვაძუნწია, ზოგი სიტყვამრავალი, ზოგი უფრო ალღოიანია, ზოგი კი დამყოლი ბუნებისა და მიამიტი...; მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად, გვახასიათებს მთავარი საერთო თვისებებიც: სიყვარულის ნიჭი, მადლიერების განცდა, გულწრფელობა და სიალალე...

დასასრული მე-6 გვერდზე

# საშობაო ეპისტოლე

## უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორისა

*მე-5 გვერდიდან*



ჩვენს ერს ყოველთვის ჰქონდა მადლიერების გრძნობა ღვთისადმი. ამის დადასტურებაა საუკუნეთა მანძილზე, — განსაკუთრებით კი ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს, — აშენებული ეკლესია-მონასტრების სიმრავლე. ეს განცდა მას ათეისტურმა საშინელმა რეჟიმმაც კი ვერ ჩაუკლა. ამიტომაცაა, რომ ახლა, პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიუხედავად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხანგრძლივი კრიზისისა, მიუხედავად გარედან თავსმოხვეული შეიარაღებული კონფლიქტებისა, ხალხის ძალისხმევით ათასობით ეკლესია-მონასტერი აღდგა და აშენდა, ამჟამად კი ღვთის სადიდებლად და სამადლობლად, მრევლის შესაწირით, შეიქმნა უნიკალური ხატი, „საქართველოს იმედი“, რომელზეც ჩვენი ეკლესიის ყველა წმიდანი და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობნი არიან გამოსახულნი, რათა მათი მეოხებით გადავრჩეთ და გადარჩეს ჩვენი ქვეყანა; ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფლის წინაშე ვალი მოვიხადეთ და გასაკეთებელი აღარაფერი გვაქვს.

ურწმუნოთა 70-წლიანმა ბატონობამ ჩვენს საზოგადოებას ღრმა კვალი დააჩნია, და დაამახინჯა ჩვენი ცხოვრების წესი და აზროვნება; სხვადასხვა სახით ეს დღესაც ვლინდება. მათ შორის მადლიერების განცდასთან მიმართებაშიც.

ღვთისადმი მადლიერების გამოხატვა საჭიროა როგორც მთელი ერისთვის, ისე ცალკეული პიროვნებისთვის, რადგან ასეთი დამოკიდებულება მადლის მოპოვების უმარტივესი და ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.

სახარებაში ვკითხულობთ, რომ განკურნებული ათი კეთროვანიდან მხოლოდ ერთი, სამარიტელი, დაბრუნდა მაცხოვართან მადლობის სათქმელად და ამიტომაც ღირსი გახდა შემოქმედი ღმერთი შეეცნო და ცხონების გზა ეპოვა, ხოლო დანარჩენმა ცხრა განკურნებულმა კეთროვანმა, რომელნიც აბრაამის შთამომავალნი იყვნენ და „სასუფევლის ძედ“ იწოდებოდნენ, უმადურობით დაკარგეს უფალი.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ საიდუმლო სერობის შემდეგ ღვთის უდიდეს საიდუმლოს ნაზიარებ იუდას გულითადი მადლობა რომ ეთქვა იესო ქრისტესთვის, იმ საშინელ დაცემას თავიდან აიცილებდა. ამიტომაც, იუდა ღალატთან ერთად, უმადურობის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

მადლიერების გრძნობა ღვთისაგან გვაქვს მონიჭებული, — წერენ მამები, — და თვით ადამიანური ბუნება გვიბიძგებს ასეთი დამოკიდებულება გვქონდეს ჩვენთვის მზრუნველთადმი. შინაური ცხოველები და მხეცებიც კი ავლენენ სიყვარულს კეთილისმყოფელთადმი და რაოდენ გვმართებს, ეს განცდა გამოვხატოთ მის მიმართ, რომლისგანაც შეიქმნა ყოველი, რომელმაც მოგვმადლა ქვეყანა „უთვალავი ფერითა“, მოგვანიჭა სიცოცხლე, გონება, თავისუფალი ნება, ჯანმრთელობა, სიყვარულის უნარი, ბედნიერების განცდა, სამყაროს აღქმა, რომელიც გვითენებს ყოველ დღეს, გვაძლევს საკვებს, სითბოს, ჰაერს, წყალს და, რაც ყველაზე მთავარია, თავისი ჯვარცმისა და მსხვერპლშეწირული სიყვარულის ფასად ბოძებული წარუვალი ნეტარი ცხოვრების შესაძლებლობა.

განა შეიძლება, რომ ყოველ წამს არ ვგრძნობდეთ მის მზრუნველობას, ვიყოთ ყოველივე ამის მომხმარებელნი და არ გამოვხატავდეთ მისდამი გულწრფელ მადლიერებას?!

ვიქცევით კი ასე?

ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად მადლიერებას, ასე თუ ისე, ადამიანებისადმი უფრო ვიჩენთ, ვიდრე უფლის მიმართ. მოჩვენებით მადლიერებას კი, როგორც ყველაფერ ფარისევლურს, აზრი არა აქვს და სისაძაგლეა იგი ღვთისა და კაცის წინაშე. გავიხსენოთ კაენისა და აბელის მაგალითი. რატომ შეიწირა ღმერთმა აბელის მიერ მირთმეული სამადლობელი ძღვენი, ხოლო კაენისა — არა? იმიტომ, რომ აბელმა თავისი ქონების საუკეთესო ნაწილი გაიღო და ეს უფლისადმი მთელი სიწრფოებითა და მადლიერებით გააკეთა, კაენმა კი უგულოდ, მოვალეობის მოხდითა და ამპარტავნებით.

სწორედ ამიტომ განიძარცვა იგი მადლისაგან და დაეუფლა საშინელი შური ძმის მიმართ, შემდეგ კი იმდენად დაეცა, რომ ყურად აღარ იღო აღარც შემოქმედის გაფრთხილება: „თუ სიკეთის მქმნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე“ (დაბ.4.7) და მკვლელობის უსაშინელესი ცოდვის პირველი ჩამდენი გახდა.

ამის მთავარი მიზეზი კი უმადურობა იყო.

უმადურობა ამპარტავანთა, ანუ ყველაზე დიდი და საშინელი ცოდვის მქონეთა, ერთ-ერთი თვისებაა; მაშინ, როდესაც გულწრფელი მადლიერება თავმდაბლობის გამოხატულებაა და ასეთ ადამიანებს ახასიათებთ.

ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ ყველაფრისათვის, მათ შორის ავადმყოფობისა და სხვადასხვა განსაცდელთათვის, რადგან უფლის განგებულებით აღესრულება ყოველი და იგი აუცილებელია ჩვენი სულიერი აღზრდისა და ცხონებისათვის.

„ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს... და თუ შორს ხართ აღზრდისაგან ..., ნაბუშრები ხართ და არა შვილები“ (ებრ.12,6,8), — გვასწავლის პავლე მოციქული.

შეჭირვებისა და მწუხარების მადლიერებით დათმენის საუკეთესო მაგალითია კონსტანტინეპოლის პატრიარქი, წმ. იოანე ოქროპირი. იგი იყო მსოფლიო ეკლესიის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, გამორჩეული თეოლოგი, მჭერმეტყველი; მისი ნაშრომები დღესაც სამაგიდო წიგნებია ქრისტიანული რელიგიით დაინტერესებულთათვის.

წმ. იოანე ოქროპირი როგორც საზოგადოებაში, ისე სამეფო კარზე უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ შურითა და ცილისწამებით სავსე ადამიანებმა იმდენი შეძლეს, რომ იმპერატორის ბრძანებით პატრიარქობიდან გადააყენეს და უსამართლოდ დევნილი და შეურაცხყოფილი გადასახლებაში გაგზავნეს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი — საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, სოფ. კომანში, სადაც აღესრულა კიდეც.

ასეთი დამცირების მიუხედავად, იგი სიცოცხლის ბოლომდე ქრისტეს ერთგულ მხედრად დარჩა და მაცხოვრისა და მოყვასის სიყვარული არასოდეს დაშრეტია; პირიქით, აქედან ანუგეშებდა ბიზანტიაში დარჩენილ თავის სამწყსოს და მოუწოდებდა, ნებისმიერ სიტუაციაში მადლიერნი ყოფილიყვნენ უფლისა.

სწორედ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის“, რაც, ფაქტობრივად, პავლე მოციქულის ნათქვამის გამეორებაა: „მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის, რადგან ასეთია თქვენდამი ნება ღმრთისა ქრისტე იესოში“. (I თესალ. 5.18) ასეთი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მძიმე მდგომარეობას უნდა შევეგუოთ და ხვედრს დავმორჩილდეთ, ანუ ბედისწერის შესახებ არასწორი სწავლება გავიზიაროთ.

არა, მუდამ საჭიროა ლოცვა და სწორი ქმედება, როგორც ბრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და — ჰპოვოთ“ (მათე 7.7) ოღონდ, ამას არ უნდა ახლდეს დრტვინვა და მრისხანება, არამედ შემოქმედისადმი ყოველივე მადლიერებით უნდა აღესრულებოდეს და თუ ჩვენი სურვილი იმ ეტაპზე ჩვენი სულისთვის სასარგებლოა, მაცხოვარი აუცილებლად შეისმენს მას.

გავიხსენოთ მართალი იობი, როგორი სიმშვიდით, მოთმინებითა და მადლიერებით მიიღო მან თავსდატეხილი დიდი განსაცდელი; სანაცვლოდ კი უფალმა ამქვეყნადვე მრავალწილად დაუბრუნა ქონებაც, დიდებაცა და პატივიც.

სამწუხაროდ, ათეისტური აზროვნების გავლენითაა, რომ განსაცდელის დათმენა და მადლიერებით მიღება თანამედროვე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სრულიად გაუგებარია, რადგან ისინი ასეთი დამოკიდებულების კეთილ შედეგს მიწიერ ყოფაში ვერ ხედავენ და, ამასთან, არ სჯერათ, რომ გარდაცვალების შემდეგ მარადიული სიცოცხლე იწყება. ამიტომაც ესწრაფვიან დიდებასა და კეთილდღეობას ამქვეყნად.

ურწმუნო ადამიანი როდესაც სიკეთეს აკეთებს, ფიქრობს, რომ მხოლოდ იგია მადლიერების ღირსი და მას ეკუთვნის სათანადო დაფასება. იგი ვერ აცნობიერებს, რომ ასეთი ქველმოქმედება პირადად მისთვის ახალი დიდი ცოდვის მიზეზი ხდება, რადგან ქება ამპარტავნებას უძლიერებს და მის სულს კიდევ უფრო აზიანებს.

ხოლო, როდესაც მორწმუნე აღასრულებს სიკეთეს, ამას უფლის სახელით იქმს და ამასთან, მადლობს შემოქმედს, რომ საშუალება მისცა სხვისთვის სიხარულის მინიჭებისა; ხარობს გაცემით, თუმცა თავს აღსრულებული ქველმოქმედების მხოლოდ გამტარად, საშუალებად აღიქვამს, ამიტომაც ჩრდილში ყოფნას ირჩევს და მადლობას და დიდებას უთმობს ღმერთს.

უფლისა მადლიერებას ყოველდღიური ლოცვებიც გვასწავლის, ხოლო ვინც ჯერ კიდევ ეკლესიურად არ ცხოვრობს და ეს ლოცვები არ იცის აუცილებელია, გულში მაინც თქვას მადლობა თუნდაც საჭმლის მიღების შემდეგ; ასეთი მცირედი წრფელი ქმედებაც კი მადლს მოაპოვებინებს და ცხონების გზას აპოვნინებს მას.

ამ თემაზე განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მადლიერება უმთავრესი ქრისტიანული სათნოებათაგანია და მასთან დაკავშირებით ჩვენი დამახინჯებული დამოკიდებულებები, აუცილებლად, უნდა გამოვასწოროთ.

მაშინ, როდესაც მოიწევა აღსასრული, „წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა“ (Iკორ.13.8), როდესაც რწმენაც განხორციელდება და აღსრულდება სასოებაც, ადამიანის სულს სასუფეველში მხოლოდ სიყვარულის გრძნობა და მადლიერების განცდა გაჰყვება. იგი ჭეშმარიტი სიყვარულის თანმდევია ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და მასთან ერთად ზეიმობს მარადიულ ნეტარებაში.

წმ. ამბროსი ოპტინელი წმ. პავლე მოციქულის დარიგების გათვალისწინებით, გამოყოფს ოთხ უმთავრეს სათნოებას და გვასწავლის: 1) იყავით მრავლის დამთმენნი; 2) მარადის ხარობდეთ; 3) მუდამ ილოცეთ; 4) მადლიერნი იყავით ყოველთვის; და ამასთან აღნიშნავს, რომ ამ სათნოებათა მოპოვება ბოლოდან ანუ მადლიერებით უნდა დავიწყოთ, რათა მადლი შევიძინოთ.

მადლი არ იყიდება და არც სხვა საშუალებით გადაეცემა. ნებისმიერმა ჩვენგანმა თვითონ უნდა ილვაწოს, იმდენი მადლი მოიპოვოს, რომ ცხონდეს. ამისთვის კი თავმდაბლობა უპირველესი პირობაა. უფალი ბრძანებს: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოანიჭებს მადლს“ (I პეტრე 5.5).

ამასთან, ადამიანს რაც უფრო მაღალი აქვს თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა, მადლმოსილებაც მეტი მართებს. მადლმოსილ პიროვნებათა სიმრავლე ქმნის ერის კეთილდღეობას, მადლის სიმცირე კი ხშირად განაპირობებს მის განსაცდელში ყოფნას. ჩვენი პრობლემების უმეტესობაც მადლის ნაკლებობიდან მომდინარეობს.

მართალია, ულმერთობის ხანა დასრულდა და ხალხი ეკლესიური გახდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილის სარწმუნოება მაინც ნელ-თბილია, რადგან ყველაფერს გარეგნულად უგულოდ აკეთებენ. ქრისტეს სახელი მხოლოდ გონებასა და ბაგეებზეა, გულში კი ისევ „ძველი კაცი“ სახლობს. ისინი, მართალია, ამბობენ აღსარებას და ასრულებენ საეკლესიო წესებს, მაგრამ, ამავე დროს, მათთვის უცხო არ არის განკითხვა, ცილისწამება, ამპარტავნება, სიცრუე, ეჭვი, უსიყვარულობა, გულგრილობა, სიზარმაცე, შური, მრისხანება...; დაცემა და ადამიანური სისუსტენი ყველას აქვს, მაგრამ „მორწმუნეთა“ ამ ნაწილისათვის ორმაგი სტანდარტებით ცხოვრება მისაღები გახდა და შეეჩვივნენ ამ მდგომარეობას. ღმერთისთვის კი ასეთნი მიუღებელნი არიან და, ბუნებრივია, არც მათი სათხოვარი შეისმინება.

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ: „ვიცი საქმენი შენნი; არც ცივი ხარ და არც ცხელი; ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო, ან ცხელი. მაგრამ რაკი ასე ნელ-თბილი ხარ... ამიტომ ამოგანთხევ პირისაგან ჩემისა“ (3. 15-16).

ღმერთმა ნუ ქნას ამ მდგომარეობაში დაამთავროს ვინმემ სიცოცხლე. მაშ, მოვიკრიბოთ შინაგანი ძალა, ვისწავლოთ სწორი დამოკიდებულება ღვთისადმი და მოყვასისადმი; დავიწყოთ ყველაზე მარტივით, მადლიერებით. ელემენტარულ სიკეთეზეც კი გულწრფელი მადლიერება გამოვთქვათ, ხოლო კაცთა შორის განსაკუთრებული მადლობა გვმართებს მშობლებისადმი, „რათა კეთილი გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედა“. ასევე უნდა მოვიქცეთ ხანდაზმულთა და გარდაცვლილ წინაპართა მიმართ.

განვაგდოთ ჩვენგან „ძველი კაცი“, გულის კარი გავუღოთ მაცხოვარს; და იგი ჩვენში აუცილებლად დაივანებს. ხოლო როდესაც ეს აღსრულდება დავინახავთ, რომ ჩვენს შინაგან სამყაროში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და უფალიც მოგვაგებს თხოვნისამებრ. საყვარელნო შვილნო, უდიდესი კრძალვით, სიყვარულითა და მადლიერებით განვუფინოთ ჩვენი სული, გული და გონება ბეთლემის ბაგასა შინა მწოლ ყრმას, ჩვენს უდიდეს მარადიულ ნუგეშსა და იმედს და შევღაღადოთ უფლის წინაშე ჩვენს საოცარ მეოხსა და მფარველს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს:

„მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ!“

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო და ბერძენნო, რუსნო და უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო და სომეხნო, ასირიელნო და უდინნო..., საქართველოს მკვიდრნო ყველა სხვა ერის წარმომადგენელნო, მართლმორწმუნენო, „მოიპოვეთ შეუძვრელი სასუფეველი და იქონიეთ მადლი და „მოადექით თქვენ სიონის მთას და ქალაქს ცოცხალი ღმერთისას, ზეციურ იერუსალიმს და ანგელოზთა უხილავ სიმრავლეს. მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას და ახალი აღთქმის შუამდგომელს იესოს“(ებრ.12. 28, 22-23) და გიხაროდეთ, რამეთუ დღეს იშვა ქრისტე!

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი**
**ილია II**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი**

***შობა ქრისტესი***
***თბილისი, 2012 წელი***



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

# „ვისოლსა“ და „სოკარს“ მალე კონკურენტები გამოუჩნდება

**ცნობილი კომპანიების — „ვისოლის“, „სოკარის“, „რომპეტროლის“, „ლუკოილის“ გვერდით, ნავთობპროდუქტების ბაზარზე რამდენიმე ახალი კომპანია გამოჩნდება. მათ შორის, პირველი „სენტა“ იქნება, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ამ ბაზრიდან თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის „გალფმა“ გააძევა. „ვერსიის“ ინფორმაციით, „სენტას“ ხელმძღვანელი ზაალ იაკობიძე, უკვე ბენზინგასამართ სადგურებს ყიდულობს და ნავთობპროდუქტების ბაზარზე დაბრუნებას საკმაოდ სერიოზულად გეგმავს. მეტიც, ზაალ იაკობიძემ დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა და „გალფს“ მისი კუთვნილი ინფრასტრუქტურის მითვისებაში ედავება.**
**რა ხდება ნავთობპროდუქტების ბაზარზე და რეალურად, რა შანსი არსებობს, რომ ამ ბაზარზე კარგად დავიწყებული, ძველი კომპანიების გარდა, ახალი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ? სინამდვილეში, რა სეგმენტია აუთვისებელი და კონკრეტულად, რა ტიპის მომსახურება უნდა შესთავაზონ მომხმარებლებს ბაზრის ახალმა მოთამაშეებმა? „ვერსიას“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ესაუბრება:**

— ნავთობპროდუქტების ბაზარზე რამდენიმე ახალი კომპანია უკვე ოპერირებს, რომლებმაც ბოლო პერიოდში, იმპორტიც კი განახორციელეს. ისინი საშუალო მეწარმეები არიან, რომლებმაც ბენზინისა თუ დიზელის საწვავი რამდენჯერმე შემოიტანეს და 5-10 თეთრით იაფად გაყიდეს. ამიერიდან, მომხმარებელი მიიღებს გადაწყვეტილებას, ქსელური კომპანიას მიანიჭებს უპირატესობას თანამედროვე და კომფორტულ ბენზინგასამართ სადგურზე, თუ არც ისე ცნობილ სადგურს მიაკითხავს და შედარებით იაფად შეიძენს საწვავს.

**— ბატონო ვანო, ჯანსაღი კონკურენციის თვალსაზრისით, კარგია, ნავთობპროდუქტების ბაზარზე უკვე ნებისმიერ მეწარმეს რომ შეუძლია ოპერირება, მაგრამ რამდენად ხარისხიანია მათ მიერ შემოტანილი საწვავი?**

— საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, არსებობს დადგენილი სტანდარტი და შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე სტანდარტული პროდუქტი უნდა შემოვიდეს. ხარისხის მთავარი ბარომეტრი კი მაინც მომხმარებელია, რომელიც, ხარისხიან საწვავს თუ არ ჩაუსხამთ, თქვენთან მეორედ აღარ მოვა. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც უნდა დაბალ ფასად გაყიდოთ საწვავი, ქსელური კომპანიები მაინც დომინანტ მდგომარეობაში იქნებიან, რადგან მათ შესწევთ უნარი, ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით მოემსახურონ მომხმარებლებს. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების ბაზარზე მოქმედ მცირე მეწარმეებს ვურჩევ, ქსელურ კომპანიებად გაერთიანდნენ. შესაძლოა, დიდი ინვესტიცია არ განახორციელონ და მხოლოდ ეკონომ-კლასის სეგმენტს მოემსახურონ, მაგრამ ქსელურ კომპანიებად გაერთიანების შემთხვევაში, ბაზრის გამოცდილ მოთამაშეებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ. ამ ფონზე, უკვე მომხმარებელს მიეცემა საშუალება, აირჩიოს — ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურზე მივიდეს და ძვირადღირებული საწვავი შეიძინოს, თუ ეკონომ-კლასის კომპანიას მიმართოს, სადაც საწვავი იაფია. საქართველოში ნამდვილად არის ნიშა, ასეთი ტიპის ქსელური კომპანიები განვითარდეს და დღეს ეს ნიშა ცარიელია, რადგან ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ ბრენდირებული ნავთობკომპანიები ოპერირებენ. სავსებით შესაძლებელია, ამ ბაზარზე გაჩნდეს დაბალბიუჯეტიანი ბენზინგასამართი სადგურები, რომლებსაც იმის პრეტენზია არ ექნებათ, მომხმარებლებს მაინცდამაინც, „ხუთვარსკვლავიანი“ მომსახურება შესთავაზონ. დაბალბიუჯეტიან კომპანიებსაც საკმაოდ დიდი გეოგრაფიული მოცულობა ექნებათ და ნებისმიერ რეგიონში შეძლებენ მომხმარებლების მომსახურებას. მათი საწვავი კი მართლაც, იაფი იქნება, რადგან როგორც წესი, ასეთ კომპანიებს დიდი დანახარჯი არ აქვთ. ბევრი თანამშრომლის ნაცვლად, მხოლოდ ერთი მენეჯერი და ორი-სამი ჩამომსხმელ-ოპერატორი რომ ჰყავს, ასეთი კომპანია რატომ გაყიდის საწვავს ძვირად?

**— ესე იგი, ნავთობპროდუქტების ბაზარზე ახალი კომპანიები მალე გამოჩნდება?**

— მართალია, ცალკეული მეწარმეები უკვე გამოჩნდნენ ბაზარზე, მაგრამ ზოგადად, ეს ნიშა აუთვისებელია და რა თქმა უნდა, ახალ მოთამაშეებს სერიოზული პერსპექტივები აქვთ. საქართველოში მოხმარებული საწვავის 90% დიდ კომპანიებზე მოდის, 10%-იანი ნიშა კი სრულიად აუთვისებელია. გარდა ამისა, კომპანიები, რომლებიც ეკონომ-კლასის ნაწილში შემოვლენ, მომავალში, დიდი კომპანიების ხარჯზე განვითარდება, რადგან ყველაფერს კონკურენცია განსაზღვრავს. არ არის აუცილებელი, ეკონომ-კლასის სეგმენტში ძვირადღირებული ბენზინგასამართი სადგურები ააშენონ, რაც მეწარმეს დაახლოებით, 500 000-600 000 აშშ დოლარი დაუჯდება. თავისუფლად შეუძლიათ, 100 000 აშშ დოლარის ფარგლებში, მცირე გასამართი სადგური მოაწყონ, რისთვისაც ორი თანამედროვე პისტოლეტი და მხოლოდ ერთი ოპერატორი დასჭირდებათ. ახლა რა ვითარებაა, იცით? კომპანიების ნაწილს ბენზინგასამართი სადგურები იჯარით აქვს აღებული, ზოგი სამარკო ნიშნის გარეშე ვაჭრობს. როდესაც დაინახავს, სხვა კომპანია მომხმარებელს უკეთეს პირობებს სთავაზობს, ცხადია, ხელშეკრულების პირობებს შეცვლის. მეტსაც გეტყვით, ის კომპანიები, რომლებიც ადრე ნავთობპროდუქტების ბაზარზე ოპერირებდნენ, დაბრუნებას გეგმავენ. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი მომხმარებლებზე დადებითად აისახება.

**— კონკრეტულად, რომელ კომპანიებზე საუბრობთ?**

— ჩემგან ამაზე საუბარი უხერხულია, რადგან თვითონ გააკეთებენ შესაბამის განცხადებას, თანაც ახლა, დეტალები ზუსტდება. ზოგადად, ასეთი შანსი აქამდე არ არსებობდა და მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ეს მაინც დამოკიდებული იყო პოლიტიკურ განცხადებებზე. პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ბიზნესი ყოველგვარი ხელოვნური ჩარევისგან გათავისუფლდება და ეს პოზიტიური სიგნალი იყო როგორც ძველი, ისე ახალი მოთამაშეებისთვის ამ ბაზარზე.

## ნავთობპროდუქტების ბაზარზე ზაალ იაკობიძის „სენტა“ ბრუნდება







***P.S.* მას შემდეგ, რაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე ზაალ იაკობიძის „სენტა“ და რამდენიმე სხვა კომპანია გამოჩნდება, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში, საწვავი გაიაფდება. ადრე ასეთი მოცემულობა იყო — ნავთობპროდუქტების ბაზარზე, ძირითადად, მსხვილბიუჯეტიანი კომპანიები ოპერირებდნენ. იმის გამო, რომ საქართველო ნავთობპროდუქტების იმპორტიორი ქვეყანაა, საწვავის ფასს საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა განაპირობებს, რასაც მსხვილბიუჯეტიანი კომპანიების დიდი დანახარჯი ემატებოდა და მაღალ ფასს ესეც განაპირობებდა. რაც მთავარია, წინა ხელისუფლებას ისეთი მიდგომა ჰქონდა, რომ ყველაფერი პომპეზურად უნდა გაეკეთებინა, შესაბამისად, ნავთობკომპანიებს ზედმეტი რაღაცები აკიდეს. მაგალითად, გორის მაგისტრალზე, „ვისოლისა“ და „სოკარის“ მულტიფუნქციური ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობა ამ კომპანიებს, დაახლოებით, 10 000 000 აშშ დოლარი დაუჯდათ, რაც წინა ხელისუფლების უშუალო მითითებით განახორციელეს. არადა, ამ ფასად, ეს კომპანიები საქართველოს მასშტაბით, 20-25 ბენზინგასამართ სადგურს ააშენებდნენ.***

## ვერსიანიუსი

### პროკურატურამ ირაკლი ოქრუაშვილს ორი ბრალდება მოუხსნა



უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სისხლის სამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსმა, თემურ მიქაბერიძემ განაცხადა, რომ ირაკლი ოქრუაშვილს თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ბრალად ედებოდა, თითქოს სამშენებლო ფირმების — „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანისა“ და „პრიზას“ უპირატესობა მიანიჭა და გააფორმა ხელშეკრულებები სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებზე. ბრალდების მიხედვით, ამ საწარმოებმა შეასრულეს ათობით მილიონი ლარის სამუშაო, საიდანაც კომპანიებმა ასი ათასობით ლარი მიითვისეს.

ასევე, მიქაბერიძემ აღნიშნა, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალად ედებოდა, რომ თავდაცვის მინისტრობის პერიოდში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, უპირატესობა მიენიჭა ფირმა „ტრანსპორტ დეველოპმენტ ელ-თი-დის“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 4 000 ტონა საწვავის მიწოდებაზე, ამ შემთხვევაში, ფასი მეტი აღმოჩნდა იმავე პერიოდში საქართველოში საწვავის სხვა მომწოდებლის ფასზე, რის გამოც, სახელმწიფომ იზარალა 205 500 აშშ დოლარი. მას ბრალად ედებოდა, თითქოს თბილისში, ათონელის ქუჩაზე 2007 წლის აპრილში, სხვა პირებთან ერთად შეძენილ ფართში გადაიხადა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 1 800 000 აშშ დოლარი და ამ გზით მოახერხა მისი ლეგალიზება.

როგორც თემურ მიქაბერიძემ აღნიშნა, გამოძიებისას დადგინდა, რომ თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ორივე შემთხვევაში ხელს აწერს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, ამჟამად ძებნილი იასონ ჩიხლაძე. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მის მიმართ მტკიცებულებები არ მოიპოვება არც ერთ ზემოხსენებულ ეპიზოდში.

ამასთან, მიქაბერიძის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ გრძელდება სასამართლო განხილვები კიდევ სამ საქმეზე. ერთ-ერთს იხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო და ეხება ქრთამის აღებას. **„ეს ეპიზოდი საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც „ჯეოსელის“ აქციების უკანონოდ დაუფლების ფაქტი. აქ ბრალდების ძირითად და ერთადერთ პირდაპირ მოწმეს წარმოადგენდა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი, რომელმაც უარყო ადრე მიცემული ჩვენებები. დიმიტრი ქიტოშვილმა განმარტა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ იძულებით მისცა ჩვენება. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა თითქმის ამოწურულია. ამ საქმეშიც პრაქტიკულად, აღარ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო წარდგენილ ბრალდებას და შესაბამისად, პროკურატურა გეგმავს, უარი თქვას ბრალდებაზე ხსენებულ საქმეში“,** — განაცხადა თემურ მიქაბერიძემ.

გარდა ამისა, ოქრუაშვილს ბრალად ედება უკანონო ფორმირების შექმნა და სამსახურებრივი გულგრილობა. მიქაბერიძის განმარტებით, მთავარი პროკურატურა გულდასმით სწავლობს აღნიშნულ საქმეებს და უახლოეს მომავალში, მათთან დაკავშირებითაც მიაწვდის საზოგადოებას კონკრეტულ ინფორმაციას.

ამასთან, როგორც მიქაბერიძემ აღნიშნა, სასამართლომ 4 იანვარს მიიღო უკანონო გადაწყვეტილება ოქრუაშვილთან მიმართებაში: „პროკურატურა არის ბრალდების მხარე, მხოლოდ მას აქვს უფლება, მოითხოვოს პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. აღკვეთის ღონისძიებიდან ყველაზე მძიმე ღონისძიებაა პატიმრობა, ხოლო უფრო მსუბუქი – გირაო. სასამართლოს უფლება არ აქვს, პირს შეუფარდოს პროკურატურის მიერ მოთხოვნილზე უფრო მძიმე ღონისძიება. სასამართლომ შუამდგომლობა, რომლითაც ჩვენ მოვითხოვდით ირაკლი ოქრუაშვილისთვის პატიმრობის შეცვლას გირაოთი, არ დააკმაყოფილა და არ დაასაბუთა, რასაც პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებად მივიჩნევთ, რითაც ირაკლი ოქრუაშვილი უკვე სასამართლოს პირადი პატიმარი გახდა“.

აქედან გამომდინარე, პროკურატურა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე საქმეზე 10 იანვარს აპირებს ბრალდებაზე უარის თქმას, რაც, როგორც მიქაბერიძემ განაცხადა, გამოიწვევს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას: **„იმედი გვაქვს, ეს სასამართლო პროცესი, მართლაც, 10 იანვარს ჩატარდება და სხვა მოტივებით, განუსაზღვრელი დროით არ გადაიდება“,** — განაცხადა მიქაბერიძემ.

*„ინტერპრესნიუსი“*




# იცვლება თუ არა პოლიტიკის ღერძი საქართველოსა და სომხეთში?

**TODAY'S ZAMAN**

**კავკასიაში, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების გამო, საშინაო პოლიტიკაში შექმნილმა დაძაბულობამ, ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზეც იქონია გავლენა. აზერბაიჯანშიც კი, რომელიც თითქოს, ამ ქვეყნებს შორის ყველაზე სტაბილურია, ათზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მთავრობის წინააღმდეგ ხმის ამოღება შეძლო, ხოლო დისიდენტი პოლიტიკოსები პროცესებზე უპრეცედენტო გავლენას ახდენენ და გარე სამყაროს საკუთარ გზავნილებს ატყობინებენ, მაგრამ პოლიტიკური კრიზისი საქართველოსა და სომხეთში იმაზე მიგვანიშნებს, თუ როგორ და რა სფეროებში შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან დემოკრატიული ფასეულობები.**

ქართველმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ამას წინათ, 2012 წლის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ გადასცა ძალაუფლება ახალ მთავრობას, ქვეყნის ვესტერნიზაციისთვის ბევრი რეფორმა გაატარა, მაგრამ ამ რეფორმატორმა ლიდერმა მოსახლეობის უკმაყოფილება დაიმსახურა, რადგან ცხოვრების დონე ხელშესახებად არ გაუმჯობესებულა. ქვეყნის ახალმა ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი იმით მოიპოვა, რომ არჩევნებში მეზობლებთან გაწონასწორებული ურთიერთობისა და ხალხის კეთილდღეობის პირობა დადო. მას შემდეგ, რაც ის თანამდებობაზე მოვიდა, ივანიშვილი მისდევს ძველი მთავრობის წევრების, სააკაშვილთან დაახლოებული ათობით პოლიტიკოსისა და ჩინოვნიკის დაპატიმრების პოლიტიკას, ხოლო საზოგადოება სახელმწიფო აპარატის შემომტკიცების მისეულ ამ მცდელობას მიესალმება. მიუხედავად იმისა, რომ დასავლელმა ხელისუფლებებმა დაგმეს ასეთი ქმედება, როგორც არადემოკრატიული, ისინიც დიდად არ იმაღლებენ ხმას. უფრო მეტიც, ივანიშვილი მალევე შეუდგა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციას და, როგორც ჩანს, საშუალოვადიან პერსპექტივაში ის ამ მიზანს მიაღწევს.

მას შემდეგ, რაც დიალოგს რუსეთთან მწვანე შუქი აუნთეს და განაცხადეს, რომ მესამე ქვეყნის შუამავლობით შეუძლიათ მოლაპარაკებების დაწყება, პირველი შეხვედრა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ჟენევაში უკვე შედგა. ამ შეკრებას რუსეთში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის სახელმწიფო მდივნისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დიმიტრი კარასინს შორის, რუსეთი მიესალმა და ორივე ქვეყანა იმაზე შეთანხმდა, რომ პირველ რიგში, განამტკიცებენ სავაჭრო ურთიერთობებს. რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ურთიერთობები გაუმჯობესდება თანდათან და თუ ტენდენცია გაგრძელდება, მათ შეიძლება, შეცვალონ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული განწყობა. მართლაც, რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებას ივანიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. განსხვავებით წინა მთავრობისგან, მან გამოაცხადა, რომ საქართველო მთლიანად უჭერს მხარს 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. მან ასევე განაცხადა, რომ მზადაა, გახსნას აფხაზეთის რკინიგზა. საქართველოს სოჭის ოლიმპიური თამაშების ინიციატივა, ქვეყნისა, რომელმაც აღიარა ჩერქეზების გენოციდი, აფხაზეთის რკინიგზისადმი მისი დამოკიდებულება, მხოლოდ სომხეთს ახარებს, მაგრამ აშფოთებს რეგიონის სხვა ქვეყნებს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და აფხაზეთს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოს განზრახული აქვს რუსეთთან ახლო ურთიერთობის დამყარება რეგიონის სხვა ქვეყნებისა და ადმინისტრაციების განაწყენების ხარჯზე.

რკინიგზა თბილისს სოხუმის გავლით დააკავშირებს რუსეთთან, ხოლო გიუმრის გავლით — სომხეთთან. ამ რკინიგზის ამოქმედება კეთილი ნების ნიშანია – ეს დაეხმარება რუსეთის შეიარაღებულ ძალებს გიუმრის სამხედრო ბაზასთან დაკავშირებაში, გააუმჯობესებს ტრანსპორტირებას საქართველოს, რუსეთსა და აფხაზეთს შორის. თავდაპირველად, რუსეთმა ამ წინადადებას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა, აფხაზეთი საერთოდ, წინააღმდეგი იყო და მას ხაფანგს უწოდებდა, ხოლო აზერბაიჯანმა თბილისს მოუწოდა, მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდა საკითხს, რადგან შიშობდა, რომ სომხეთი ამ რკინიგზის მეშვეობით, დახმარების დამატებით წყაროს შეიძენდა და მართლაც, ქართული რკინიგზა უმეტესად, სომხეთსა და რუსეთს მოუტანს მოგებას.

საქართველო ვალშია სააკაშვილთან, თავისი ევროატლანტიკური ვექტორის გამო. მიუხედავად პრემიერ-მინისტრის მცდელობისა, სააკაშვილის მომხრე ჩინოვნიკების წმენდა მოაწყოს და ქვეყანა რუსეთისკენ წაიყვანოს, სააკაშვილი განაგრძობს პოზიტიური პროდასავლური მესიჯების გაგზავნას. ამ კონტექსტში საპრეზიდენტო არჩევნები ამ ქვეყნისთვის ვიტალური მნიშვნელობისაა და კავკასიის რეგიონზე მთლიანად დიდ გავლენას იქონიებს. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ, შეიძლება, გამოიწვიოს ისეთი ბიძგები, რომლებიც საინტერესო იქნება თურქეთისთვის და შეიძლება, გააჩინოს ბზარები გეოპოლიტიკურ ბალანსში.

## სომხეთში დემოკრატიას თრგუნავენ

თებერვალშია დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები სომხეთში, რამაც ერთმანეთის პირისპირ ბევრი პოლიტიკოსი დააყენა. იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ (**Civilitas Foundation**), რომელიც სომხეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ვართან ოსკანიანმა დააფუძნა და რომლის პოლიტიკურმა გავლენამ ამ ბოლო დროს ბევრი შეაშინა, თაღლითობის ბრალდებით, ცილისმწამებლური კამპანია დაიწყო. მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია გააძევეს პოლიტიკური სცენიდან, ოსკანიანის ძალაუფლება მისი ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე ძალიან შემცირდა, ამ დროს კი, კონკურენცია სხვა პოლიტიკოსებს შორის გრძელდება. ასევე სომხეთის პარტიის მდიდარმა ლიდერმა გაგიკ ცარუკიანმა, ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა ოლიგარქმა, თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში მოხსნა, როგორც ამბობენ, შანტაჟის გამო. მსგავსად ამისა, ბევრი სხვა პოლიტიკოსი ზეწოლის ქვეშ არის და თავისუფლად ვერ გამოხატავს თავის მოსაზრებებს. ამ პოლიტიკოსების ყველაზე აღსანიშნავი გამაერთიანებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი მხარს უჭერენ სომხეთის ეფექტურ ურთიერთობებს მეზობლებთან და სურთ, თავისი ქვეყანა რუსეთის გავლენისგან გაათავისუფლონ. როგორ ჩანს, წრე იმ ადამიანებისა, რომლებიც სტატუს კვოს შენარჩუნებას უჭერენ მხარს, პრევალირებს, როგორც ყოველთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით, გაუმჯობესებას არ უნდა ველოდეთ. არსებულ სისტემას ერევანში, რომელშიც ცალკეული პოლიტიკოსები და ოლიგარქები მონაწილეობენ, საბოლოო სიტყვა ეთქმის, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში. ამ სისტემის აქტორები სულ უფრო ზრდიან პერსონალურ მოგებას და ვერ მართავენ ქვეყნის ეკონომიკას წარმატებით.

**პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ, გაათავისუფლონ სომხეთი გეოპოლიტიკურად ფესვგადგმული პრობლემებისგან, ნებისმიერი ხერხით აჩუმებენ**

ახალი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში, რეგიონის ქვეყნებში მომხდარ ცვლილებებს, მათ შორის ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებას, ევრაზიის კავშირის შექმნისთვის რუსეთის მიერ გაწეულ ძალისხმევას, მთიანი ყარაბაღის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და რეგიონის ქვეყნების პოლიტიკას დასავლეთთან მიმართებაში, სომხეთის პოლიტიკური გეზის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. გარდა სომხეთის დამოკიდებულებისა რუსეთზე, ყურადღებით უნდა გაანალიზდეს ის პოზიტიური მესიჯებიც, რომლებიც ქვეყანამ გაუგზავნა ნატო-სა და ევროკავშირს. უფრო მეტიც, სომხეთის ახალი პრეზიდენტის ვადა 2015 წლამდე გაგრძელდება, ამიტომ ახალი პრეზიდენტის პოზიცია თურქეთთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

თურქეთი სერიოზულად უნდა მოეკიდოს რეგიონში მიმდინარე ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში, ზომებიც მიიღოს, რადგან დასავლეთისა და რუსეთის მოქმედებებმა შეიძლება განსაზღვროს თურქეთის პოზიცია რეგიონში.



# თბილისის მერიის გენინსპექციის მაღალჩინოსანი კორუფციის კონკრეტულ ფაქტებს დებს

*მე-3 გვერდიდან*

გადავიდეთ კეთილმოწყობაზე.. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აქ ფული თეთრდებოდა, იგივე ხდებოდა დასუფთავებაშიც და მაკონტროლებლებმა ამ სისტემებში დარღვევები თუ ვერ აღმოაჩინეს, აღარ ვიცი, რა ვიფიქრო... ძალიან საინტერესოა ჰოლანდიური ავტობუსების თემა. მერიასა და ავტობუსების მეპატრონეს შორის იყო კიდევ ვიღაც მესამე, შუალედური რგოლი, რომელსაც ფული გადაურიცხეს. მაკონტროლებლები უნდა დაინტერესდნენ, რატომ გადაუხადა ქართულმა მხარემ თანხა შუალედურ რგოლს და არა — უშუალოდ, ავტობუსების პატრონს. სამწუხაროდ, ყველა ის საბუთი, რომელიც ჩემს ნათქვამს დაადასტურებდა, მერიაში დარჩა, მაგრამ ამის მოძიება და შესწავლა სრულიად შესაძლებელია. ბუნებრივია, ადამიანს, რომელიც სრულიად ჩახედული იყო მერიის მაღალჩინოსანთა კორუფციულ საქმიანობაში, თანამდებობაზე დიდხანს არ დატოვებდნენ და მეც გამომიშვეს, თუმცა ჩემი დევნა და შევიწროება ამით არ დამთავრებულა.

**— თანმიმდევრულად მომიყევით, მერიიდან თქვენი გამოშვების შემდეგ რა მოხდა.**

— ოჯახი რომ მერჩინა, მცირე მეწარმეობას მივყავი ხელი და მაღაზია გავხსენი. 2010 წელს, ვითომ, რაღაც ანონიმური განცხადების საფუძველზე, გუბერნატორ დავით კირკიტაძის ძმამ, რომელიც ფინანსურ პოლიციაში მეექვსე სამმართველოს უფროსი იყო, პროკურატურისგან მოითხოვა, ჩემს წინააღმდეგ დაწყებულიყო საგამოძიებო მოქმედებები. ეს იყო მოსმენები, თვალთვალი და ა.შ. მოკლედ, ბიუჯეტისთვის დამალულ შემოსავლებს მედავებოდნენ. მაღაზიაში შემოსულმა რევიზორმა პირდაპირ მითხრა, თანხა რომ არ დაგაწერო, დამიჭერენ და ოჯახს ვერ დავლუპავო. ციხეში უნდოდათ ჩემი გაშვება, მაგრამ იმის გამო, რომ სერიოზული დარღვევა ვერ მიპოვეს, თავი დამანებეს, თუმცა ის ბიზნესი მთლიანად გამინადგურეს. უმუშევარმა და შემოსავლების გარეშე დარჩენილმა, ჩემს მიერ 1991 წელს აგებულ შენობაში ახალი, მომგებიანი ბიზნესი წამოვიწყე. ბიზნესის გაფართოების მიზნით (წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესის წარმოებას აზრი არ ჰქონდა), ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე და შენობის თავზე სართულის დაშენება მოვინდომე. იცით, რა აბსურდული პასუხი მივიღე მერიიდან ჩემს მოთხოვნაზე? დაშენების უფლებაზე უარი ეთქვას, რადგან არ დასტურდება, რომ შენობა მისი აშენებულიაო. იმდენად თავხედები არიან, გეუბნებიან, რამე ახალი გარემოება წარმოადგინე და შემდეგ განვიხილავთო. „თელასის" გადახდის ქვითრები წარვადგინე, 5 კორპუსის მაცხოვრებელთა ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერები დავურთე, რომ შენობა ნამდვილად ჩემი აშენებულია 1992 წელს და მეტი რა უნდა იყოს ახალი გარემოება? არც მპასუხობენ და არც იხილავენ.

**— თუ თქვენთვის უარის თქმის სხვა საფუძველი არ არსებობდა, სასამართლოს რატომ არ მიმართეთ?**

— მაშინ ვიცოდი, რომ უგულავას ვერ მოვუგებდი. სასამართლოს ზეპირი მითითება ჰქონდა, ისეთი პრივილეგირებული ორგანიზაციების წინააღმდეგ, როგორიცაა მერია, საგადასახადო, „თელასი" და ბანკები, სარჩელები არ დაკმაყოფილებულიყო. ამასობაში, იმის გამო, რომ მერიამ ჩემი ბიზნესი დაბლოკა, დამეწყო ფინანსური კრიზისი. ბანკს წარვუდგინე ფაქტები, რა მიზეზით ჩავარდა ჩემი ბიზნესი და ვთხოვე კრედიტის რესტრუქტურიზაცია, რამდენიმე თვე მატყუეს და საბოლოოდ, უარი მითხრეს. ამასობაში, სამი მანქანა დავალომბარდე, ერთი მანქანა ბანკში ჩავტოვე და საბოლოოდ დავასკვენი, რომ ბანკი ჩემთვის ბინის წართმევით იყო დაინტერესებული. არ ვიცი, ჩემი საბოლოოდ განადგურების მითითება მერიიდან და ყოფილი ხელისუფლებიდან მოდიოდა თუ არა, მაგრამ სამაგალითოდ კი დავისაჯე.

**— როგორც ვიცი, ამჟამად, არა მარტო მერიას, საჯარო რეესტრსა და ერთ-ერთ კომერციულ ბანკსაც სასამართლოში უჩივით.**

— ყოფილი ხელისუფლებისგან პრივილეგირებული ორგანიზაციები დაუსჯელობის სინდრომმა იმდენად გაათავხედა, რომ კანონს არად დაგიდევენ..

> **მერიასა და ბანკთან ორთაბრძოლაში აღმოვაჩინე, რომ საჯარო რეესტრსა და ზოგიერთ ბანკს შორის საშინელი გარიგებებია დადებული. მოგეხსენებათ, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებისთვის ოთხდღიანი მომსახურეობა 50 ლარი ღირს, 2-დღიანი — 150 ლარი და იმავე დღეს რომ გაკეთდეს, 200 ლარი. პირადად, ჩემს მაგალითზე გეტყვით, ერთდღიანი მომსახურეობის თანხა ჩამომაჭრეს, მაგრამ ბიუჯეტში ოთხდღიანი მომსახურეობის თანხა ჩარიცხეს. ფაქტობრივად, ბიუჯეტისთვის თანხის დამალვასთან გვაქვს საქმე, რადგან მარტივი მაქინაციის შედეგად 150 ლარი უცებ „მოტყდა".**

რამდენი ასეთი 150 ლარი იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ? მე, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ასეთი მაქინაციები არ გამომეპარება, მაგრამ უამრავი მომხმარებელი ამას, უბრალოდ, ვერ შეამჩნევს. იმის გამო, რომ საჯარო რეესტრის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიტანე, ბანკის სახელს არ გავამხელ, თუმცა გეტყვით, რომ ის პროცესზე მესამე პირი იქნება.

> **უახლოეს ხანებში, ვაპირებ, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსზე, აბესაძეზე პროკურატურაში შევიტანო ფაქტებით გამყარებული განცხადება, მის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტების თაობაზე და კიდევ რამდენიმე ადამიანზე, რომლებსაც პირდაპირ დევნა ჰქონდათ გამოცხადებული ჩემზე. მერწმუნეთ, ყველა საქმე მტკიცებულებით მაქვს გამყარებული და ფაქტებს ვერავინ ვერსად გაექცევა.**

სხვათა შორის, ახალი ხელისუფლების შეცდომად სწორედ ის მიმაჩნია, რომ მტკიცებულებების დადება უჭირს. ამის მიზეზი ისაა, რომ შემოწმებებზე გზავნიან ძველი ხელისუფლების ხალხს, რომლებსაც ისეთი დაკვეთები აქვთ შესრულებული და ისე არიან გასვრილები, რომ ფასეულს ვერაფერს მოიტანენ. საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავთ და ოპონენტებს სალაპარაკოს აძლევენ. ამას საბოტაჟის სუნი ასდის, რადგან უამრავი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება. მე მახსენდება 90-იანი წლები, როცა გარკვეული ძალები ისე მოქმედებდნენ, რომ მასები გამსახურდიას ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განეწყოთ. დღესაც იგივე ხდება, რომ უკმაყოფილება მასებში გაიზარდოს და ახალ ხელისუფლებასა და ხალხს შორის დაპირისპირება მოხდეს. საბოტაჟი ვარაუდი არ არის, ფაქტია და ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს.

მერაბ ბერიძე



# საზოგადოება ნარკომომხმარების დეკრიმინალიზაციას ელის

ნარკოტიკებზე დამოკიდებულება ის დაავადებაა, რომელსაც ხელის ერთი დაკვრით ვერ აღმოფხვრი. წლების განმავლობაში, მათ შორის მძიმე სოციალური ფონი, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა სენის გავრცელებისთვის. მომხმარებელი ცალსახად დამნაშავედ განიხილებოდა და სამამულო მართლმსაჯულების ხელში მისი „საქმე წასული იყო“. ახალი ხელისუფლება ცდილობს ამ საკითხსაც ჰუმანური მოსაზრებებით მიუდგეს, თუმცა პირველ მცდელობას, კოლეგების მხრიდან ადეკვატური დამოკიდებულება არ მოჰყოლია.

კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებებსა და ნარკომომხმარებლებთან დაკავშირებით დეპუტატ კობა დავითაშვილის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტებმა მხარი არ დაუჭირეს. წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, პირველი მოსმენით განიხილეს, თუმცა კენჭისყრის შედეგად, აღნიშნული ინიციატივის პლენარულ სხდომაზე გატანას დეპუტატებმა ხმა არ მისცეს. ამასთან, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები მმართველ გუნდს ურჩევენ, აღნიშნულ ინიციატივას „მეტი სიფრთხილით მოეკიდოს“ და ამასთან დაკავშირებით აღმასრულებელი სტრუქტურების, შს სამინისტროს, პროკურატურის პოზიციას და მათ რეკომენდაციას გაეცნოს.

საუბარია საკანონმდებლო პაკეტზე, რომლის მიხედვით, ახლებურად ყალიბდება უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით განსაზღვრის პრინციპი. ასევე, ხორციელდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაცია და ეს ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება არ იქნება. ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის სახელმწიფო მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით შემოიფარგლება, რომელთა მიმართებაშიც, კობა დავითაშვილის ინიციატივის თანახმად, სანქციები იზრდება.

კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, პირველ ჯერზე, ადმინისტრაციული წესით, 300 ლარის ოდენობის ჯარიმით დასჯადი ქმედება იქნება, განმეორების შემთხვევაში — 600 ლარის, ხოლო კიდევ უფრო მეტჯერ განმეორების შემთხვევაში — 3 500 ლარის ან ადმინისტრაციული პატიმრობის 60 დღემდე ვადით. ამასთან, კობა დავითაშვილი პარლამენტს სთავაზობს, ჯარიმის გადახდისას ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს მიეცეს გათავისუფლების შესაძლებლობა, თუ იგი თანახმა იქნება, სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში განაგრძოს გადახდილი ჯარიმის თანხით მკურნალობა.

აღნიშნულმა ინიციატივამ ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ვახტანგ ხმალაძე და ეკა ბესელია აცხადებენ, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და ის უფრო მეტ სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. ისინი სპეციალური კონფერენციის გამართვის ინიციატივითაც გამოვიდნენ. საპარლამენტო ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ პარლამენტი საკანონმდებლო პაკეტს არსებული სახით თუ მიიღებს, ნარკოტიკების მოხმარების რაოდენობა ქვეყანაში გაიზრდება. დეპუტატმა დავით საყვარელიძემ (თბილისის ყოფილმა პროკურორმა) ისიც კი აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ხელს შეუშლის ნარკოტიკების მომხმარებელთა თანამშრომლობას პოლიციასთან, რათა ის თავის მხრივ, გავიდეს ნარკოტიკების რეალიზატორებზე.

თავის მხრივ, როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გუგული მაღრაძე განმარტავს, საკანონმდებლო პაკეტში, შესაძლოა, არაერთი ცვლილება შევიდეს. რაც მთავარია, ამბობს **გუგული მაღრაძე**, ახალი კანონი იქნება უფრო ლიბერალური, ვიდრე აქამდე: **„მომხმარებელი არ ჩაითვლება დამნაშავედ და ჩაითვლება ავადმყოფად, ამიტომ შეიცვლება კანონი, რომ ბოლოს და ბოლოს, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მომხმარებელი და გამსაღებელი. ამ უკანასკნელზე სანქციები ისევ დარჩება, შესაძლოა, გავამკაცროთ კიდეც. რაც შეეხება მომხმარებელს, მის მკურნალობაზე რამდენი გამოიყოფა, როგორი იქნება მკურნალობის ეს კურსი, ჯერ ვერ გეტყვით, თუმცა გვინდა, რომ მათ მკურნალობაზე სახელმწიფომ მეტად იზრუნოს“.**

აღსანიშნავია, რომ ქართულ არასამთავრობო სექტორს, ამ საკითხში დიდი ხანია ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“, აივ/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის, ნარკოტიკების მომხმარებელთა დეკრიმინალიზაციას მოითხოვს. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან ნარკოტიკების მოხმარების და აივ/შიდსის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული რესურსები, არაეფექტური ძალოვანი ღონისძიებებიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებისკენ უნდა იყოს მიმართული.

ქსელის ინფორმაციით, დღეისთვის, საქართველოში აივ/შიდსის 2 200 ოფიციალურად დარეგისტრირებული შემთხვევაა, რომელთაგან 60% ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებასთანაა დაკავშირებული: **„ეპიდემიის ეფექტური პრევენცია ზუსტად ამ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფთან მუშაობით არის შესაძლებელი. არსებული კანონმდებლობის გამო, რთულდება ამ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება და სერვისების მიწოდებაც კი. დღეს წამალდამოკიდებულებით დაავადებულ ადამიანს მეტი შანსი აქვს, აღმოჩნდეს ციხეში, ვიდრე — სამკურნალო დაწესებულებაში".**

ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოება ახალ მთავრობას ნარკოპოლიტიკის გადახედვისა და კანონმდებლობის ლიბერალიზაციის თხოვნით, კიდევ ერთხელ მიმართავს. ხელისუფლებას ურჩევენ, უფრო აქტიურად ჩაებას ნარკოდამოკიდებული ადამიანების პრობლემების მოგვარებაში — სახელმწიფო იყოს გარანტი იმისა, რომ მათ კი არ დასჯიან, უმკურნალებენ.

ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“ ხელმძღვანელი **კოკა ლაბარტყავა** ამბობს: **„ერთი ადამიანის ციხეში შენახვა სახელმწიფოს უჯდება ათჯერ მეტი, ვიდრე მისი სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა და ამ სერვისის შეთავაზება, რომლის ეფექტურობა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. დღეს მთელ მსოფლიოში აქცენტი სწორედ მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების დანერგვაზე კეთდება. ეს არის ზიანის შემცირების პროგრამები, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა ინფექციის გავრცელების პრევენციას და არის სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების მხარდაჭერის მუდმივი დეკლარირება გაერო-ს მაღალი ტრიბუნებიდან. ადამიანებს უნდა მივცეთ დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალება“.**

ერთი შეხედვით, ყველა თანხმდება, რომ ნარკომომხმარებელი, პირველ რიგში, ავადმყოფია და მკურნალობას საჭიროებს, თუმცა როგორც ვხედავთ, ის განიხილება ერთგვარ საშუალებადაც, „რეალიზატორებზე გასასვლელად“. რა მეთოდების გამოყენებით ხდებოდა დამნაშავეებზე ასეთი „გასვლები“, ყველას კარგად მოეხსენება და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. სახელმწიფო მანქანამ, ისედაც დაავადებული ადამიანის ბოლომდე განადგურებაზე არ უნდა იმუშაოს. დეპუტატ კობა დავითაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, სწორედ ასეთი, დანაშაულებრივი დამოკიდებულების აღმოფხვრას გულისხმობს. კარგი იქნება, თუ პარლამენტი პრობლემას ჰუმანური კუთხიდან მიუდგება და ბოლოს და ბოლოს, ნარკომოხმარების დეკრიმინალიზაციას მოახდენს. ქართული საზოგადოება ამ სამართლიან გადაწყვეტილებას, დიდი ხანია ელის. ახალმა ხელისუფლებამ ამ მოლოდინს ადეკვატურად უნდა უპასუხოს. ბურთი მის მოედანზეა.

# პენჯაბელმა ფერმერებმა საქართველოში ახალ და იაფფასიან საძოვრებს მიაგნეს

პენჯაბელმა ფერმერებმა საქართველოში ახალ და იაფფასიან საძოვრებს მიაგნეს, — სტატიას ამ სათაურით, ბრიტანული გამოცემა The Guardian აქვეყნებს.

პუბლიკაცია ერთ-ერთი ინდოელი ფერმერის, ტაჯინდერ სინგჰის ისტორიას ასახავს.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „კეთილსულოვანი კავკასიის მიწების დამუშავებას“ ინდოელებს მიწის მაღალი გადასახადები აიძულებს.

სტატიის თანახმად, საქართველოში ათასობით ჰექტარი ნოყიერი მიწის არსებობის შესახებ, 38 წლის სინგჰიმ დიუსელდორფში მზარეულად მუშაობისას შეიტყო.

**„კონტრასტი საქართველოსა და მისი მშობლიური პენჯაბის მოსახლეობასა და მიწის მაღალ გადასახადებს შორის გასაოცარი იყო. ასე რომ, ორი თვის წინ, ის და მისი ორი მეგობარი ამსტერდამიდან თბილისში გაფრინდნენ — 50 ჰექტარი მიწის იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად. უკან დაბრუნებულმა სინგჰმა განაცხადა, რომ ბედნიერი იყო, იმის მიუხედავად, რომ ჯერ ოდნავაც ვერ გარკვეულიყო თავისი ახალი ადგილსამყოფელის გეოგრაფიაში“,** — წერს სტატიის ავტორი.

როგორც ინდოელი ფერმერი ყვება, ერთ ჰექტარ მიწაში, რომელიც 99-წლიანი იჯარით აქვს აღებული, 950 დოლარს იხდის.

**„პენჯაბში ამ ფასად ამავე ფართობის მიწას ვერ იყიდი. დარწმუნებით არ შემიძლია იმის თქმა, ფერმა ჩრდილოეთით მდებარეობს თუ სამხრეთით, თუმცა ის თურქეთსა და სომხეთს ესაზღვრება“,** — ამბობს სინგჰი.

The Guardian-ის ცნობით, სინგჰი ერთადერთი არ არის, ვინც პენჯაბიდან საქართველოში გადაბარგდა.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, ასეთი ფერმერების რიცხვი სულ უფრო იზრდება. ინდოეთის მთავარ ქალაქებში, როგორიცაა მაგალითად ჯალანდარი, აგენტები საქართველოს მიწებისა და იქ ბიზნესის წარმოების რეკლამირებას ეწევიან.

მაღალჩინოსანი სოდჰი, რომელიც ამრისტარში ვიზებს გასცემს, ამბობს, რომ პენჯაბელები ძალიან რისკიანები არიან.

**„ეს ყველაფერი რამდენიმე ხნის წინ დაიწყო. თავიდან ათამდე იყვნენ. შესაძლოა, ახლა ასობით არიან. თუ ერთხელ გავრცელდა ხმა, რაოდენობა სულ უფრო მატულობს. ჩემთან პასპორტებისთვის მოდიან. ახალ საძოვრებს ეძებენ. პენჯაბელი ხალხი ყოველთვის სხვადასხვა ქვეყნებში მიდის. ისინი ძალიან რისკიანები და ინიციატივიანები არიან“,** — აცხადებს სოდჰი.

მისივე ინფორმაციით, პენჯაბელი ფერმერები წარსულში ათასობით ჰექტარ მიწას უკრაინაში, უზბეკეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში ყიდულობდნენ ან ქირაობდნენ.

როგორც The Guardian წერს, საზღვარგარეთ ნაშოვნ ფულს ფერმერები ხშირად ისევ სახლში, მიწების შესაძენად გზავნიან.

გამოცემის ცნობით, ინდოეთში მოღვაწე ქართველები კი აცხადებენ, რომ საქართველოში ახალჩასულები, შესაძლოა, იმედგაცრუებული დარჩნენ.

**„ჩვენ მათ წასვლისკენ არ ვუბიძგებთ. ისინი საკუთარი სურვილით მიდიან. საქართველოში მიწებს კერძო პირები ყიდიან. ამისთვის ქვეყანას რაიმე სპეციალური პროგრამა არა აქვს“,** — აცხადებს ერთ-ერთი ქართველი ჩინოსანი, რომლის ვინაობასაც გამოცემა არ აკონკრეტებს.

როგორც The Guardian წერს, საქართველოში, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მიწის პირდაპირ დასაკუთრება კანონით დაუშვებელია.

**„ქვეყანაში ცოტა ხნის წინ განხორციელებული პროექტი – მოეზიდათ ფერმერები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით სამხრეთ აფრიკიდან, ჩავარდა“,** — წერს გამოცემა.

The Guardian-ის ინფორმაციით, ზოგიერთი პენჯაბელი, სოფლიდან მასობრივი გადინების გამო, საუკუნოვანი ცხოვრების წესის განადგურებაზე შიშობს.

*„ინტერპრესნიუსი“*




## ვერსიანიუსი

# ოლეგ მელნიკოვის ექსტრადირების ვადა 16 იანვარს იწურება

ოლეგ მელნიკოვის უკრაინიდან ექსტრადირების ვადა 16 იანვარს იწურება, რის შემდეგაც, იგი უნდა ჩამოიყვანონ საქართველოში ან უკრაინაში მისი გათავისუფლება მოხდეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მელნიკოვის ადვოკატმა, მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა.

ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, პროკურატურა მელნიკოვის საქმეზე საგამოძიებო ვადის 2 თვით გადაწევას ითხოვს, რაც მტკიცებულებების არარსებობაზე მიუთითებს. ველიჯანაშვილის თქმით, აქედან გამომდინარე, სასამართლო პროცესი, რომელიც 16 იანვრისთვის იყო ჩანიშნული, სავარაუდოდ, გადაიდება.

**„ვადა ჯერ არ გაუგრძელებიათ, თუმცა პროკურატურა ამას ითხოვს. ეს ნიშნავს, რომ მტკიცებულებები არ აქვთ და რამის მოპოვებას ცდილობენ“,** — განაცხადა ველიჯანაშვილმა.

4 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, დათა ახალაიას, ასევე სოსო თოფურიძეს, გერონტი ალანიასა და ოლეგ მელნიკოვს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, დაუსწრებლად, პატიმრობა შეუფარდა. არც ერთი მათგანი საქართველოში არ იმყოფება.

ბრალდების მხარის ინფორმაციით, დათა ახალაიამ და სოსო თოფურიძემ საქართველო 2012 წლის 5 ოქტომბერს დატოვეს, ალანიამ — 22 ოქტომბერს, ხოლო მელნიკოვმა — 2010 წლის 2 დეკემბერს და მას შემდეგ ქვეყნის საზღვრები არ გადმოულახავთ. მათზე ძებნა „ინტერპოლის“ ხაზით გამოცხადდა.

აღნიშნული პირები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, კერძოდ, პოლიციელების ცემაში არიან ბრალდებული. დათა ახალაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთაშიც ედება ბრალი. საქმე 2005 წელს იმ პოლიციელების ცემას ეხება, რომლებსაც ვანო მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ.

*„ვერსიანიუსი“*

მერაბ ბერიძე

**ბოლნისის შემდეგ, რეპორტაჟის გასაკეთებლად მეზობელ დმანისს ვესტუმრეთ. როგორც სხვა რეგიონებში, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, აქაც დიდი ძვრები დაფიქსირდა, მაგრამ ჩვენი ინტერესი, მარტო თვითმმართველობაში განვითარებული პროცესებით არ შემოფარგლულა. შევხვდით და ვესაუბრეთ ადამიანებს, რომლებსაც რეგიონის ყოფით პულსზე ხელი უდევთ.**

# რა პრობლემები აწუხებთ დმანისელებს



"არჩევნები ჩატარდა, მთავრობა შეიცვალა, განათლებულ და ნიჭიერ ადამიანებს კი ყურადღებას მაინც არავინ აქცევს, როდის უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი?"

იმით დავიწყოთ, რომ დმანისის მუნიციპალიტეტს ახალი გამგებელი ჰყავს. საკრებულომ თანამდებობაზე, 20 ხმით „ქართული ოცნების“ რაიონული შტაბის უფროსი გოგი ბარბაქაძე დაამტკიცა. ყოფილმა გამგებელმა თენგიზ მიროტაძემ თანამდებობიდან წასვლაზე განცხადება დაწერა და მიზეზების განმარტებაზე უარი თქვა. საკრებულოს წევრები კი აცხადებენ, რომ მიროტაძემ გადაწყვეტილება თავად მიიღო და მასზე არანაირი ზეწოლა არ მომხდარა. ახალი გამგებლის, გოგი ბარბაქაძის განცხადებით, გამგეობაში მასობრივ საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს, თუმცა აუცილებლად შეცვლის მოადგილეებს: **„ცვლილებები არ იქნება. შევეცდებით, რომ სამსახურებში ყველა პროფესიონალი კადრი შევინარჩუნოთ, ასევე, მოვიძიოთ გამოცდილი ადამიანები, რომლებიც წარმატებულნი არიან თავიანთ საქმეში“.**

მანამდე კი, დმანისში საკრებულოს „ნაციონალი“ თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წევრმა შეცვალა. რიგგარეშე სხდომაზე, ფარული კენჭისყრის შედეგად, „უპარტიო ფრაქციიდან“ წარდგენილი კანდიდატი ნოდარ ადუაშვილი აირჩიეს. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ კონსერვატიული პარტიისა და „მრეწველების“ წარმომადგენლებს. სხდომას არ დასწრებია საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ბაკურ მგელაძეც. რიგგარეშე სხდომამ ხმაურისა და ინციდენტების გარეშე ჩაიარა. ახლადარჩეული ნოდარ ადუაშვილის განცხადებით, გვერდით დგომის გარეშე, ერთი ადამიანის მუშაობა სასურველ შედეგს არ მოიტანს. მისივე თქმით, საკრებულოს სხდომა დემოკრატიულად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ჩატარდა: **„რაც შეეხება ჩემს პროგრამას, პირველ რიგში, დმანისის მოსახლეობის სოციალურ საკითხებს განვიხილავთ. საკრებულოსთან, გამგეობასთან ერთად, თითოეული ოჯახის პრობლემის გადაწყვეტაზე ვიმუშავებთ“.**

თავის მხრივ, ფრაქცია „ნაციონალების“ თავმჯდომარე ბაკურ მგელაძემ განაცხადა, რომ თანაფრაქციელებთან ერთად, დმანისის საკრებულოში პოლიტიკურ ბრძოლას გააგრძელებს: **„არანაირი სურვილი არ მქონდა „პეესპეს“ მასკარადში მონაწილეობის. მხოლოდ ერთს ვიტყვი — არ განხორციელდა კახა ოქრიაშვილის სურვილი, დაეშალა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა. ჩვენი გუნდი მუშაობას განაგრძობს“.**

ამასთან, დმანისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კახაბერ ოქრიაშვილმა სიცრუე უწოდა ბაკურ მგელაძისა და ნაციონალური მოძრაობის წევრთა განცხადებებს: **„საკრებულოს სხდომას, სადაც თავმჯდომარე გადაირჩიეს, არ ვესწრებოდი. არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. ვფიქრობ, საკრებულოს წევრებმა გადაწყვეტილება პარტიული ნიშნით არ მიიღეს. დმანისელებს**



**სურვილი გაუჩნდათ, საკრებულოს ხელმძღვანელი დმანისელი ადამიანი ყოფილიყო. ამ მოსაზრებას მხარს ვუჭერ“.**

საგულისხმოა, რომ დმანისის საკრებულოში 22-კაციანი ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა 20-მა წევრმა დატოვა. ნაციონალური მოძრაობა საკრებულოს წევრების მიმართ ზეწოლაში დმანისის მაჟორიტარ დეპუტატს, კახაბერ ოქრიაშვილს ადანაშაულებს. „ნაციონალების“ თქმით, არჩევნების დროს, მათი პარტიის წევრი ოქრიაშვილი, საკუთარი ბიზნესინტერესების გადასარჩენად, ახალ მთავრობას შეეკრა. აღნიშნულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს თავად ოქრიაშვილი.

ახლა გადავიდეთ რიგით დმანისელებზე, რომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება რაიონის ხელისუფლების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. მინიატურული ბაზრის მოვაჭრეები ხელისუფლებას სალარო აპარატების გაუქმებასა და ფიქსირებული გადასახადის შემოღებას სთხოვენ. ჩვენთან საუბრისას, ისინი გაუსაძლის სოციალურ ყოფაზე ჩივიან. პრობლემებზე ღია მსჯელობის მიუხედავად, ვინაობის დასახელებასა და ფოტოგადაღებაზე კატეგორიულ უარს ამბობენ.

**„დღის განმავლობაში, რაღაც კაპიკებს ვვაჭრობთ. თქვენც ხედავთ, აქ თითო-ოროლა მყიდველი თუ შემოვა. ერთი წლის წინ, სალარო აპარატის არქონის გამო (დროულად დადგმა ვერ მოვასწარი), ხუთასი ლარით დამაჯარიმეს და დღემდე წელში ვერ გავიმართე. საპარლამენტო არჩევნებამდე, აპარატების გაუქმებას გვპირდებოდნენ, ახლა აღარაფერს ამბობენ. კარგი იქნება, თუ ნავაჭრზე ფიქსირებულ გადასახადებს დაგვაკისრებენ, დაჯარიმების მუდმივი შიში მაინც აღარ გვექნება“, — ამბობს ერთ-ერთი მოვაჭრე.**

დმანისელები ასევე, რაიონში მასობრივ უმუშევრობაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი თქმით, ახალგაზრდების უმეტესობა დაუსაქმებელია და არსებულ რეალობაში გასაქანს ვერსად პოულობს: **„ადრე, ერთ-ერთი წარმატებული რაიონი ვიყავით. აქ რძის, კარაქის, ყველისა და სხვა წარმოებები ფუნქციონირებდა. ძველი სისტემა ხელის ერთი მოსმით განადგურდა და გვარიანი არაფერი შექმნილა. აზერბაიჯანელები კიდევ ბაქოში, თურქეთში გადადიან და რაღაც სამსახურებს შოულობენ. ადგილობრივი ქართველები ამასაც ვერ ახერხებენ. 32 წლის, უმაღლესდამთავრებული შვილი მყავს, დაუსაქმებლობის გამო, რას არ აწყდება, მაგრამ — უშედეგოდ. მის ორ შვილს გაზრდა, განათლების მიცემა ხომ უნდა? მე რომ აქ, ბაზარში არ გამოვდიოდე, ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩებოდა“.**

ჩვენი კიდევ ერთი რესპოდენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურებში, თანამდებობების ნათესაურ-კლანური პრინციპებით განაწილებაზე საუბრობს:



**„ქვეყანაში არჩევნები ჩატარდა, მთავრობა შეიცვალა და აქ, ჩვენთან, ძალიან ნელა იცვლება ყველაფერი. წამყვან თანამდებობებზე ისევ ძველი ხალხია მოკალათებული და არსად აპირებენ წასვლას. თუ ვინმე გავლენიანი ნათესავი და ახლობელი არ გყავს, სახელმწიფო სამსახურში ვერ მოეწყობი. განათლებულ და ნიჭიერ ადამიანებს, უპატრონობის გამო, ყურადღებას არავინ აქცევს. როდის უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი?“**

დმანისის გამგეობის მიერ დაფინანსებული უფასო სასადილო დღეში ორმოცამდე ადამიანს ემსახურება. სოციალურად დაუცველებს, შეუძლიათ, ადგილზე მიირთვან ან სახლში წაიღონ საკვები. 74 წლის თამარ აფაქიძე უკვე წლებია, ამ მომსახურებით სარგებლობს:



**„სოფელ გომარეთში ვარ დაბადებული და გაზრდილი. ადრე რუსეთში, ირკუტსკის ოლქში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. დაოჯახებული ვიყავი, ბავშვი მომიკვდა და ამის შემდეგ, სამშობლოში დავბრუნდით. მეუღლეც აქ, ავარიაში დამეღუპა და სულ მარტო დავრჩი. 11 წელი ჩაწერის გარეშე ვიყავი. მოქალაქეობას არ მაძლევდნენ და ამის გამო პენსიას, დახმარებას ვერ ვიღებდი. სოციალურად დაუცველი ვარ და წლებია, რაიონის უფასო სასადილოში დავდივარ. მომსახურეობით კმაყოფილი ვარ. ყველაფერი გვაქვს, დღეს მაგალითად, ქათმის ხორცი მოგვცეს. გუშინ გუფთა იყო, მოხარშულ კვერცხს გვაძლევენ, თევზს და ა.შ. აქ ყოველდღე მოვდივარ. შაბათ-კვირასაც მუშაობენ. დაახლოებით, ორმოცი ადამიანი დადის ამ სასადილოში. საჭმლის სახლში წაღებაც შეგვიძლია. მე ქილით სახლში მიმაქვს ხოლმე. ამას გარდა, 30 ლარის სოციალურ დახმარებას და 125-ლარიან პენსიას ვიღებ. ახლა კიდევ გამგეობამ ორი კუბმეტრი შეშა მომიტანა. ფული გადავიხადე, დავაჭრევინე და მეხუთე სართულზე ავაზიდვინე. ერთია, საკუთარი ბინა არ მაქვს და დღემდე, სხვის სამყოფელში ვცხოვრობ. თავის დროზე, აქაური ბერძნები სამშობლოში წავიდნენ და ადგილობრივმა გამგეობამ დროებით, მათ საცხოვრებელში შემასახლა“.**

ქალბატონმა თამარმა არ იცის, რამდენი ხნით ექნება აღნიშნულ ბინაში ცხოვრების უფლება: **„დღეს საბერძნეთიდან პატრონი რომ ჩამოვიდეს, სახლიდან გამაგდებენ. ისინი აქამდე არ მინახავს და ცხოვრებას ვაგრძელებ. გამგეობაში ვიყავი და ბინის დამტკიცება ვთხოვე. არ შეგვიძლია და თვითონ სახლის პატრონი ნახეო, მიპასუხეს; სად ვნახო მფლობელი? ცალკე ბინა ჯერ არ მითხოვია და არ ვიცი, ამაზე რას მიპასუხებენ. ჯერჯერობით, ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ და მერე ვნახოთ, რა იქნება“.**

ბინაში ყველაფერი მოშლილი დახვდა, რის შემდეგაც გამგეობაში განცხადება დაწერა და ელექტროენერგია, წყალი გამოუყვანეს: **„დენის ვაუჩერი მაქვს და გადასახადს არ ვიხდი. ბევრს არ ვწვავ; მთელი დღე გარეთ ვარ, დილით გამოსული საღამოს შევდივარ და აბა, მე რას დავხარჯავ? ბავშვი მე არ მყავს და არავინ. წყალზეც აქ არაფერს გვართმევენ. უკვე 74 წლის გავხდი და უპატრონოს რა უნდა გადამახდევინონ?“.**

სურს, ბინა დაუკანონონ და შეძლებისდაგვარად, პენსია დაუმატონ: **„მარტო მე კი არა, ხალხს მოუმატონ. ყველამ თავის დროზე იმუშავა, დაბერდა და საარსებო საშუალება სჭირდება. მთელი ცხოვრება რუსეთში იმიტომ ვმუშაობდი, რომ ბოლოს, სამშობლოში დავბრუნებულიყავი და კარგი პენსიით მეცხოვრა. ამის იმედს დღემდე არ ვკარგავ. ვნახოთ, უფალია მაინც ჩვენი პატრონი“,** — ამბობს თამარ აფაქიძე.

აზერბაიჯანულ სოფელ ჰამამლოში მთავარი პრობლემები სასმელი წყლის ნაკლებობა და უმუშევრობაა. ადგილობრივი მაცხოვრებელი მაგომედ ისაოღლუ „ვერსიასთან“ საუბრისას, პირველ რიგში, ამაზე ამახვილებს ყურადღებას და „ძლიერებს ამა ქვეყნისა“ თანადგომას სთხოვს: **„ჰამამლოდან დმანისამდე მისასვლელი გზა თითქმის გაკეთებულია და ამისთვის მადლობელნი ვართ. მთავარი პრობლემა ისაა, რომ სოფელს წყალი არ აქვს. წყარო ერთ მოშორებულ ადგილას მოდის ტყეში, ორზმანს უძახიან. იქ მისასვლელი გზა მძიმე მანქანებმა დაანგრიეს და მის იმედზე ვერ ვიქნებით. ვთხოვთ მთავრობას, ამ საქმეში დაგვეხმარონ და უწყლოდ არ დაგვტოვონ. ორზმანიდან როგორმე ჩვენამდე უნდა მოიყვანონ. თვითონ სოფელშიც მიმდინარეობს ადგილზე წყლის მოპოვების სამუშაოები, მაგრამ ჩემი აზრით, ამას შედეგი არ ექნება.**

**სარწყავი წყალიც არ გვაქვს. ადრე, საბჭოთა პერიოდში ეს სისტემა კარგად მუშაობდა. დღეს ყველაფერი დანგრეული და გაძარცვულია. სარწყავი პანტიანის ტბიდან არხებით მოედინებოდა და მორწყვის პრობლემა არ გვქონდა. ახლა, ამ საქმეს აღარავინ აქცევს ყურადღებას. ამის გამო, მოსავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა ღმერთი მოწყალე თვალით გადმოგვხედავს. ამ წელს მაგრად ცხელოდა და ვერაფერი შევძელით. ხილი საერთოდ არ გვქონდა, მხოლოდ ქლიავი მოვკრიფეთ. კარტოფილიც კი, მაინცდამაინც, კარგი მოსავალი არ მიგვიღია. წყალი რომ გვქონოდა, ორმაგ მოსავალს მივიღებდით; გასაყიდიც გვექნებოდა“.**

**ბატონი მაგომედი დასაქმების პრობლემაზეც წუხს: „სოფელში ასაკოვანი ხალხი დავრჩით. ახალგაზრდები, ძირითადად, მეზობელ აზერბაიჯანში მიდიან სამუშაოდ. ერთი თვე სამუშაოდ თუ დარჩებიან, 400 იქაური მანათი (დაახლოებით, რვაასი ლარი) უნდა გადაიხადონ. ამდენ ფულს ისინი თვეში ვერ შოულობენ. ჩვენები შეიკრიბნენ და ამ პრობლემაზე აზერბაიჯანის მილი მეჯლისს (პარლამენტს) მისწერეს. მოითხოვეს, ან საერთოდ, გაეუქმებინათ ან მცირე გადასახადი დაეწესებინათ. პასუხი ჯერ არ მიუღიათ. ვინც სწავლობს აზერბაიჯანში, იმას 40 მანათს ახდევინებენ“.**

რაც შეეხება ჰამამლოში ქართული ენის სწავლებას, ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესებულა:

*დასასრული მე-11 გვერდზე*

# უფასო მშობიარობა და გარანტირებული პაციენტები

ეკა ბაქრაძე

**ჯანდაცვის გაზრდილი ბიუჯეტიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეღავათი მომავალმა დედებმა მიიღეს. ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის ინფორმაციით, პირველი ივლისიდან მშობიარობა უფასო იქნება. ხარჯებს ერთიანი სადაზღვევო ფონდი დაფარავს, რომელიც თებერვლიდან ამოქმედდება.**

**„პარლამენტმა ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი შემოიტანა, სადაც ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგებულია. აქამდე, იყო 450 მლნ ლარი, ჩვენ კი ეს 800 მლნ ლარამდე გავზარდეთ. ეს არის სერიოზული განაცხადი.**

**ვემზადებით, რომ შემოვიტანოთ ერთიანი სადაზღვევო ფონდი. ეს ნიშნავს, რომ თითოეული პაციენტი იქნება გარანტირებული და სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას თითოეული მოქალაქის მიმართ. პირველი ივლისიდან კი მშობიარობა, საერთოდ, უფასო იქნება. ასევე გაიზარდა შემწეობები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის“,** — განაცხადა ხუნდაძემ საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანნას სახელობის სამშობიაროში სტუმრობისას.

დეპუტატ გუგული მაღრაძის ინფორმაციით კი, ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი თებერვლიდან ამოქმედდება: **„დღეისთვის, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ პენსიონერები, 5 წლამდე ასაკის ბავშვები და სოციალურად დაუცველი პირები არიან დაზღვეულნი. ყველა სხვა დანარჩენი მოქალაქე, რომელთა რაოდენობაც, დაახლოებით, 2 მილიონია, დაზღვევით ვერ სარგებლობს. ამ ადამიანებს ე.წ. ძირითადი დაზღვევა ექნებათ. საუბარია დაახლოებით, ისეთ პაკეტზე, როგორც პენსიონერებს აქვთ, თუმცა შევეცდებით, მომსახურება ხარისხიანი იყოს. ეს გულისხმობს ნებისმიერ ექიმთან უფასოდ კონსულტაციას, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, როგორც ამბულატორიულს, ასევე სტაციონარულს.**

**აღნიშნული პაკეტი თებერვლიდან ამოქმედდება. სექტემბრიდან დაზღვევის გაფართოებულ პაკეტზე გადავალთ, რომელიც გეგმური სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას გულისხმობს. სადაზღვევო პოლისებში ჩადებულია უფასოდ მშობიარობა, ხოლო თუ ვინმეს განსაკუთრებული პირობები სურს, მას შეუძლია, დამატებით გადაიხადოს. ყველა სამშობიარო სახლი სახელმწიფოსგან სათანადო ანაზღაურებას მიიღებს იმისთვის, რომ მშობიარობა უფასო იყოს“.**



უფასო მშობიარობის პროგრამა 2009 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა. მას შემდეგ, სახელმწიფო მხოლოდ სოციალურად დაუცველებს და ისიც, მხოლოდ 400 ლარით ეხმარებოდა. დემოგრაფი ანზორ თოთაძე ხელისუფლებას ახალ ინიციატივას უწონებს და მიიჩნევს, რომ უფასო მშობიარობა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ნამდვილად აისახება.

**„შობადობის შემცირებას აქვს ორი ძირითადი მიზეზი, ესაა ეკონომიკური მდგომარეობა და ჯანმრთელობა. როცა მშობიარობა უფასო გახდება, ცხადია, ეს ხელს შეუწყობს შობადობის გაზრდას და ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას.**

**აზერბაიჯანში ორსულობის დაწყების დღიდან მშობიარობამდე ყველა სამედიცინო მანიპულაცია ორსულისთვის უფასოა და მას სახელმწიფო ანაზღაურებს. სომხეთში, როდესაც ორსული ქალი სამშობიაროში შეჰყავთ, სახელმწიფო მას 350 დოლარს აძლევს, საიდანაც 60% მიდის მედპერსონალის დაფინანსებაზე, დანარჩენი 40% კი იმ აუცილებელ ნივთებზე, რაც დედა-შვილს სჭირდება.**

**ჩვენთან ძალიან ცუდი სიტუაციაა, ორსულ ქალს (თუ არ არის სოციალურად დაუცველი) სახელმწიფო არაფერს უნაზღაურებს. ეს კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე აისახება. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ ოჯახებს, რომელთაც 3, 4 და მეტი შვილი ჰყავთ, ძირითადად, 1 და 2-შვილიანი ოჯახები სჭარბობს“,** — აღნიშნა „რეზონანსთან“ საუბრისას ანზორ თოთაძემ.

## საქართველოში ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იმყოფება



საქართველოში ოფიციალური ვიზიტით, ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ტენ ბრუკი იმყოფება. **„საქართველოში ეს ჩემი პირველი ვიზიტია. არჩევნების შემდეგ გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი, რადგან რეგიონში საქართველო ერთ-ერთი პერსპექტიული ქვეყანაა. მინდოდა მენახა, როგორ ვითარდება საქართველო და როგორია მისი მომავალი“,** — განაცხადა ჟურნალისტებთან ჰოლანდიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ტენ ბრუკმა.

ვიზიტის ფარგლებში, ტენ ბრუკი პირველ ოფიციალურ შეხვედრას „თბილისი მარიოტში“, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, დავით დარჩიაშვილთან გამართავს. ასევე დაგეგმილია შეხვედრები თავდაცვის მინისტრთან, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, საგარეო და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეებთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან. ხვალ კი, ტენ ბრუკი ოკუპირებული რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვართანაც გაემგზავრება.

## ბიძინა გიორგობიანი საქართველოში, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს დაბრუნდება



სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ბიძინა გიორგობიანი საქართველოში, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს დაბრუნდება. მანამდე კი, გიორგობიანის ადვოკატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მასზე ინტერპოლით ძებნის გაუქმების თხოვნით უნდა მიმართოს.

**„თუ პრეზიდენტი ამნისტიის შესახებ კანონპროექტს ხელს არ მოაწერს და ამას პარლამენტის თავმჯდომარე გააკეთებს, ჩემმა ადვოკატმა უნდა მიმართოს შსს-ს ინტერპოლის განყოფილებას, რათა ჩემზე გამოცხადებული ინტერპოლით ძებნა გაუქმდე. როგორც კი ეს დოკუმენტი მექნება, ალბათ, მაქსიმუმ ერთ კვირაში ჩამოვალ თბილისში. ეს იქნება იანვრის ბოლო, თებერვლის დასაწყისი“,** — განაცხადა „რუსთავი-2“-თან საუბარში ბიძინა გიორგობიანმა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საქმეების შემსწავლელი კომისია უახლოეს მომავალში კვლავ შეიკრიბება



პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საქმეების შემსწავლელი კომისია უახლოეს მომავალში კვლავ შეიკრიბება.

როგორც „პირველს“ კომისიის წევრმა, მოსამართლე ნინო გვენეტაძემ განუცხადა, კომისიას მანდატი 1 თვით გაუგრძელდა: **„როცა კომისიამ მუშაობა დაასრულა, მაშინვე ითქვა, რომ მანდატი კიდევ ერთი თვით გაუგრძელდა, თუმცა როდის გადის აღნიშნული ვადა, ჩემთვის უცნობია. ასევე უცნობია, როდის იკრიბება კომისია, ეს სავარაუდოდ, ძველით ახალი წლის შემდეგ მოხდება“.**

გავრცელებული ინფორმაციით, კომისია ცნობილ საქმეებსაც განიხილავს, მათ შორის, ლევან მამალაძის, ემზარ კვიციანის, იგორ გიორგაძის, ირაკლი ოქრუაშვილისა და ა.შ.

*„პირველი“*

რეპორტაჟი

# რა პრობლემები აწუხებთ დმანისელებს

*მე-10 გვერდიდან*

**„ორი ქართველი გოგონა მუშაობს ჩვენთან მასწავლებლად. კარგია, რომ მათ აზერბაიჯანული არ იციან და ჩვენს ბავშვებს მხოლოდ ქართულ ენაზე ესაუბრებიან. შედეგიც სახეზეა. კმაყოფილები ვართ, რომ მთავრობა ჩვენს პატარებზე ზრუნავს“,** — დასძენს ისაოღლუ.

დმანისის სამკერვალო ატელიეში ადრე, 82 ადამიანი იყო დასაქმებული. ახლა, მთელი რაიონის მასშტაბით, ერთი ოთახი მუშაობს, სადაც 64 წლის ლამარა ქოჩორაძე ყოველდღიურად, სოფელ დიდი დმანისიდან დადის. ჩვენთან საუბრისას ქალბატონი ლამარა ამბობს, რომ სანამ შრომა შეუძლია, საყვარელ საქმეს თავს არ დაანებებს: **„45 წელია, ეს სამკერვალო ატელიე მაქვს. მუშაობა რომ დავიწყე, 19 წლის ვიყავი. სპეციალობა თბილისის 35-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში მივიღე და აქ გამანაწილეს. ადრე ბევრი სამკერვალო იყო და ამ სფეროში 82 ადამიანი ვმუშაობდით. დიდი საწარმო გვქონდა. 90-იან წლებში არეულობა რომ მოხდა, ყველანი აქეთ-იქით დაიწეწნენ და ამ საქმეს დმანისში მარტო მე შემოვრჩი. ბევრი ქალის ტანსაცმელზე მუშაობდა. მე მამაკაცის ტანსაცმელსაც თავიდანვე ვკერავდი. მამაკაცის პიჯაკს თუ თავ-ბოლოს გამოაბამ, რა თქმა უნდა, ქალის კაბასაც შეკერავ. ახლა უკვე ყველაფერს ვაკეთებ. სამსახურის დაშლის მერე, ცალკე ბინა ვიქირავე და გავაგრძელე საქმიანობა. თვეში ოცდაათ ლარს ვიხდი ამ ბინის ქირაში. ძირითადად, შეკვეთები გადაკეთებაზე შემოდის. ახლა სეზონია და კლიენტი არის, არა უშავს. ადრე რაიონში შეკვეთები ნებისმიერ დროს თავზე საყრელად გვქონდა. ახლა, მარტო ვმუშაობ და იმდენი აღარ შემოდის. თუ არის, ტოტია გადასაჭრელი, ასაკეცი, გადასაკეთებელი. სხვა მოთხოვნილება აღარ ჩნდება. მე პიჯაკებისა და პალტოების კერვა მაქვს დამთავრებული. მაგრამ იშვიათი შემთხვევაა, რომ აქ პიჯაკზე მოთხოვნა შემოდიოდეს. მთავარი მიზეზი ალბათ ისაა, რომ მეორადი ტანსაცმელი შემოდის დიდი რაოდენობით. შეიძლება მიზეზი ისიცაა, რომ რაიონში ნაჭრები არ იშოვება. ნორმალურ ნაჭერს აქ ვერსად იყიდი“.**



ქალბატონი ლამარა სოფელში მარტო ცხოვრობს, რადგან შვილები თბილისში არიან წამოსულები: **„მწირი შემოსავალი მე მყოფნის და არ მინდა, მათ კისერზე ვიყო, სანამ შემიძლია. კარგი შვილები მყავს, მპატრონობენ; მაგრამ ჯერ შემიძლია შრომა და რატომ უნდა დავჯდე სახლში? პენსიასაც ვიღებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან არანაირი პრობლემები არ მაქვს. საგადასახადო ჩვენ საერთოდ არაფერს გვახდევინებს. წვრილი მეწარმეები ჯერჯერობით, ამისგან გათავისუფლებულნი ვართ. მადლობა ამისთვის. ისე, რეგისტრირებული ვარ, როგორც ინდივიდუალური მეწარმე. თუ შეიცვლება და რამე გადასახადს დამაკისრებენ, ალბათ, ვერც გადავიხდი იმიტომ, რომ ოთახის ქირას ვიხდი, გზად სოფლიდან დმანისამდე, თვეში, 40-50 ლარი მჭირდება; ასევე დენისა და გათბობის საფასურს ვიხდი, შეშა თვითონ მომაქვს. ამას კვება ემატება და სხვა გადასახადს, ალბათ, ველარ შევძლებ. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობას შევხედავ და ისე ვიმოქმედებ. სამუშაოს დაკარგვა კი, ნამდვილად არ მინდა“.**

სოფელში ვერ იმუშავებს, რადგან კლიენტი საერთოდ არ მოიპოვება. მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და უკეთესობის იმედი აქვს: **„რაც მართალია, მართალია — სააკაშვილის უკმაყოფილოც არ ვიყავი. ჩვენთანაც ბევრი რამ გაკეთდა. გაივლი, გესიამოვნება — შენობები, ქუჩა, ტროტუარები გაკეთებულია. ბიძინა ივანიშვილის იმედიც ნამდვილად მაქვს. ალბათ, ქვეყნის ცხოვრება უფრო უკეთესობისკენ წავა. ჩვენი მთავარი სურვილი ისაა, რომ აქაური ახალგაზრდები რამით დაკავებულები იყვნენ, სულ უმუშევრები არიან. ჩემი ბიჭებიც თბილისში მუშაობენ და თავს ტაქსაობით ირჩენენ. მუდმივად შიშის ქვეშ ვარ, რომ აი, ახლა, რაღაც მოუხდებათ-თქო. ერთი ორჯერ ავარიაც გააკეთეს. არადა, სხვა საქმე არ არის. მინდა, ახალგაზრდები დასაქმდნენ, რომ ოჯახების რჩენა შეძლონ“,** — ამ სიტყვებით გვემშვიდობება ლამარა ქოჩორაძე.

დმანისიდან დედაქალაქისკენ ბოლო „მარშრუტკას“ მოვყვებით და გზად გვიღამდება. ულამაზესი მთაგორიანი ხედები ნელნელა უკუნ სიბნელეში ინთქმება. ოდესღაც, აქ აფრიკის კონტინენტიდან წამოსული პირველი ევროპელები სახლობდნენ. დღეს ადგილობრივი ქართველები და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ერთმანეთის გვერდიგვერდ, მეგობრულად ცხოვრობენ და უკეთესი მომავლის იმედს არ კარგავენ. ბევრს არ ითხოვენ — დასაქმებას, სამსახურს, რომ ოჯახები შეინახონ და გადასახადების გადახდა არ გაუჭირდეთ. ახალმა მთავრობამ რეგიონების განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. მათ შორის დმანისში, ამის დიდი მოლოდინია.



# „არ არიან ესენი გმირები! მიგვატოვეს ბრძოლის ველზე და სასიკვდილოდ გაგვიმეტეს!“

## რა ინფორმაციის მიწოდება უნდა კაპიტან უჩა გუგუჩიას პირადად ირაკლი ალასანიასთვის

დავით დევიძე
5(93) 219 042

**კაპიტანმა უჩა გუგუჩიამ, 2008 წლის აგვისტოს, საკუთარი თვალით ნახა ბრძოლის ველიდან გაქცეული „გმირი“ გენერლები. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ მისთვის ომი რუსეთ-საქართველოს ბრძოლების დამთავრების შემდეგაც არ დასრულებულა. სააკაშვილის ხელისუფლებას არ აწყობდა საკუთარი კრახის თვითმხილველები, ამიტომ ბატონი უჩა გუგუჩია ისევე, როგორც ბევრი სხვა პატრიოტი ოფიცერი, თითიდან გამოწოვილი მიზეზით დაითხოვეს ჯარიდან. ბატონი უჩა „ვერსიას“ „მთავარსარდალ“ სააკაშვილის მიერ ჩატარებული „გმირული“ ომის შესახებ უამბობს და იმ მეთოდებზეც საუბრობს, რომლებითაც არასასურველი ოფიცრებისგან არმიის წმენდა ხდებოდა.**

— სენაკის მე-2 ბრიგადაში ვმსახურობდი. 2008 წლის 7 აგვისტოს, საღამოს, გამოცხადდა ყაზარმული მდგომარეობა. მოაწყვეს ასეულები, საბრძოლო ბატალიონები დატოვეს ადგილზე, წინამძღოლად დაზვერვის ასეულის მეთაური ელგუჯა ბიბინიძე დაგვინიშნეს. საღამოს 8 საათზე გორში დავბანაკდით. შტაბში თათბირი ჩატარდა. გამოგვიცხადეს, გავდივართ საბრძოლო მოქმედებების ჩასატარებლად, რადგან ვმონაწილეობთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაშიო.

**— ანუ, ბრძანება თავდაცვაზე კი არა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გაიცა?**

— არანაირი თავდაცვა! გვითხრეს, რომ მივდიოდით საბრძოლო მოქმედებების შესასრულებლად. იქ ვნახე ჩემი მეგობარი გელა ჭედია, 53-ე ბატალიონის მეთაური. მითხრა, ერგნეთის მიმართულებით შევდივართ, თქვენ კი უკან გამოგვყვებით, ერთმანეთთან კომუნიკაცია გვექნებაო. ასე, მიგვაერთეს 53-ე ბატალიონს ცალკეული ასეულები, თუმცა რა კომუნიკაციაზეა საუბარი — 53-ე ბატალიონი ჩაიკარგა ცხინვალთან, ჭედიაც იქ დაიღუპა. ერგნეთში შევედით და პოლიციის „ტეკთან“ დავბანაკდით... ერგნეთის ბაზრობა ცეცხლში იყო გახვეული. ცხინვალის თავზე თვითმფრინავები დაფრინავდნენ, ყველგან ქაოსი და განუკითხაობა იყო. ბიჭების უმეტესობა შეშინდა. გამშვებ პუნქტთან საშვებს რომ ამოწმებდა და წინა ხაზზე გაუშვებ, შეშინდება, აბა, რა. არ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. იქვე, ხის ძირში ჩამოვჯექი, სახლში უნდა დამერეკა. ამ დროს, ახლოს რაღაც გასკდა და irგვლივ ყველაფერი ცეცხლში გაეხვია. ბიჭებისკენ გავიქეცი. ვხედავ, მათი სხეულები აქეთ-იქითაა მიმოფანტული. ცოცხლებში პანიკა ატყდა და უკან დაიხიეს. ძლივს მოვახერხეთ შეშინებული ხალხის შეკრება-დამშვიდება. გავიგეთ, რომ სენაკიდან ჩვენი ბატალიონი წამოსულა, რომელიც ავნევში შეიყვანეს, მაგრამ ეს აღარაფერს ნიშნავდა. არანაირი ბრძანება არ გვქონდა და არც ის ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით. იმ ღამეს დაზვერვის ასეულმა მოწინააღმდეგის კოლონა შეამჩნია. უკან დავიხიოთო, — აღრიალდა ხალხი. იძულებულები გავხდით, დაგვეხია და შინდისთან გავჩერებულიყავით.

**— მტრის მოგერიება და თავდაცვითი პოზიციების გამაგრება არ გქონდათ გათვალისწინებული?**

— თავდაცვას როგორ მოვახერხებდით, არანაირი კოორდინაცია არ გვქონდა. მეთაური ბიბინიძე ავნევისკენ წავიდა, მხოლოდ ჩვენი ასეული ჩარჩა და 21-ე ბატალიონს შევუერთდით. ნიქოზის ასასვლელთან, სკოლაში დავბანაკდით. გადავწყვიტეთ, რუსების დასახვედრად გავსულიყავით, მაგრამ... სადღა იყო ხალხი? — შვიდნი აღმოვჩნდით ადგილზე. მხოლოდ პოლიციელები მოიქცნენ ვაჟკაცურად, არსად გაქცეულან, დაჭრილები და მიცვალებულები გამოჰყავდათ. „გმირი“ გენერლები კი „პრადოებით“ გაიქცნენ. ყველამ მიგვატოვა. ჩინოსნებიდან ერთადერთი კაცი დარჩა, გენშტაბის უფროსის მოადგილე, შმაგი თელია. იმ ღამით ჩვენს ბრიგადას შევუერთდით ავნევში, იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და შინდისთან დავბანაკდით. ეს ხდება 9 აგვისტოს, საღამოს. მეორე დღეს, კაპიტანმა ზეზვა ლიპარტელიანმა გვითხრა, ალყაში ვართ, „გრანატამიოტები“ აიღეთ და ტანკებს წინააღმდეგობა გაუწიეთო. ბრძანება შევასრულეთ და პოზიცია დავიკავეთ, მაგრამ ხალხი ძალიან დაბნეული იყო. ლიპარტელიანმა თავისი და შტაბის უფროსის მანქანები შინდისის მიმართულებით გაუშვა. ხალხს ეგონა, მეთაურები გარბოდნენ და ამიტომ მთელი ჩვენი კოლონა გაჰყვა ამ მანქანებს.

**— გამოდის, ომში ყველაფერი გაუთვლელი და უმართავი იყო?**

— დიახ. მანქანების გაშვება, ალბათ, ფანდი იყო — თვითონ სხვა ადგილიდან აპირებდნენ გაძვრომას. ერთი სიტყვით, იძულებულები გავხდით, წავსულიყავით. უცებ, ეს უკანდახეული კოლონა გაჩერდა — ჩვენს წინ სამი ტანკი იდგა და სროლისთვის მზად იყო, მაგრამ თეთრი ალმები აგვიფრიალეს და გაგვატარეს. თურმე, ჩასაფრებაში გაგვიშვეს. წინ სხვები შეგვხვდნენ და ცეცხლიც გაგვიხსნეს, აქ დავკარგეთ ყველაზე მეტი მებრძოლი. მეთაურები უკვე აღარ იყვნენ ჩვენ გვერდით. ტყვიის წვიმაში აღმოვჩნდით, სადაც კოორდინაციაზე საუბარი ზედმეტი იყო. არავინ იცოდა, რა მიმართულებით ისროდა და ამ ქაოსში ზოგმა გასროლაც კი ვერ მოასწრო, ისე შეეგება ტყვიას... თავში ნამსხვრევი მომხვდა და გონი დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, რაღაც შენობას შევაფარე თავი. იქ ორი ბიჭი დამხვდა, კიდევ მოვიდა რამდენიმე და საბოლოოდ, ექვსნი მოვგროვდით. ფანჯრიდან ვისროდით, რამდენიმე წამში ეს შენობაც ნანგრევებად აქციეს. ბრიგადის მეთაურს, ზეზვა ლიპარტელიანს დავურეკე და ვკითხე: აქა და აქ ვარ, დაჭრილებთან ერთად და სად წავიდე, კოორდინატები მომეცით, თქვენ კი ეს ადგილი დაბომბეთ, საკუთარ თავს აღარ დავეძებ-მეთქი. მხოლოდ ის მკითხა, მანდ რა გინდაო და სხვას გადასცა ტელეფონი.

**ხაზზე კაპიტანი ბენიძე იყო. მითხრა, მთვარე დატოვე მარცხნივ და მარჯვნივ იარე, ჩვენ უკვე ხაშურში ვართო. ბიჭები სამშვიდობოს იყვნენ გასულები! დღეს დიდი პიროვნებაა ბენიძე. პენტაგონშია ატაშედ. გიგი კალანდაძის ძმაკაცია და მასავით „გმირია“. მე კი იმ დღეს ასეთი მითითება მომცა...**

ბრძოლის ველზე რუსები დაჭრილებზე საკონტროლო გასროლებს ახორციელებდნენ. იმედი გადაგვეწურა. სამმა ჯარისკაცმა აიჩემა, აქ დარჩენას აზრი არ აქვს, უნდა წავიდეთო. მე ორი დაჭრილი ვერ მივატოვე და დავრჩი. რუსებმაც გადაწყვიტეს, გათენებას დალოდებოდნენ და საბოლოო განმენდისთვის მომზადებულიყვნენ. მე იმედიც აღარ მქონდა, რომ ვინმე მოვიდოდა დასახმარებლად. სწორედ მაშინ გამიჩნდა თვითმკვლელობის სურვილი, იარაღი გადავტენე და ლულა პირში ჩავიდე. ცოტა ხნით შევყოვნდი. თითქოს, მთელმა ცხოვრებამ გამირბინა თვალწინ და უცებ... ერთ-ერთი დაჭრილი მეუბნება: „კამანდირ, ამათ ხელში ნუ ჩამაგდებ, ჯერ მე მომკალი“. ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. გადავწყვიტე, როგორმე გავსულიყავით იქიდან. ორმა ავიყვანეთ შედარებით მძიმედ დაჭრილი და წამოვედით. უცებ, ლაზერი მომანათეს. გადავხტი და გასროლის შემდეგ, ბიჭებს ველარ შევეხმიანე. იფიქრეს, მოკვდაო და წავიდნენ.

დავრჩი მარტო. დილას უკვე გამოსული ვიყავი ცეცხლის ხაზიდან. ერთმა კაცმა, გვარად საბაშვილმა მიპატრონა. რამდენიმე დღე დავრჩი სოფელში. ბოლოს, საპატრიარქოს თანამშრომლებთან ერთად გამოვედი იქიდან. გორში მათიას იორში იყო ჩამოსული და მთელი ჩვენი დიდკაცობა ახლდა. გიგი წერეთელმა მითხრა, აქედან როგორ გაგიყვანთ, პასპორტი არ გაქვსო. ისევ ვარძელაშვილმა ივაჟკაცა, იორშის კოლონას გავაყოლოთო. ასე, წვალებით ჩამოვედი თბილისში და როცა თავი სამშვიდობოს მეგონა, მაშინ დაიწყო მთელი უბედურება.

**— რას გულისხმობთ?**

— ვნახე ჩემი უფროსი ლიპარტელიანი, თითქოს ყველაფერი ძველებურად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვგრძნობდი, ამათ გვერდით ყოფნა აღარ შემეძლო. მიგვატოვეს ბრძოლის ველზე და სასიკვდილოდ გაგვიმეტეს! გიგი კალანდაძე შემპირდა, სხვაგან გადაგიყვანო. მანამდე შვებულება ავიღე. შვებულებიდან გასვლა, ოჯახური პრობლემის გამო, ორი დღით დამიგვიანდა. ლიპარტელიანმა ამის გამო მომისაჯა ხუთი დღით პატიმრობა, თუმცა მივხვდი, რატომ მოხდა ეს — მაგათი „გმირობის“ მოწმე ვიყავი და ეს არ აწყობდათ. 5 დღეც გავიდა და არსად გადამიყვანეს, ამასობაში, ახალი მეთაური მოვიდა, პოლკოვნიკი მერაბ კიკაბიძე. ომამდე ერთი მევახშე ქალის პროცენტიანი ვალი მქონდა, რომელიც კიკაბიძის ნათესავი აღმოჩნდა. თანხის ნაწილი დავუბრუნე, მაგრამ პროცენტი დამრჩა გადასახდელი. კიკაბიძემ მიბრძანა, იმ ქალს პროცენტი მიეციო. ვუპასუხე, მეთაური ხარ თუ მეპროცენტე-თქო. ატყდა ერთი ამბავი. დაურეკა გიგი კალანდაძეს, რომელიც მაშინ უკვე სახმელეთო ჯარების სარდალი იყო, იმანაც მხარი აუბა: გააგდეთ ჯარიდანო.

**— გამოგაგდეს?**

— ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ამ ხალხს გამოვერიდე და დამნიშნეს კრწანისში საავტომობილო ოცეულის მეთაურად. ახალი მეთაური მალხაზ მერლანი, ვაჟკაცი აღმოჩნდა — გადამიყვანა კავშირგაბმულობის კვანძის უფროსად. გიგი კალანდაძემ კი, ამასობაში, თავისი კურსელები დანიშნა საკვანძო თანამდებობებზე მთელ ჯარში. მერლანიც გადაიყვანეს. მის ნაცვლად, მოვიდა ამათი კაცი, პოლკოვნიკი რომან შველიძე. საოცარი „სასტავი“ იყო. რადგან ბაჩო ახალაია მეგრელი იყო, გიგი კალანდაძეც სწავლობდა მეგრულს, კიკაბიძეც და ყველა მეთაურიც. ვატყობდი, მიზეზებს ეძებდნენ ჩემ გასაგდებად. ოთახთან სხვის მიერ დაგდებული სიგარეტის ნამწვის გამო ამიტეხეს ერთი ამბავი, ხალხი ამიმხედრეს... მერე, ტელეფონი დამინახეს ხელში და სამხედრო პოლიციას დაურეკეს. მათ სთხოვეს, ერთი შანსი მივცეთო, შველიძეც დათანხმდა: 10 დღეში თუ მოიტანს მოთხოვნას, სხვაგან გადავიდესო. მე-4 ბრიგადის მაშინდელი მეთაური დამპირდა, მოთხოვნას მოგცემო. ბოლოს კი მითხრა, შველიძეს ბოდიში მოუხადე ხალხის წინაშე და სადმე გადაგიყვანთო. საბოდიშო რა მქონდა? უარი ვთქვი. შედეგმაც არ დააყოვნა — 10 დღის შემდეგ დამიბარეს და პატაკის დაწერა მომთხოვეს, შეიარაღებული ძალების დატოვების თაობაზე. მითხრეს, ეს პირადად აინტერესებს მინისტრსა და მის გარემოცვას, თუ არ დაწერ, პრობლემები შეგექმნებაო. მაშინ 7 თვეღა იყო დარჩენილი ჩემი კონტრაქტის ვადის გასვლამდე. ბრძოლის ველიდან რომ გამოვედი და დამკითხეს, ყველაფერი დაწვრილებით მოვყევი. ის ოქმი შენახულია. არ არიან ესენი გმირები. საგმირო არაფერი გაუკეთებიათ! ბრძოლის დროს გაიპარნენ და ამაზე ვერ გავჩუმდი. ან როგორ შეიძლებოდა გაჩუმება, როცა საკუთარი თვალით ვნახე, როგორ იხოცებოდნენ ბიჭები, უაზროდ, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე.

**— დღეს ჯარში შეიცვალა სიტუაცია. ადრე გათავისუფლებულ კადრებს უკან აბრუნებენ. თქვენ რას აპირებთ?**

**— დავწერე განცხადება ახალი მინისტრის სახელზე. კომისიაა შექმნილი და პასუხს ველოდები. ვნახოთ, რა იქნება. მინდა, პირადად შევხვდე ირაკლი ალასანიას და ყველაფერი ვუამბო. ბევრი რამაა ისეთი, რასაც საჯაროდ არ ვილაპარაკებ, მაგრამ სამინისტროში ეს უნდა გაიგონ.**

## ვერსიანიუსი

## იტალიაში, მკვლელობის ბრალდებით, 24 წლის ნათია თათარაშვილი დააკავეს



იტალიაში, კერძოდ ტოსკანაში, საქართველოს მოქალაქე, 24 წლის ნათია თათარაშვილი დააკავეს.

როგორც „მედიანიუსს“ იტალიიდან ქართველმა ემიგრანტებმა აცნობეს, გავრცელებული ინფორმაციით, ნათია თათარაშვილმა 90 წლის ქალი მოკლა, რომელთანაც მომვლელად მუშაობდა. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. იტალიური მედიის ცნობით, თათარაშვილს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, თავის მოკვლა სცადა. მომხდართან დაკავშირებით, ოფიციალური ინფორმაცია იტალიაში საქართველოს საკონსულოს არ აქვს. იტალიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები არ გამორიცხავენ, რომ ქალაქ პრატოში მომხდარი შემზარავი მკვლელობის ფაქტის შემდეგ, დასაქმებასთან დაკავშირებით, გარკვეული პრობლემები შეექმნათ. საუბარია ქართველ ქალებზე, რომლებიც იტალიაში მოხუცებსა და ბავშვებს უვლიან.

**„ეს ინფორმაცია იტალიის ნაციონალურმა ტელეარხმაც გააშუქა, რის შემდეგაც, ნეგატიური ემოციური ფონია შექმნილი ქართველ ბადანტეებთა (მომვლელი) მიმართ“,** — განუცხადა „მედიანიუსს“ იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა, ნატო საათაშვილმა და დასძინა, რომ ბოლო პერიოდში, სამსახურის შოვნა ისედაც ჭირდა და გამორიცხული არ არის, ამ ფაქტის შემდეგ, უფრო გართულდეს.

როგორც ცნობილია, იტალიის ქალაქ ფლორენციასთან მდებარე პატარა ქალაქ პრატოში, 24 წლის ქართველი ნ. თ. 90 წლის ქალის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ინციდენტი ორი დღის წინ მოხდა. იტალიური მედიის ინფორმაციით, მკვლელობის დროს ქართველი ახალგაზრდა აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი უკვე დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება.

*„მედიანიუსი“*

## მარნეულში მომხდარი მკვლელობა გახსნილია




შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მარნეულის რაიონის სოფ. ალგეთის მცხოვრები, 1978 წელს დაბადებული რამიკ ა. თბილისში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი დოვრუშოვების ოჯახის გადარჩენილი წევრის მოსაკლავად, ვოლტერის პისტოლეტითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული, მარნეულის საავადმყოფოში მიდიოდა. რამიკ ა.-ს განმარტებით, კონფლიქტი ოჯახებს შორის ეჭვიანობის ნიადაგზე წარმოიქმნა.

დაკავებულმა, 2013 წლის 1 იანვარს, ცეცხლსასროლი იარაღისა და ხელყუმბარის გამოყენებით, საკუთარი მეზობლები, დოვრუშოვების ოჯახის ორი წევრი მოკლა და მესამე დაჭრა. 1965 წელს დაბადებული რამიზ დოვრუშოვი და მისი მეუღლე 1966 წელს დაბადებული ჯავა ალიევა, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო მათი ვაჟი, 1989 წელს დაბადებული ვალი დოვრუშოვი მარნეულის რაიონის საავადმყოფოში, კრიტიკულ მდგომარეობაში მიიყვანეს. იგი დღემდე, „ჯეოჰოსპიტალის“ რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება და მისი მდგომარეობა კვლავაც მძიმეა.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით აღიძრა, რაც 16-დან 20-წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# „ტრასეკას“ სომხური განზომილება, ანუ ვის აძლევს ხელს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა

ზურაბ გამრეკელი

**ა/წლის 20 დეკემბერს, სომხურმა გამოცემა lragirma გამოაქვეყნა სტატია „კავკასიის მთავარი არტერია სომხეთზე გაივლის“ (რუსულად ის „ინოსმიმ“ გამოაქვეყნა: http://www.inosmi.ru/sngbaltia/20121220/203548294.html#ixzz2FmrRE500). მასში საინტერესოდაა ინტერპრეტირებული საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის განცხადება რკინიგზის სფეროში რუსეთთან შესაძლო თანამშრომლობის შესახებ. სტატიის ავტორთა განმარტებით, „რუსეთ-საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის“ (რაც ბუნებაში არ არსებობს, — ზ.გ.) გახსნის სურვილზე ქართული მხარის განცხადება, ამ საკითხს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს... აღსანიშნავია, რომ „ლრაგირის“ სტატიაში სამხრეთ კავკასია წარმოდგენილია, როგორც „...სარკინიგზო კომუნიკაციების თვალსაზრისით, საკმაოდ საცოდავ მდგომარეობაში მყოფი რეგიონი, რაც მის სატრანსპორტო პოტენციალს არ შეესაბამება... რეგიონში მილსადენების ქსელი არის, მაგრამ ...ახლა ფაქტობრივად, არ არსებობს რეგიონული რკინიგზა“.**
**ეს განმარტება, გარკვეულწილად, სიმართლეს შეესაბამება, თუმცა ჩვენს რეგიონს „საცოდავს“ ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან მას დიდი სატრანსპორტო პოტენციალი აქვს. კერძოდ, ევროპასა და აზიას შორის ყოველწლიურმა საქონელბრუნვამ, 2005 წლისთვის, 700 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. აქედან თითქმის ნახევარი ჩინეთზე მოდის. უკვე 2011 წელს ეს მაჩვენებელი ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. მართალია, ახლა აზიური ტვირთის ძირითადი ნაწილი ევროპაში რუსეთის გავლით მიდის, თუმცა კავკასიის სატრანზიტო მიმართულება — „ახალი აბრეშუმის გზა“, დასავლეთისკენ მიმართული რუსული მარშრუტების სერიოზულ ალტერნატივად მოიაზრება. ჩინეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს რეალური შესაძლებლობა მიეცათ, ევროპას არა მარტო რუსეთის, არამედ კავკასიის გავლითაც დაუკავშირდნენ. ამავე დროს, სამხრეთ კავკასიაზე შეიძლება გავიდეს ჩრდილოეთი-სამხრეთის საკმაოდ პერსპექტიული დერეფანიც – ყოფილი „ამიერკავკასიის რკინიგზის“ (ამჟამად „საქართველოს რკინიგზა“ და „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა“) მარშრუტით. სწორედ ამიტომაა აუცილებელი საქართველოში რეგიონული რკინიგზების დივერსიფიცირებული ქსელის შექმნა.**

## ახალი რეგიონული მარშრუტი

სომხურ სტატიაში კრიტიკულადაა ნახსენები ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა, რომელიც ავტორების აზრით, დასავლეთის მიერ საერთოდ, იგნორირებულია, რადგან „...აშშ-მაც, ევროკავშირმაც მის დაფინანსებაზე უარი განაცხადეს. საქმე ის კი არაა, რომ ეს გზა სომხეთს გვერდზე იტოვებს და ზრდის დაძაბულობას, არამედ დასავლეთს არ სურს, ერთადერთი რეგიონული რკინიგზა აზერბაიჯანისა და თურქეთის (რომელიც, სხვათა შორის, ნატო-ს წევრია, — ავტორი) ანაბარა დატოვოს“. ეს უყურადღებობა მიჩნეულია ამ გზის უმთავრეს ნაკლად და „სტრიქონებს შორის იკითხება“ საქართველოსადმი, როგორც ევროატლანტური ორიენტაციის მქონე ქვეყნისადმი მოწოდება — თავი დაანებოს დასავლეთისთვის ამ უინტერესო პროექტში მონაწილეობას...

თუმცა, ა/წლის 24 დეკემბერს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველო არ აპირებს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის შეჩერებას. ამავე დროს, ბატონი ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ ტვირთბრუნვა „საქართველოს რკინიგზაზე“ და საქართველოს შავი ზღვის პორტებზე შემცირდება და საჭიროა პროექტის ეკონომიკური კომპონენტის გადახედვა. სხვათა შორის, ამ საკითხზე ამ სტრიქონების ავტორი ჯერ კიდევ 2007 წლის დასაწყისში წერდა: „...ხომ არ გადააქცევს კონკურენციის თვალსაზრისით ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა ქართულ პორტებს ჩიხად ევრაზიული ტვირთების თურქული პორტებისკენ გადამისამართების შემთხვევაში? უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საფრთხე არსებობს...“ (სატრანზიტო დერეფნის უსაფრთხოება საქართველოში: გეოეკონომიკური ასპექტი. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი „ჯეპლაკი“. თბ. 2007 იანვარი. გვ.54).

„ლრაგირში“ დაბეჭდილი სტატიის ავტორების აზრით, დასავლეთისთვის კარგია(?!) ამ გზის ალტერნატივის გაჩენა. ასეთ ალტერნატიულ ნაბიჯადაა მიჩნეული აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის გახსნა, თუმცა არ არის ახსნილი, რა ალტერნატივა იქნება ჩრდილოეთ-სამხრეთის მარშრუტი, ანუ რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზა — დასავლეთ-აღმოსავლეთის, ანუ თურქეთ-აზერბაიჯანის მარშრუტისთვის. სტატიაში ავტორები ხომ თვითონვე მიუთითებენ აფხაზეთის მონაკვეთის საბოლოო მარშრუტს: რუსეთი-საქართველო-ირანი, ანუ შავი ზღვა-სპარსეთის ყურე, მომავალში, ინდოეთის ოკეანეზე ე.ი. რკინიგზის სამხრეთ აზიაზე შესაძლო გასვლით. ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა კი ხმელთაშუაზღვისპირეთს ე.ი. ევროპას კასპიისპირეთსა და ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. რა თქმა უნდა, ეს გზები ერთმანეთისთვის ალტერნატივა ვერ იქნება. უფრო პირიქით — დღეს საქართველო და აზერბაიჯანი არა ჩრდილოეთ-სამხრეთის, არამედ მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო დერეფნის საკვანძო რგოლებს წარმოადგენენ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დერეფანი მართლაც, არაეფექტიანად გამოიყენება, ვინაიდან ჩრდილოეთი-სამხრეთის მიმართულება, აფხაზეთის დაკეტილი მონაკვეთის გამო, შეჩერებულია.




## „შავი ზღვა-კასპიის სატრანსპორტო დერეფნის“ — „ტრასეკას“ (TRACECA) პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ „ტრასეკას“ ფარგლებში განხორციელებული გადაზიდვები აღმავალი დინამიკით ხასიათდება, საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალი მაინც არასრულადაა გამოყენებული. თუ 1990 წელს „საქართველოს რკინიგზის“ ტვირთზიდვა 50 მლნ ტონა იყო, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 18.9 მლნ ტონა, 2008 წელს – 21.2 მლნ ტონა, ხოლო 2011 წელს 20.1 მლნ ტონა შეადგინა. ამასთან, ძირითადად, სჭარბობს ბათუმისა და ყულევისკენ ნავთობპროდუქტების გადამისამართება. დერეფნის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლები სატრანზიტო მომსახურებიდან, მართალია, საშუალოდ, წლიურად 10 მლნ აშშ დოლარით იზრდება, მაგრამ რკინიგზის ტვირთზიდვის შარაშანდელი მაჩვენებლის, ომისდროინდელი — 2008 წლის ანალოგიურ ინდიკატორთან შედარებით, თითქმის ერთი მლნ ტონით შემცირება მართლაც საგანგაშოა.

ბუნებრივია, დღის წესრიგში დგას „საქართველოს რკინიგზის“ ინფრასტრუქტურის, მათ შორის აფხაზეთის მონაკვეთის სრულად გამოყენების საკითხი. კერძოდ, არსებული ინფრასტრუქტურა აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის შემთხვევაში, უმნიშვნელო რეკონსტრუქციის შედეგად, უკვე მზა ჩრდილოეთი-სამხრეთის დერეფნად გადაიქცევა. ამით „საქართველოს რკინიგზა“ რეგიონში უნიკალურია – ის, როგორც დასავლეთი-აღმოსავლეთის, ისე ჩრდილოეთი-სამხრეთის გადაკვეთას წარმოადგენს. აღნიშნული დერეფნების სტრუქტურა უკვე გულისხმობს არა მხოლოდ ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნას, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი „ტრასეკას“ პროგრამის ფარგლებში, არამედ მთელ რიგ ენერგეტიკულ პროექტებსაც, რომლებიც ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაციას ისახავს მიზნად. ასევე, ამ სტრუქტურაში უნდა მოიაზრებოდეს უკვე ბალტიის ზღვა-შავი ზღვის სარკინიგზო ქსელის — „ვაიკინგისა“ (**Viking**) და ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს ერთიანი სისტემის შექმნა, რაც ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ სისტემით, ევროპაში გაგზავნილი კასპიისპირეთის ენერგომატარებლები, რომელთა ნაწილი დღეს აზერბაიჯანი-საქართველოს რკინიგზით გადაიზიდება, სამხრეთკავკასიური მარშრუტით, ანუ ე.წ. მეოთხე დერეფნით ევროპისთვის გაგზავნილი ნახშირწყალბადები, რუსული ნავთობისა და გაზის კიდევ ერთ ალტერნატივად გვევლინება.

ამასთან, რუსეთს, ტრანსკავკასიური რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენით, დერეფნის ჩრდილოეთისკენ, ევროპისკენ გაგრძელება სურს. აღნიშნული ორი რეგიონული სატრანსპორტო მარშრუტის საქართველოს ტერიტორიაზე გადაკვეთა, რეგიონული სატრანსპორტო „ჰაბის“ შექმნის პოტენციალს შეიცავს. სწორედ ამ კუთხით შეიძლება ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა თბილისსა და მოსკოვს შორის.

საქმე ისაა, რომ რუსული სატრანზიტო მიმართულების პოზიციები საგრძნობლად დასუსტდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (**BTC**) მწყობრში ჩადგომის შემდეგ. მოგვიანებით, მას ბაქო-თბილისი-ერზერუმის ე.წ. სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (**SCP**) დაემატა, რომლის მშენებლობაც 2006 წლის ბოლოს დასრულდა. ამავდროულად, გაიზარდა მოთხოვნა ე.წ. მშრალი ტვირთებისა და კონტეინერების გადაზიდვებზეც. თურქეთისთვის ხელსაყრელია, ეს გადაზიდვები აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, სარკინიგზო ტრანსპორტით განხორციელდეს. თანაც, ეს მარშრუტი არ უქმნის კონკურენციას „ტრასეკას“. უფრო პირიქით — სპეციალისტთა გაანგარიშებით, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, წლიური ტვირთზიდვა „ტრასეკას“ ფარგლებში, 20 მლნ ტონით გაიზრდება. ამ პროექტის მაღალ ეფექტიანობას გულისხმობდა თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინ აცხადებდა, რომ „...პროექტი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო ყველა შემთხვევაში, განხორციელდება“.

ამ ფაქტს ვერავინ უარყოფს. კერძოდ, თავისივე მოსაზრების საპირისპიროდ, თურქეთ-აზერბაიჯანის გზის სომხეთის ინტერესებისადმი დაპირისპირების შესახებ, ზემოაღნიშნული „ლრაგირის“ სტატიის ბოლო ნაწილში ავტორები იძულებულნი არიან აღნიშნონ, რომ „...აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის შემთხვევაში, ყარსი-ახალქალაქი, დასავლეთისთვის საფრთხისშემცველი პროექტიდან(?!), შეიძლება, საკმაოდ პროდუქტიულ პროექტად იქცეს. მაგრამ აფხაზეთის რკინიგზას აქვს პერსპექტივა, რომ გადაიქცევა მთავარ არტერიად... აქ უკვე ირან-სომხეთის რკინიგზის პროექტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც სუფთა სომხური აღარ იქნება და არაა გამორიცხული, მისით საერთაშორისო ინვესტორებიც დაინტერესდნენ“. სტატიის ავტორები, მომავალში, სომხეთ-ირანის რკინიგზის რუსეთის რკინიგზასთან დაკავშირებას ფიქრობენ.

აღნიშნულის მსგავსად, თავისდაუნებურად, სომხეთის საერთაშორისო რეგიონულ პროექტებში ჩართვის „სანუკვარი“ სურვილი გააჟღერა ამას წინათ, „სამხრეთკავკასიური რკინიგზის“ (ყოფილი „ამიერკავკასიის რკინიგზის“ ერევნის განყოფილება, რომელიც ამჟამად, „როსსიისკიე ჟელეზნიე დოროგის“ საკუთრებაა) გენერალურმა დირექტორმა, ვიქტორ რაბთსმა. მისი განცხადებით, ირან-სომხეთს შორის სარკინიგზო მარშრუტით სასაქონლო გაცვლის მაჩვენებელი, რუსეთის სტატისტიკის უმაღლესი ცენტრის მიერ, უკვე დაანგარიშებულია (?!). მაღალჩინოსნის განცხადებით, აღნიშნული მარშრუტი მეტად მნიშვნელოვანია და არავითარ კონკურენციას არ უწევს ირანსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ სარკინიგზო მარშრუტებს. მართალია, მარშრუტის საბოლოო დანიშნულება სპარსეთის ყურეა, მაგრამ მას შავი ზღვისა და რუსეთის სამხრეთის მარშრუტების „დაფარვაც“ შეუძლია.

ამ განმარტებიდან ჩანს „ლრაგირში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორთა მიზანი. კერძოდ, აშკარაა, რომ „რუსეთის რკინიგზის“ საბოლოო დანიშნულების პუნქტია სამხრეთ აზია — ე.წ. თბილი ზღვები, რასაც რკინიგზით, ამჟამად, რუსეთიდან მხოლოდ აფხაზეთის გავლით შეიძლება მიაღწიო. ამავე მიზანს მოემსახურება სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, რუსეთის მხრიდან „საქართველოს რკინიგზის“ რაიმე ფორმით ხელში ჩაგდებაც. ეს მიზანი, ახლო აღმოსავლეთში ამჟამად მიმდინარე დაპირისპირების ფონზე, რუსეთისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გამორიცხული არ არის, საქართველოს რკინიგზისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდების სანაცვლოდ, მოსკოვმა „მოთოკოს თავისი ამბიციები“ და თბილისთან პოლიტიკურ დათმობებზეც წავიდეს.

როგორც ვხედავთ, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (**BTC**) ნავთობსადენზე და ბაქო-თბილისი-ერზერუმის (**BTE**) გაზსადენზე უფრო მნიშვნელოვანია: ნავთობი და გაზი 40-50 წლის განმავლობაში, შეიძლება ამოიწუროს, რეგიონული რკინიგზა კი მსოფლიო მნიშვნელობას დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს. ეს გზა სტამბოლთან, ბოსფორის ფსკერზე მშენებარე „მარმარაის“ გვირაბის საშუალებით, ევროპის სატრანსპორტო სისტემას აზიისას დაუკავშირებს. ამიტომაა, რომ სომხეთი ზრდის დიპლომატიურ აქტივობას და ცდილობს ყარსი-გიუმრი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის თურქეთის საზღვარზე 1993 წლიდან დაკეტილი მონაკვეთის ან აფხაზეთის რკინიგზის გახსნას, რასაც სავარაუდოდ, არ დაუშვებს აზერბაიჯანი.

ეს ერევანს მომგებიან პოზიციაში აყენებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში საზღვრების გახსნის შემაფერხებლად მოგვევლინება არა ყარაბაღის კონფლიქტი, არამედ აზერბაიჯანის მიერ რეგიონული მნიშვნელობის პროექტებზე უარის თქმა, იმ მიზეზით, რომ ტრანზიტული ტვირთი სომხეთის გავლით არ მოხვდეს აზერბაიჯანიდან აზიაში. ამდენად, აზერბაიჯანი მსოფლიო საზოგადოების თვალში საერთაშორისო ვაჭრობის დამაბრკოლებლად მოგვევლინება. ბაქოს „ხსნა“ მხოლოდ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის აგებაშია და ის არც ყარსი-გიუმრი-თბილისი-ბაქოს და არც ტრანსკავკასიური რკინიგზის (ეს სახელწოდება, შეიძლება, კომპრომისული გახდეს, როგორც მოსკოვის, ისე ერევნისა და თბილისისთვისაც) აფხაზეთის მონაკვეთის გახსნას მხარს არ უჭერს. რამდენად მომგებიანია ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა საქართველოსთვის?

## „სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს...“

გასული საუკუნის 90-იანი წლების პოპულარულ ქართულ ჰიტში დასმულ ამ კითხვას პასუხი 2007 წლის 7 თებერვალს, თბილისში ხელმოწერილი სამი ქვეყნის: საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის შეთანხმებით გაეცა — „ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს“ ლიანდაგს ევროპისკენ მივყავართ! ეკონომიკურად რამდენად მომგებიანი იქნება ჩვენთვის საქართველოსა და თურქეთის რკინიგზების დამაკავშირებელი ეს ხაზი?

*დასასრული მე-14 გვერდზე*



## ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე ორ ზვავს შორის მგზავრები მოყვნენ

ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე, რომელიც ჩრდილო ოსეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთთან აკავშირებს, ორ ზვავს შორის 15 ავტომობილი, მათ შორის ორი სამგზავრო მიკროავტობუსი მოყვა.

თვითმხილველების თქმით, სამგზავრო მიკროავტობუსები ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხრიდან მოძრაობდა და სანამ მათ რუსეთის საზღვრამდე მიღწევა შეძლეს, ორ ზვავს შორის აღმოჩნდნენ.

რუსული მედიის ცნობით, ამჟამად, ზვავებს შორის მოყოლილი ადამიანების ნაწილი უკვე სახლში ბრუნდება. თოვლისგან გზის გაწმენდა სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მოხერხდა.

ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე კვლავ რჩებიან ადამიანები, რომლებიც გზის გახსნას ჩრდილო ოსეთის მიმართულებით ელოდებიან.

*„მედიანიუსი“*

## „ამნისტიის შესახებ“ ვეტოდაძლეულ პროექტზე ხელმოწერის ვადა პრეზიდენტს 11 იანვარს ეწურება



ამნისტიის შესახებ კანონპროექტზე ვეტოს დაძლევის შემდეგ, მასზე ხელმოწერის 7-დღიანი ვადა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 4 იანვარს ეწურებოდა, თუმცა დასვენების დღეების გათვალისწინებით, ხელმოწერის საბოლოო ვადად 11 იანვარი განისაზღვრა.

როგორც „მედიანიუსს“ პარლამენტარმა, ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა, თუკი მიხეილ სააკაშვილი ამნისტიის პროექტის ხელმოწერაზე კვლავ უარს იტყვის, მას ხელს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოაწერს და 12 იანვარს გამოქვეყნდება: **„თუ ასე მოხდება, ეს იქნება პირველი კანონპროექტი ბოლო 9 წლის განმავლობაში, რომელიც ძალაში პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით შევა. მას ამის ვალდებულებაც აქვს და სურვილიც“.** შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა რიგგარეშე სესიის ბოლო დღეს — 28 დეკემბერს 91 მომხრით 24-ის წინააღმდეგ, პრეზიდენტის მიერ ამნისტიის შესახებ კანონპროექტზე დადებული ვეტო დასძლია.

მიხეილ სააკაშვილის ვეტოს მიზეზი ის გახდა, რომ ის კანონპროექტის ზოგიერთ მუხლს, მათ შორის, „ჯაშუშობასა და პედოფილიაში მსჯავრდებულების“ გათავისუფლებას არ ეთანხმება.

*„მედიანიუსი“*

## გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალულია

საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის და სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთებზე ინტენსიური თოვის, ზვავსაშიშროებისა და ქარბუქის გამო, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, შეზღუდვაა დაწესებული არაგვისპირი-გუდაური-(ფოსტა) და კობი-სტეფანწმინდას მონაკვეთებზე, სადაც აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. ამავე გზის ფასანაური-გუდაური(ფოსტა) მონაკვეთზე და კობი-სტეფანწმინდას მონაკვეთზე დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავოტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. არაგვისპირი-ფასანაურის მონაკვეთზე მოძრაობა თავისუფალია, გარდა მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებისა.

აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით ხორციელდება.

გზის დანარჩენ მონაკვეთებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

*„მედიანიუსი“*




**ექსპერტი**

# „ტრასეკას“ სომხური განზომილება, ანუ ვის აძლევს ხელს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა

*მე-13 გვერდიდან*

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საფრთხე არსებობს. უკვე დღეს, საქართველოს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანზიტული ტვირთების უმეტესობა სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იტვირთება და შესაბამისად, მცირდება ცენტრალური აზიიდან ფრახტის მოცულობა. „ტრასეკას“ პოტენციურად დაკარგული ტვირთზიდვა, სპეციალისტების შეფასებით, წლიურად, 15-20 მლნ ტონას შეადგენს. ქართულ პორტებში „საპორტო გადამუშავების“ მაღალი ღირებულების გამო, შავიზღვისპირა თურქულმა პორტებმა, რომლებშიც ინტენსიური სარეკონსტრუქციო სამუშაოები ახლახან დასრულდა, შეიძლება მოიგონ იმდენი, რამდენსაც დაკარგავს ოთხი ქართული პორტი – ბათუმი, ფოთი, სუფსა და ყულევი (ეს უკანასკნელი აზერბაიჯანული „სოკარის“ საკუთრებაა). ცენტრალური აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ ერთადერთ ქართულ გზას, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, დაემატება „ტრასეკას“ ალტერნატიული მიმართულება — ქ. ყარსის გავლით თურქული პორტებისკენ.

მართალია, „ტრასეკა“ ევროკავშირისთვის კასპიის ზღვამდე ტრანზიტის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა, არსებობს კიდევ ორი დერეფანი რუსეთისა და ირან-თურქეთის გავლით, რომელთა განვითარებაც გაერო-ს „სპეკას“ (**SPECA**) პროექტის ფარგლებში ხორციელდება. სატრანსპორტო ხაზები, რომლებიც რუსეთისა და ყაზახეთის გავლით უკავშირდებიან ირანისა და თურქეთის პორტებს, მუდმივად სრულყოფის პროცესშია. ეს პორტები უფრო მოქნილ სატარიფო პოლიტიკას ატარებენ, ვიდრე საქართველოს პორტები. ასე, მაგალითად, „ყირიმი-კასპიის“ ხაზზე შავი ზღვის მიმართულებით საექსპორტო ნავთობის ტანკერებით მიწოდებაში ქართული პორტების კონკურენციის გამო, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ 20 პროცენტით შეამცირა გადაზიდვების სატრანსპორტო ტარიფი. რომ არა ირანი-აშშ-ს დაპირისპირება და ახლო აღმოსავლეთის სხვა პოლიტიკური პრობლემები, ამ მიმართულებებს ქართული პორტებისთვის სერიოზული კონკურენციის გაწევა შეუძლიათ.

საქართველოს პორტებით, ძირითადად, აზერბაიჯანული და თურქმენული ნავთობპროდუქტები გადაიზიდება. თურქმენეთის წილი უმნიშვნელოა. 2006 წლის სექტემბრიდან აზერბაიჯანული ე.წ. მსუბუქი ნავთობიც (**Azeri Light**) „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის“ საბადოდან უკვე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით (**BTC**) გადაიტვირთება. მხოლოდ „ექსონ მობილი“ აგრძელებს თავისი ნავთობის (2.5 მლნ. ტონის) ბათუმიდან გაგზავნას, ანუ ბათუმიდან აზერბაიჯანული ნავთობის გადატვირთვა ორჯერ მცირდება, რადგანაც ე.წ. დიდი ნავთობი ჯერჯერობით, მხოლოდ აღნიშნული აზერბაიჯანული საბადოდან მოდის. -ის გამოკვლევის, „მსოფლიო ენერგეტიკის სტატისტიკური მიმოხილვის“ თანახმად, აზერბაიჯანის ნავთობის დამტკიცებული მარაგი 7 მლრდ ბარელს შეადგენს, რაც ბაქოს საექსპორტოდ, 40 წელი ეყოფა.

მეორე მხრივ, გარკვეული პრობლემებია ყაზახური ნავთობის გადატვირთვაშიც, რაც აზერბაიჯანის სატრანზიტო მაღალი ტარიფის გამო, 2010 წლიდან შეწყდა. ამ გზით გადატვირთული ნავთობის ძირითადი ნაწილი მოპოვებული იყო სამხრეთ ყაზახეთის „კუმკოლის“ საბადოზე, რომლის აქციები 2005 წლის ბოლოს შეისყიდა ჩინეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ (**CNPC**). 2006 წლის მაისში გაიხსნა ყაზახეთი-ჩინეთის ნავთობსადენი, რომლის შესავსებად სავარაუდოდ, მთელი „კუმკოლის“ ნავთობი იქნება საჭირო.

ძლიერდება კონკურენცია კასპიისპირა ნავთობისა და გაზის ტრანზიტული ნაკადებისთვის. ირანმა მოახდინა „კასპიის ზღვა-ნეკას“ მილსადენის რეკონსტრუქცია. ამასთან, ირანი მჭიდრო კავშირებს ამყარებს ყაზახურ, თურქმენულ ნავთობკომპანიებთან და მათთან ე.წ. სვოპ-ის კონტრაქტებს აფორმებს. დიდ სამუშაოებს ატარებს რუსეთიც, რომელმაც მოახდინა ქ. მახაჩყალის ნავთობტერმინალის გაფართოება, საიდანაც ხდება შეძენილი აზიური ნავთობის გადამისამართება.

ამიტომ, საქართველოს მთავრობას სატრანსპორტო კომუნიკაციების სფეროში, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის გარდა, კიდევ ახალი პროექტების მხარდაჭერა მართებს. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ტრასეკას“ და „ვაიკინგის“ გაერთიანება.

### ევროკავშირში „ტრასეკას“ და „ვაიკინგის“ პროექტების გაერთიანებაზე ალაპარაკდნენ

2012 წლის ოქტომბერში ბალტიის ქვეყნებიდან გაჟღერდა მოსაზრება „ტრასეკასა“ და „ვაიკინგის“ (**Viking** — ლიტვის, უკრაინისა და ბელორუსის რკინიგზების ერთიანი ქსელი, რომლითაც კლაიპედას პორტი ოდესას უკავშირდება) პროექტების გაერთიანებაზე წინადადებების მოსამზადებელი ჯგუფის ჩამოყალიბებაზე. „ვაიკინგი“ გამიზნულია ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაციისთვის რაც, სავარაუდოდ, საქართველოზე გამავალი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების დაჩქარებას უზრუნველყოფს.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გაერთიანების იდეა აზერბაიჯანისა და საქართველოს ინტერესებში შედის. მით უმეტეს, რომ უკვე დასრულდა წლიურად 17 მლნ ტონის გამტარიანობის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის საქართველო-აზერბაიჯანის მონაკვეთების აგება და დასასრულს უახლოვდება მაგისტრალის ყველაზე რთული — თურქული მონაკვეთის მშენებლობა. სავარაუდოდ, „ვაიკინგისა“ და „ტრასეკას“ გაერთიანებული სარკინიგზო ქსელი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზაზეც იქონიებს გავლენას.

საქართველომ, აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა ერთი წლის წინ გამოთქვეს „ვაიკინგის“ პროექტში ჩართვის სურვილი, „ტრასეკაში“ კი ეს ქვეყნები ისედაც მონაწილეობენ. „ვაიკინგის“ მარშრუტით გათვალისწინებულია ტვირთების, ძირითადად კონტეინერების, დასავლეთ ევროპიდან კლაიპედამდე, იქიდან რკინიგზით ოდესამდე გადატანა. შემდეგ მოხდება კონტეინერების შავი ზღვით, ერთი მხრივ, თურქეთისკენ და იქიდან, ახლო აღმოსავლეთისკენ გადაზიდვა. მეორე მხრივ კი — ბათუმისა და ფოთისკენ, იქიდან კი სომხეთისა და აზერბაიჯანისკენ გადამისამართება. მიუხედავად იმისა, კონტეინერები პირდაპირ, შავი ზღვის ქართულ პორტებში გადმოიტვირთება თუ ისინი თურქულ პორტებში მოხვდებიან — საბოლოოდ, მაინც ან „ტრასეკათი“ ან ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოთი სამხრეთ კავკასიაზე გაივლიან და ამიტომ, საქართველო „ვაიკინგის“ პროექტს, მისი დაწყების დღიდან უჭერს მხარს.

„ტრასეკას“ მსგავსად, „ვაიკინგის“ პროექტითაც ტვირთები ბაქოს გავლით, ყაზახეთში გადამისამართდება და იქიდან, უზბეკეთზე ტრანზიტის შემდეგ, ისევ ყაზახეთის სამხრეთში, ჩინეთის საზღვართან ახლოს, ქ. ალმატიში გადაიტვირთება. დასავლეთ ჩინეთიდან ტვირთები ამ ქვეყნის დასავლეთ-აღმოსავლეთის რკინიგზით შანჰაიში და პეკინში ჩავა. ექსპერტების აზრით, ამ პროექტის განხორციელების შედეგად:

ჯერ ერთი, „ვაიკინგი“ ბევრი პროექტის, მაგალითად „ტრასეკას“, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს და ა.შ. შემავსებლად მოგვევლინება;

მეორე, „ვაიკინგი“ მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთკავშირის განმტკიცებასა და ტრადიციული, პოსტსაბჭოთა კოოპერაციისგან თავის დაღწევას უზრუნველყოფს;

მესამე, სამხრეთ კავკასიის მარშრუტის გამოყენებით, „ვაიკინგი“ გახდება ე.წ. ევრაზიული სახმელეთო ხიდის – როტერდამიდან რუსეთისა და ყაზახეთის გავლით, ჩინეთის აღმოსავლეთ სანაპირომდე გადაჭიმული მარშრუტის წარმატებული კონკურენტი;

მეოთხე, ისევე, როგორც ბევრი პოსტსაბჭოთა სატრანსპორტო ან მილსადენის პროექტი, ამ პროექტსაც გეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვება – ის მაგალითად, აღნიშნული „ევრაზიული სახმელეთო ხიდის“ ან კლაიპედა-მოსკოვის „მერკურის ხაზის“, გვერდის აქცევას გულისხმობს;

მეხუთე, „ვაიკინგის“ პროექტით განსაზღვრული სასაზღვრო პროცედურების გამარტივება მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციას მონაწილე ქვეყნების უწყებებში.

ჩვენი ინფორმაციით, ზემოაღნიშნული სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობის იდეას აშშ-ც უჭერს მხარს. ეს სავარაუდოდ, რუსულ-ირანული ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნით თურქმენეთის სპარსეთის ყურის ქვეყნებთან დამაკავშირებელი „კასპიისპირა რკინიგზის“ დასრულებისა და ბაქო-რეშტი-ასტარას მონაკვეთზე მოსკოვისა და თეირანის გააქტიურების საპასუხოდ ხდება. ამავე კონტექსტში განიხილავენ ექსპერტები ბაქო-ბეიუკი-კიასიკის რკინიგზის მონაკვეთის რეკონსტრუქციისა და ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მშენებლობისთვის საქართველოსთვის შეღავათიანი კრედიტის გამოყოფის საკითხებს. ეს რკინიგზა თურქეთში 2013 წლის სექტემბერში ბოსფორის ქვეშ მშენებარე, 13.6 კმ-იან სარკინიგზო გვირაბ “მარმარაის” უნდა დაუკავშირდეს, რაც აზერბაიჯანსა და საქართველოს ევროპასთან პირდაპირ დააკავშირებს. ეს ხაზი პეკინი-ლონდონის „ახალი აბრეშუმის გზის“ დამამთავრებელი რგოლი იქნება.

პარალელურად, განიხილება ნახჭევანი-ყარსისა და კონსტანცა-თურქმენბაშის „შავი ზღვა-კასპიის სატრანსპორტო დერეფნის“ იდეა, რომელიც ა/წლის 11-12 ოქტომბერს, ქ. აშგაბატში რუმინეთისა და თურქმენეთის პრეზიდენტების მოლაპარაკებების მთავარი თემა იყო. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საუბარია ახალ, ევრაზიულ სატრანსპორტო დერეფანზე, მათ შორის თხევადი გაზის კონსტანცაში მიწოდებაზე. ნახჭევანი-ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე ანკარასა და ბაქოს შორის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თანაც ამ მაგისტრალისადმი დიდ ინტერესს იჩენს ირანიც. ეს რკინიგზა რომ არ დაუპირისპირდეს საქართველოზე გამავალ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს, როგორც კონკურენტი, აუცილებელია, მისი ასევე „შავი ზღვა-კასპიის სატრანსპორტო დერეფნის“, — „ტრასეკასა“ და „ვაიკინგის“ გაერთიანებული პროექტის ეგიდით განხილვა.

ყოველივე ამას ავსებს აშშ-ს ინიციატივა ავღანეთიდან თურქმენეთისკენ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ შავ ზღვამდე მისასვლელად. აღსანიშნავია, რომ აზიისა და კავკასიის დამაკავშირებელი გზა 130 წლის წინ არსებობდა „იმიერკასპიის რკინიგზის“, ანუ სამარყანდი-ჩარჯოუ-თურქმენბაშის ხაზის, ბაქომდე ბორანის და რკინიგზით ბათუმამდე და ყარსამდე მარშრუტის სახით.

ამრიგად, „შავი ზღვა-კასპიის სატრანსპორტო დერეფნის“ იდეა უკვე რეალურ სარკინიგზო პროექტებში მატერიალიზდება, რაც საქართველოს ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების მაღალ დონეს მოითხოვს. ამასთან, თუ „ვაიკინგის“ პროექტის მხარდამჭერი „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ არსი კანონის უზენაესობაში მდგომარეობს — „ტრასეკას“ უმთავრესი მიზანი ტრანსპორტირების სრულყოფაა. მაშასადამე, ამ ორი პროგრამის კოორდინირებით მოხდება „ვაიკინგისა“ და „ტრასეკას“ მთელი პოტენციალის სრულყოფილი გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალური აზიის ტვირთების მოსაზიდად, საქართველოს მთავრობამ, სასურველია, განახორციელოს ტრანსპორტის დარგის სახელმწიფო მხარდაჭერა. კერძოდ:

პირველ რიგში, „ტრასეკას“ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მუშაობის მუდმივად კოორდინაცია და მათთან შეთანხმებული სატარიფო პოლიტიკის გატარება (ამჟამად, რკინიგზის ტვირთზიდვის წინა წლებთან შედარებით შემცირება გარკვეულ ნეგატიურ პროცესებზე მიგვანიშნებს);

მეორე, ვინაიდან ფოთისა და ბათუმის პორტები 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული შპს-ებია, სახელმწიფოს ერთპიროვნულად შეუძლია, პარტნიორის უფლების გამოყენება და მათი საპორტო მომსახურების სატარიფო განაკვეთების გადახედვა, რათა ისინი თურქულ და რუსულ პორტებთან კონკურენტუნარიანები გახდნენ;

მესამე, აუცილებელია ჩვენი პორტების ტვირთბრუნვის დივერსიფიცირება: მათ სულ უფრო მეტად უნდა აინაზღაურონ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მწყობრში ჩადგომის შემდეგ, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების შემცირებით მოსალოდნელი ზარალი მშრალი ტვირთებისა და კონტეინერების გადაზიდვებით. ე.ი. სასურველია, ჩვენი შავი ზღვის პორტები დივერსიფიცირებულ სტრუქტურებად ჩამოყალიბდნენ.

# სპორტული 2012 წელი

## წლის მოვლენა, სკანდალები, წარმატებები

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენი ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი გახდა, წლის საუკეთესო ნაკრები კი — საქართველოს ეროვნული საკალათბურთო გუნდი.**

### საუკეთესო ათეული:

ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო);
ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა);
რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა);
დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა);
დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა);
მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა);
გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა);
ზაზა ფაჩულია (კალათბურთი);
მამუკა გორგოძე (რაგბი);
მანუჩარ მარკოიშვილი (კალათბურთი).

გადავხედოთ 2012 წელს, რომელიც საინტერესო და მრავალფეროვანი მოვლენებით დატვირთული გამოდგა. ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს გაგახსენებთ.

### წლის ტკივილი

2012 წლის 23 იანვარს, სიცოცხლეშივე ქართული ფეხბურთის ლეგენდადქცეული მერაბ მეგრელაძე 55 წლის ასაკში გარდაიცვალა მშობლიურ ოზურგეთში.

21 ივნისს, ღამის 2 საათზე, წეროვანში, საკუთარ აგარაკზე, მოულოდნელად ცუდად გახდა რამაზ შენგელია და 55 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე. იგი, უდავოდ, ქართული ფეხბურთის ლეგენდა და საუკეთესო თავდამსხმელი გახლდათ.

### წლის გუნდი



წლის გუნდი, ვასილ მაისურაძის მიერ გაწვრთნილი საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებია: მარტის ბოლოს, თბილისში გამართულ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტ რაუნდში ესპანეთთან 1:1 ითამაშა, ინგლისსა და უკრაინას 1:0 სძლია და „სიკვდილის ჯგუფიდან“ ყველაზე ნაკლებშანსიანი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, კონტინენტის 8 საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვდა.

საქართველოს ნაკრები ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის (4-16 მაისი, სლოვენია) მთავარი აღმოჩენა გახდა. ვასილ მაისურაძის გაწვრთნილებმა, ევროფინალი გერმანიასთან 0:1 მარცხით დაიწყეს, ფრანგებთან ფრედ — 1:1 დაასრულეს და ბოლო ტურში, ისლანდიას 1:0 სძლიეს. საფრანგეთი ჯგუფში ჩატოვეს და 4 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდნენ.

ნახევარფინალში ჰოლანდიასთან, მთავარმა არბიტრმა, რუმინელმა მატიუს ავრამმა გუნდი მე-17 წუთზე კაცნაკლული დატოვა. მაისურაძის გაწვრთნილები მეტოქეს არ შეეპუვნენ, მაგრამ ბოლოს, დაიქანცნენ და 79-ე და 81-ე წუთებზე გაშვებული გოლებით დამარცხდნენ 0:2.

ევროპის ჩემპიონი, ჩვენი მძლეველი ჰოლანდია გახდა, რომელმაც გერმანიასთან ფინალში, პენალტების სერიაში 5:4 გაიმარჯვა (ძირითადი დრო 1:1).

მარჯვენა მცველი ოთარ კაკაბაძე ევროპის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს.

### წლის მწვრთნელი

ცხადია, წლის მწვრთნელადაც ვასილ მაისურაძე დასახელდა, ფეხბურთის ფედერაციასთან დაპირისპირებული, ე.წ. ოპოზიციონერი მწვრთნელი და მიხეილ ყაველაშვილის ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი. დიდი ხანია, ასეთი გამართული ქართული გუნდი ქართველ გულშემატკივარს არ უნახავს. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალში დამარცხდა, გუნდმა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ულამაზესი ფურცელი ჩაწერა და გულშემატკივარს იმედი დაუბრუნა.

ინგლისთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, მაისურაძემ თქვა, ჩვენ დიდი მანქანა დავამარცხეთო და ასეცაა — საქართველოს ამ ნაკრებმა სამშობლოში შექმნილი გაჭირვების, ქაოსისა და უცოდინრობა-უპირობობის მანქანა დაამარცხა.



### წლის ნატურალიზებულები

აფრიკის თასზე ზამბიის ნაკრებმა გაიმარჯვა, რომლის შემადგენლობაშიც ზუგდიდის „ბაიას“ ყოფილმა ფეხბურთელმა, ჩისამბა ლუნგუმ ექვსივე შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და ოქროს მედალი დამსახურებულად მოიპოვა. 21 წლის ნახევარმცველი 2009-2011 წლებში ზუგდიდის „ბაიაში“ თამაშობდა, ხოლო ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში 2010 წლის 26-29 იანვარს, თურქულ სიდეში შეკრებაზე ავსტრიული „რაპიდისა“ და შვეიცარული „თუნის“ წინააღმდეგ ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და პირველი აფრიკელი გახდა, ვინც საქართველოს ფორმით ითამაშა. მაშინ ლუნგუ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს გამოთქვამდა, მაგრამ რუსეთის პირველი ლიგის ეკატერინბურგის „ურალმა“ ხელსაყრელი პირობები შესთავაზა და ნატურალიზაციისთვის გამზადებული ჩისამბა რუსეთში უკანმოუხედავად წავიდა.

ქართველი მედალს ამერიკის სახელითაც დაეუფლა: 1990 წელს ქუთაისში დაბადებული ქეთევან ხურციძე, რომელიც მსოფლიომ 18 წლის შემდეგ ელიზაბეტ სტოუნად გაიცნო, მოცურავეა და ამერიკის სახელით 2012 წელს, პარაოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

22 წლის ელიზაბეტ სტოუნი მარჯვენა ფეხის ქვედა ნაწილის გარეშე დაიბადა და მშობლებმა თავშესაფარში ჩააბარეს, სადაც იგი მიჩიგანელმა ფსიქოთერაპევტმა, ლინდა სტოუნმა ნახა, იშვილა და აშშ-ში ჩაიყვანა. მას შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

### წლის ნახტომი

„იბერია სტარი“ ფუტსალში ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირის, უეფა-ს თასის ოთხთა ფინალში გავიდა. თბილისში ჩატარებულ ელიტ რაუნდში საქართველოს ჩემპიონმა იტალიურ „ლუპარენსეს“ 6:1 მოუგო, უნგრულ „დიორ ეტოსთან“ 2:2 ითამაშა და გადამწყვეტ შეხვედრაში, მსოფლიო ფუტსალის ერთ-ერთი გრანდი, ლისაბონის „ბენფიკა“ 7:4 დაამარცხა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ჩვენი კლუბი ევროპის საუკეთესოთა შორის პირველად მოხვდა.

### წლის გამარჯვება

2012 წელს ყველაზე დასამახსოვრებელი გამარჯვება მილტონ ჰეიგის გაწვრთნილმა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მოიპოვა: ევროპის ერთა თასის 2012 წლის გათამაშებაში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეკრებილი 28 ათასი მაყურებელი გახდა მომსწრე, როგორ გაანადგურეს ბორჯღალოსნებმა რუსეთის ნაკრები 46:0.

ისტორიული წყენის, ტკივილისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ამ მოგებამ საქართველოს დიდი სიხარული მიანიჭა.

### წლის დავები

უკრაინასა და რუსეთში მოთამაშე ქართველები ხმაურიანი ამბების მონაწილეები გახდნენ. რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ ლაშა სალუქვაძისა და გოგიტა გოგუას წინაშე არსებული 7 თვის დავალიანებების დაფარვა დაავალა, მაგრამ „ვოლგას“ ადმინისტრაციამ მოთამაშეებს ხელფას-პრემიების ხარჯვის ანგარიში და საკონტრაქტოს (ეგრეთ წოდებული პადიომნის) უკან დაბრუნება მოსთხოვა. ეს აბსურდული მოთხოვნა რუსეთის საფეხბურთო კავშირმა დააკმაყოფილა, ნიჟნი ნოვგოროდის აღმასრულებელმა კომიტეტმა კი მოთამაშეებს საბანკო ანგარიშები დაუყადაღა. ლაშა სალუქვაძემ და გოგიტა გოგუამ კავშირში ახალი სარჩელი შეიტანეს და საბოლოოდ, მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

„საქმე 2“ ლვოვური აფერა იყო. „ზესტაფონის“ ნახევარმცველი მურთაზ დაუშვილი ლვოვის „კარპატიში“ ჩაირიცხა. უკრაინელებს „ზესტაფონისთვის“ 360 000-ევროიანი კომპენსაცია უნდა გადაეხადათ, მაგრამ მათ იოლი გზა აირჩიეს: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაუშვილის ტრანსფერი მეორე უკრაინულმა კლუბმა, პირველი ლიგის „ლვოვმა“ მოითხოვა, სადაც მურთაზს ერთი წამითაც არ უვარჯიშია. გათვლა მარტივი იყო — პირველი ლიგის კლუბი ნაკლებ კომპენსაციას, 60 ათას ევროს გადაიხდიდა.

აფერა იოლად გაშიფრეს, მაგრამ უკრაინულ კლუბი ფიფა-ს არ დაუსჯია, ხოლო „ზესტაფონმა“ კუთვნილი თანხა ვერ მიიღო.

### წლის ავანტიურა თუ რეალობა?

„საქართველო და აზერბაიჯანი შევთანხმდით, რომ უეფა-ში ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ჩატარებასთან დაკავშირებით, ერთობლივ განაცხადს წარვადგენთ“, — განაცხადა 7 მარტს, აზერბაიჯანის მილი-მეჯლისში საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა და ისეთი რეზონანსი გამოიწვია, ხალხს ყბა ჩამოუვარდა.




მერე გაირკვა, რომ ევროპის ჩემპიონატის 60 წლისთავთან დაკავშირებით, უეფა-ს მთავარი კონტინენტური ტურნირის 12 ქვეყანაში ჩატარება სურს. ამ კონტექსტში საქართველოს მასპინძლობა უფრო რეალურია.

### წლის სუპერსაჩუქარი

სენსაცია 30 ივნისს კიევში, უეფა-ს აღმასკომზე გაჟღერდა: 2015 წლის 12 აგვისტოს, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად, საქართველო უეფა-ს სუპერთასის მასპინძელი იქნება – მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

სუპერთასის ტრადიციული მასპინძელი მონაკო იყო, მაგრამ უეფა-ს აღმასკომის გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება. ფუტსალის გუნდის, „იბერია სტარის“ წარმატებას მეორე დიდი ნახტომი მოჰყვა: უეფა-მ ოთხთა ფინალის თბილისში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. ამ რანგის ტურნირისთვის საქართველოს არასოდეს უმასპინძლია, უეფა-მ კი საქართველოს დიდი სიხარული აჩუქა!

### წლის ტრანსფერი — კალაძე ჯენოადან პრემიერის გუნდში



ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებულმა მოთამაშემ, კახა კალაძემ კარიერა დაასრულა და პოლიტიკაში წავიდა.

„ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებულმა კალაძემ სამტრედიაში მაჟორიტარული არჩევნები მოიგო, დეპუტატი გახდა და მალე ენერგეტიკის მინისტრის პოსტი დაიკავა. წარმატებული წელი კალაძეს მაინც ჩაუშხამდა: „დინამო არენის“ ადმინისტრაციამ კახა კალაძეს გამოსამშვიდობებელი მატჩის გამართვაზე უარი უთხრა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „მილანი“ მზად იყო, 13 სექტემბერს საქართველოში გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში მონაწილეობა მიეღო.

### წლის კურიოზი

20 მაისს დასრულებული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი იყო ყველაზე კურიოზული, რაც კი სადმე და ოდესმე ჩატარებულა: ფოთში „კოლხეთის“ მძლეველი რუსთავის „მეტალურგიც“ ჩემპიონობას ზეიმობდა და საშინაო კედლებში მარტვილის „მერანის“ დამმარცხებელი „ზესტაფონიც“. გუნდებმა თანაბარი ქულები დააგროვეს და ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნდა მკაფიო დებულება, ვინ გამოეცხადებინა ჩემპიონად, თუმცა ორივე კლუბში იცოდნენ, რომ ჩემპიონის ბედი არა მოედანზე, არამედ კაბინეტში გადაწყდებოდა. საბოლოოდ, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ჩემპიონად „ზესტაფონი“ გამოაცხადა.

### წლის კაცი ლონდონის ოლიმპიადიდან



ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველომ 1 ოქროს და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თამაშები საქართველოს დელეგაციისთვის უიღბლოდ დაიწყო და ასევე დასრულდა: მოკრივემ აწონვა ვერ გაიარა, ველოსიპედისტმა შუა გზაზე გამოსვლა შეწყვიტა, სიგრძეზე მხტომელს სამი ცდიდან ერთიც არ ჩაეთვალა, ძიუდოისტთა უმრავლესობამ (თანაც მინიმუმ, მედლების კანდიდატებმა) ილეთი ვერ გააკეთა. ამას დაერთო ბეთქილ შუკვანის კრიმინალურ-პოლიტიკურ-საარჩევნო ისტორია, გია უდესიანსა და დელეგაციის ხელმძღვანელებთან ურთიერთობების გარჩევა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველო 39-ე ადგილზე გავიდა და ისეთი დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყნებს გაასწრო, როგორებიც არიან მექსიკა, ირლანდია, არგენტინა, სერბეთი, სლოვენია, ეგვიპტე, ესტონეთი, ბელგია, ფინეთი, ბულგარეთი, პორტუგალია, საბერძნეთი. მაგრამ მიზანი — „უკეთ, ვიდრე პეკინში“ — მიუღწეველი დარჩა. ერთი მხრივ, საქართველოს ოლიმპიადაზე 7 მედალი არასოდეს მოუპოვებია, მაგრამ პეკინში მოპოვებულ 3 ოქროს ეს 7 მედალი ვერ გადაწონიდა.

წლის სპორტსმენიც ამ თამაშებზე მოგვევლინა: ოლიმპიური ჩემპიონობა 20 წლის ქართველმა ძიუდოისტმა, ლაშა შავდათუაშვილმა იზეიმა. მან ოთხი შეხვედრა იპონით მოიგო.

### წლის წარმატება

საქართველოს ეროვნულმა საკალათბურთო ნაკრებმა ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევი ტურნირი ჩინებულად დაიწყო, არეულად გააგრძელა, მაგრამ ბოლოს, ზედიზედ მეორედ, ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

რაგბი და კალათბურთი, სპორტის ის იშვიათი გუნდური სახეობაა, რომელმაც ქართველი გულშემატკივარი ასეთი დონის ტურნირში გასვლით გაახარა.

### წლის სპორტული პოლიტგამოსვლა

პატიმრების წამების ფაქტებთან დაკავშირებით ხმა ქართველმა სპორტსმენებმაც აღიმაღლეს. გამორჩეულად მწვავე გამოდგა ზურაბ ხიზანიშვილის განცხადება.

საქართველოს ნაკრებისა და თურქული „კაისერის“ მცველმა, არც აცია, არც აცხელა, მიხეილ სააკაშვილის გადადგომა მოითხოვა და ბევრი ცნობილი სპორტსმენის მხარდაჭერა მოიპოვა.

### სპორტული პოლიტიკა

ხელისუფლების შეცვლამ „მიწისძვრა“ სპორტშიც გამოიწვია. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) სესიაზე გია ნაცვლიშვილს ხელახლა არჩევაზე უარი უთხრეს. სწორედ მაშინ თქვა ცნობილმა ძიუდოისტმა, მწვრთნელმა და აწ უკვე პარლამენტარმა შოთა ხაბარელმა — ქართული სპორტი პოლიტიზირებული „ნაციონალებმა“ გახადეთო! 20 დეკემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ ჩატარებულ სეოკ-ის არჩევნებზე, სეოკ-ის პრეზიდენტად, მომავალი ოთხი წლით, ლერი ხაბელოვი აირჩიეს.

### წლის მოთხოვნა

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სპორტული საკუთრების საკითხიც გამძაფრდა. ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბის, არნემის „ვიტესის“ მფლობელმა, მერაბ ჟორდანიამ თბილისის „დინამოს“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

კლუბის პირველი მფლობელებისთვის დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ 2001 წლიდან წამოიჭრა, როდესაც, ჟორდანიას თქმით, „დინამო“ ძალისმიერი ფორმით ჩამოართვეს.

თბილისის „დინამოს“ საპასუხო განცხადებაში ცხადი გახდა, რომ ახლანდელი მეპატრონე რომან ფიფია კლუბის დაბრუნებას არ აპირებს.

წესით, კვანძი 2013 წელს უნდა გაიხსნას.



# ჰოროსკოპი
## 9 იანვარი

***ვერძი*** — არც ისე ცუდი დღეა. საუკეთესო შედეგების მისაღწევად ამ ნიშნის წარმომადგენლებს აქტუალური პრობლემებით დაკავება მოგიწევთ. მომავალზე ფიქრის დრო ცოტა მოგვიანებით გექნებათ. შესაძლოა, წარმატება კარიერაში, თუმცა მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია, მაინც გსურთ ახალი შთაბეჭდილებების მიღება, ამიტომ თავგადასავლებისა და მოგზაურობისკენ ისწრაფვით.

***კურო*** — დღეს აღმოაჩენთ, რომ ყველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას, ენდეთ ინტუიციას. მოსალოდნელია უმიზეზო კამათი საყვარელ ადამიანთან. დღეს ძალიან გაგიჭირდებათ გარშემომყოფების გაგება, მაგრამ მეგობრებთან ურთიერთობა ნამდვილად არ გაწყენდათ.

***ტყუპები*** — საკმაოდ წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. ვისაც მსხვილ საყიდლებზე სურს წასვლა, სჯობს, თავი შეიკავოს, რადგან ამ მხრივ გაუთვალისწინებელი სირთულეები გელით. ემოციური ფონი სტაბილურია. კარგი ურთიერთობა გაქვთ ახლობლებსა და ნაცნობებთან. არც კამპანიაში დროის გატარება იქნება ურიგო — არ აქვს მნიშვნელობა, მასპინძლის როლში იქნებით თუ სტუმრისა.

***კირჩხიბი*** — ყველანაირად წარმატებული დღეა. არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ, უკლებლივ, ყველა წინააღმდეგობას გადალახავთ. ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ და ნურც დასკვნების გამოტანას იჩქარებთ — დამსახურებულ ჯილდოს აუცილებლად მიიღებთ. პირად ცხოვრებაში დღე მოულოდნელობებით აღსავსე იქნება. ნუ ეცდებით თქვენი რჩეულით მანიპულირებას: უფრო მეტს მიაღწევთ, თუკი მას პირდაპირ ეტყვით, რა გინდათ.

***ლომი*** — საქმიანი ურთიერთობებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. განსაკუთრებით კი, მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში გაემგზავრება. ხელფასის მომატების მსურველებსაც შესაფერისი დღე აქვთ — ასე რომ, ხელმძღვანელობას დაელაპარაკეთ. მოინახულეთ ძველი მეგობრები, მაგრამ გვიანობამდე ნუ დარჩებით გარეთ. შესაძლოა, ამან დაძაბოს ურთიერთობა ახლობლებთან.

***ქალწული*** — ქალწულებს დღეს ახალი შესაძლებლობები ეხსნებათ, რომლითაც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლონ. კოლეგები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს დიდად აფასებენ. შეგიძლიათ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობები გაამყაროთ, მოიპოვოთ მათი ნდობა, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

***სასწორი*** — ეს დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰპირდება მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც ყოველთვის შეუძლია. დღეს სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია — პოტენციურ პარტნიორებს სწორედ იქ შეხვდებით, სადაც გასართობად მიდიხართ. სამსახურში სიურპრიზებიც გელით — კოლეგასთან რომანის ან მსუბუქი ფლირტის სიტუაცია იკვეთება.

***მორიელი*** — წარმატებას თქვენი უნარის წყალობით მიაღწევთ, რაც უცნობ სიტუაციაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი. ნებისმიერი ადამიანის მოხიბვლა ადვილად შეგიძლიათ, მაგრამ ეს ხიბლი საყვარელ ადამიანზე არ მოქმედებს. უფრო მეტიც, ის თქვენს ხასიათში ნაკლს ეძებს. ამ სიტუაციას იუმორით შეხედეთ, რათა ეს ყველაფერი კამათსა და წყენაში არ გადაიზარდოს.

***მშვილდოსანი*** — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ. სამსახურის საქმე დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ. დღეს დიდია ალბათობა ახალი ნაცნობობის ან დიდი ხნის უნახავ ადამიანთან შეხვედრისა. შესაძლოა, სერიოზული რომანტიკული ურთიერთობის დაწყებაც. ვისაც საკუთარი არჩევანი ჯერ კიდევ აეჭვებს, სჯობს, პირად ცხოვრებაში ცვლილებებზე დაფიქრდეს.

***თხის რქა*** — თქვენთვის სასიამოვნო დღეა, კომფორტული და მშვიდი. ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც მოსალოდნელია. შესაძლოა, სადმე გაემგზავროთ და შედეგიც თქვენთვის სასიკეთო იქნება. არც პირადი ცხოვრება მოგცემთ შეშფოთების მიზეზს, თუნდაც იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ სფეროში მოსალოდნელი არ არის.

***მერწყული*** — ეკონომიური იყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფულოდ დარჩებით. ზედმეტი მფლანგველობის გამო, გარკვეული გეგმების განხორციელების გადადება მოგიწევთ. ეცადეთ, ამ მდგომარეობამ განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას მიჰყევით და წარმატებაც არ დააყოვნებს. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, შესაძლოა, დაიძაბოს — ეს მხოლოდ თქვენსა და თქვენს საქციელზეა დამოკიდებული.

***თევზები*** — არც ისე სასიამოვნო დღეა თევზებისთვის — მოსაწყენი. გარშემომყოფებთან ურთიერთობაც გიჭირთ. ბევრი რამის ინტერესს კარგავთ. შეეცადეთ, ახალი სფერო გამოძებნოთ: გაქვთ შანსი, მეტ წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა მოთმინებასა და კეთილგანწყობას მოითხოვს, მოგიწევთ აღიარება, რომ საყვარელ ადამიანს აქვს სისუსტის გამოვლენის უფლება, ზოგიერთი ნაკლი კი — გამოუსწორებელია.

## ამინდის პროგნოზი

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +1 | +7 |
| ქუთაისი | +5 | +4 |
| ბათუმი | +6 | +6 |
| სოხუმი | +7 | +6 |

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თელავი | +1 | +4 |
| გუდაური | -7 | -9 |
| ბაკურიანი | -8 | -11 |
| მესტია | -2 | -3 |








# ჰოროსკოპი

## 10 იანვარი

***ვერძი*** — დღის განმავლობაში თანდათან გაიზრდება თქვენი ინტერესი ამოუცნობი, რთული თემებისადმი. თქვენს ყურადღებას ექსპერიმენტები და კრიტიკული სიტუაცია მიიქცევს. წარსულს გადახედეთ ან მოემზადეთ რთული პრობლემების გადასალახად. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. პირად ურთიერთობებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, ამიტომ შეინარჩუნეთ ჩვეული, თბილი ურთიერთობა ახლობლებთან. საღამოს გატარება მეგობრების წრეშიც შეგიძლიათ.

***კურო*** — პარტნიორთან ურთიერთობისას ბაქიაობას ნუ დაიწყებთ, დღეს საკმაოდ ემოციური ხართ, დიდია ალბათობა, რომ თქვენი პარტნიორიც ამ მდგომარეობაში იქნება. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას. ვიდრე ვინმეს ბრალს დასდებთ, საკუთარი საქციელი შეაფასეთ. დღე კარგია ქველმოქმედებისთვის, თუმცა დღის მეორე ნახევარი საკუთარ თავს დაუთმეთ — გაიარეთ მაღაზიებში ან სილამაზის სალონს ესტუმრეთ.

***ტყუპები*** — დღეს არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გეგონათ. ყოველ შემთხვევაში, მატერიალურმა მხარემ, შესაძლოა, ურთიერთობებში პრობლემები შეგიქმნათ. გაწეულ სამსახურზე მადლობას თუ არ გეტყვიან, ნუ განაწყენდებით. დღეს ემოციები უფრო სჭარბობს, ვიდრე რაციონალური და ადეკვატური რეაქცია. ცოტა დაბნეულიც ხართ და თავი შეიკავეთ საქმიანი გარიგებებისგან. დღის მეორე ნახევარში თავს გართობის უფლება მიეცით, მხიარულ წვეულებასაც ნუ გამოტოვებთ.

***კირჩხიბი*** — დღეს გადაწყვიტეთ, რომ სრული უფლება გაქვთ, მოეშვათ და სიამოვნება მიიღოთ. შესაძლოა, ბევრ რამეში მართალი იყოთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ბევრი „ტკბილი“ მავნებელია. შეეცადეთ, ზომიერი იყოთ ალკოჰოლთან მიმართებაში. თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია ბიზნესთან, დღეს ფრთხილად მიუდექით ხარჯებს. საღამოს მეგობრების წრეში, სადმე გაისეირნეთ და ხმაურიან წვეულებაზეც ნუ იტყვით უარს.

***ლომი*** — დღეს არ ღირს ყველაფერში ეკონომია. სჯობს, ახლობლები საჩუქრებითა და სურვილების ასრულებით გაანებივროთ, თუმცა ზედმეტი არ მოგივიდეთ. ამ დღეს ხშირია ხასიათის რადიკალური ცვალებადობა, მაგალითად, სიხარული მოულოდნელად, შეიძლება, წყენით შეგეცვალოთ. კარგი დღეა ახალი საქმის წამოწყებისთვის, შორეული მოგზაურობის დასაგეგმად. დღის მეორე ნახევარი კი, შეეცადეთ, ახლობლების წრეში გაატაროთ, თქვენი ყურადღება მათ ყოველთვის სიამოვნებს.

***ქალწული*** — დღის მანძილზე დიდი ალბათობაა ახალი, მოულოდნელი ნაცნობობისა. შესაძლოა, ისეთი ადამიანი გაიცნოთ, ვინც არ იმსახურებს თქვენს ნდობას. მოსალოდნელია ცრუ ინფორმაციის მიღებაც, რაც ხასიათს გაგიფუჭებთ. ყოველდღიური რუტინა გაგიძნელდებათ, რადგან სიზარმაცე და ოცნებით გატაცება წაგართმევთ დროს. ამ დღეს სასურველი არ არის ახალი ხელშეკრულებების გაფორმება. საღამოს, სჯობს, შინ დარჩეთ და დრო ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ.

***სასწორი*** — კარგი დღეა თანამოაზრეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის. დაგეგმეთ ამ დღეს ახლო მეგობრებთან ერთად პიკნიკი, ანდა რომანტიული ვახშამი. დღე არაპროდუქტიულია მუშაობისთვის. შეეცადეთ, ეს დრო დასვენებისა და გართობისთვის გამოიყენოთ, რათა მომდევნო დღეებისთვის ენერგია აღიდგინოთ.

***მორიელი*** — თქვენი მისწრაფება კომფორტისა და სიამოვნებისკენ ძალიან დიდია. მთელი დღე, შესაძლოა, ეიფორიასა და რაღაც აღმაფრენაში გაატაროთ. ვარსკვლავებიც გირჩევენ, თვითკონტროლი მოადუნოთ და დღეს უარი თქვათ სამუშაოზე. იყავით თამამი და თავს მეტის უფლება მიეცით, ვიდრე სხვა დროს, თუმცა ზედმეტი ემოციურობის გამოვლენაც არასასურველია. კარგი დღეა შენაძენისთვის — სახლისთვის რაიმე ლამაზი ნივთი იყიდეთ. დღის მეორე ნახევარში დიდია ალბათობა რომანტიული შეხვედრისა.

***მშვილდოსანი*** — დღეს გაიზრდება სასიამოვნო შთაბეჭდილებების მიღების ალბათობა. ემოციების დამალვასაც ვერ ახერხებთ, თუმცა ცდილობთ, საქმეში ცოტა ეშმაკობა ჩართოთ, მხოლოდ შეეცადეთ, ეს თვისებები კეთილი საქმეებისკენ მიმართოთ და არა, სხვადასხვა მაქინაციების განსახორციელებლად. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რის უფლებას მოგცემთ სინდისი. დღეს იზრდება ალბათობა იმედგაცრუებისა. სასურველია, დრო ხელოვნებას დაუთმოთ, კულტურულ ცხოვრებას ეზიაროთ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ, მეგობრებთან ერთად.

***თხის რქა*** — დღის განმავლობაში თანდათან იზრდება ინტერესი რთული და დაფარული თემებისადმი. თუ რაიმეს გამოძიებას დაიწყებთ, იმედგაცრუებისთვისაც მოემზადეთ, რადგან წინ დაბრკოლებები გელით. ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე საოჯახო საქმეებს მოახმაროთ, სამსახურში კი ძნელად გადასაჭრელი პრობლემები სხვა დროისთვის მოიტოვეთ. საღამო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. დიდია ალბათობა ახალი ნაცნობობისა და რომანტიული ურთიერთობის ჩასახვისა.

***მერწყული*** — შეეცადეთ, გულთან ახლოს არ მიიტანოთ უფროსობის მოსაზრებები და განწყობა. ყველაფერი, რაც გსურს, ვერ ასრულდება, ამიტომ დიდად ნუ განერვიულდებით. გაავლეთ ზღვარი რეალობასა და თქვენს ფანტაზიებს შორის. კარგი დღეა ახალი საქმეების წამოსაწყებად, მხოლოდ თანამოაზრეების მოძებნა უნდა შეძლოთ. ამ საქმეში ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან. კარგი იქნება, თუ დღის მეორე ნახევარს საკუთარ თავზე ზრუნვას დაუთმობთ — გაიარეთ მაღაზიებში და თავს საჩუქარი გაუკეთეთ, ანდა სილამაზის სალონს ესტუმრეთ.

***თევზები*** — გახსოვდეთ, რომ თქვენი ფინანსების განკარგვა მხოლოდ თქვენი პრეროგატივაა და კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩარევის უფლებას ნაკლებად მისცემთ ვინმეს. მატერიალურ საფუძველზე წარმოქმნილი გაღიზიანება თქვენს შრომისუნარიანობაზეც უარყოფითად აისახება. ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად, სჯობს, სახიფათო ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავოთ. საღამოს გატარებას ვარსკვლავები მყუდრო გარემოში გირჩევენ, ამიტომ სჯობს, შინ დარჩეთ, ან დრო ახლო მეგობრების წრეში გაატაროთ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 8 | 5 | | | 4 | 2 | |
| | | | | 6 | | 8 | | |
| | | | | | | | | 3 |
| 5 | | 6 | | 4 | | | | |
| | 2 | 1 | 9 | | 7 | 6 | 8 | |
| | | | | 2 | | 5 | | 7 |
| 9 | | | | | | | | |
| | | 4 | | 1 | | | | |
| | 6 | 3 | | | 5 | 2 | 1 | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | | 4 | 3 | | | | |
| | | 9 | | | | 4 | | |
| | | 2 | | | 6 | | 1 | |
| | 9 | | 8 | 6 | | | | |
| 8 | | | | | | | | 3 |
| | | | | 2 | 1 | | 7 | |
| | 8 | | 7 | | | 3 | | |
| | | 5 | | | | 6 | | |
| | | | | 8 | 4 | | 2 | 1 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | 2 | | 3 | 1 |
| | | 3 | 9 | | 5 | | 4 | |
| | | | | 3 | | 8 | | |
| | 2 | | | | 8 | | | 4 |
| | | 7 | | | | 6 | | |
| 6 | | | 5 | | | | 2 | |
| | | 2 | | 8 | | | | |
| | 1 | | 7 | | 6 | 2 | | |
| 7 | 9 | | 2 | | | | 8 | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 4 | | 6 | 3 | 1 | |
| | | | 8 | | 3 | | | |
| 5 | | | 7 | | | 2 | | |
| 4 | | | | | 7 | 6 | | |
| | | | | 3 | | | | |
| | | 5 | 2 | | | | | 7 |
| | | 6 | | | 4 | | | 1 |
| | | | 1 | | 2 | | | |
| | 2 | 4 | 3 | | 8 | 7 | | |

## დღესასწაულზე მიღებული სასმელი სასარგებლოა



როგორც ცნობილია, საახალწლო დღესასწაულების პერიოდში მკვეთრად იზრდება ალკოჰოლის მოხმარება. მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსები ბევრი სასმელის მიღების მავნებლობაზე გვაფრთხილებენ, მეცნიერები მათ არ ეთანხმებიან: სწავლულების მოსაზრებით, ალკოჰოლს შეუძლია, ორგანიზმზე სასარგებლო გავლენა იქონიოს. მაგალითად, ამერიკელმა მკვლევარებმა ილინოისის უნივერსიტეტიდან აღმოაჩინეს, რომ ადამიანები, ვინც დღეში ერთ ლიტრ ლუდს მაინც სვამენ, 40%-ით უკეთ აზროვნებენ. ისიც გაარკვიეს, რომ ალკოჰოლის მოხმარება სუსტი სქესის წარმომადგენლებს ჭარბი წონისგან იცავს. მეცნიერთა მტკიცებით, ვინც დღეში ერთ-ორ ბოკალ წითელ ღვინოს მიირთმევს, 30%-ით ნაკლებადაა მიდრეკილი სიმსუქნისადმი. აღმოჩნდა, რომ ალკოჰოლი ზოგიერთი დაავადების განვითარებასაც უშლის ხელს. მაგალითად, ქერი ლუდში შეიცავს ნივთიერება გუმულონს, რაც პნევმონიის წარმოქმნას ეწინააღმდეგება. მზის მავნე სხივებისგან კი კანს წითელ ღვინოში არსებული ფლავონოიდები იცავს. ერთი ჭიქა ღვინო ორგანიზმში ესტროგენისა და სხვა ჰორმონების გამომუშავებასაც უწყობს ხელს, რაც ძვლების ჯანმრთელობისთვის არის საჭირო. დაბოლოს, ზომიერი რაოდენობით სასმელის მიღება დღეგრძელობას მოგიტანთ. ჰარვარდელი სწავლულების გამოკვლევების მიხედვით, ღვინის მოყვარულებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე ლუდის ან ლიქიორის მომხმარებლებში ან საერთოდ, არამსმელ ადამიანებში.

## ყავა კაცებში ინტელექტს აქვეითებს

ინგლისელმა ფსიქოლოგებმა, ფინჯანი ყავის მოხმარებისას ქალისა და მამაკაცის ქცევას შორის განსხვავება დაამტკიცეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ამ გამამხნევებლები სასმლის გავლენა საშუალებას აძლევდა, სტრესულ სიტუაციაში ოპერატიულად და ეფექტურად ემოქმედათ, მამაკაცებს კი, პირიქით, ყავა ხელს უშლიდა, ეფიქრათ ლოგიკურად, მიეღოთ სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებები. სპეციალისტებმა ექსპერიმენტში 64 მოხალისე მიიწვიეს, ისინი 32 თანატოლ წყვილად დაყვეს. თითოეულ ადამიანს ოთხი ტესტი ელოდა. მანამდე კი, მათგან 16 წყვილს ფინჯანი ყავა დაალევინეს, დანარჩენმა მოხალისეებმა კი უკოფეინო სასმელი მიიღეს. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ყავის გავლენით, ქალებმა შეძლეს, დავალებას სხვებზე 100 წამით ადრე გამკლავებოდნენ. რაც შეეხება კაცებს, მათი რეაქცია სხვებისას 20 წამით ჩამორჩებოდა, მეხსიერების ტესტში კი სრული ჩავარდნა ჰქონდათ. ამგვარად, სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ყავის დალევა ადუნებს მამაკაცის ინტელექტს. სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის კი ეს სასმელი სასარგებლოა: ყოველდღიურად 4 ფინჯანი გამამხნევებელი, „ღვთიური სითხე“ საშვილოსნოს ყელის კიბოს ააცილებს, ვინც დღეში 2-3 ფინჯანს მიირთმევს, მათ 15%-ით ნაკლებად უტევს დეპრესია, ვიდრე იმ ქალებს, ვინც იშვიათად სვამს ან საერთოდ არ ეკარება ყავას.



## მძღოლი ქალებისთვის ფეხსაცმელი შექმნეს

ესპანელმა ბიზნესმენმა, რაფ გილიემმა მშვენიერი სქესის წარმომადგენელი მძღოლებისთვის საგანგებო ფეხსაცმელი შექმნა. საკუთარ ქმნილებას ავტორმა **Nubhes** უწოდა. ახალი ტიპის აქსესუარის წარმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც აღმოაჩინა, რომ ქალისთვის განკუთვნილი ყველა ფეხსაცმელი, განსაკუთრებით კი ქუსლიანი, მანქანის სამართავად მეტად მოუხერხებელია. მიუხედავად იმისა, რომ მანდილოსნებს ავტომობილში ხშირად მოეძებნებათ სათადარიგო, მართვისთვის შესაფერისი ფეხსაცმელი, გილიემი მიიჩნევს, რომ საჭესთან ისინი მაინც შეუფერებელია. ახალი **Nubhes** კი ძალიან მსუბუქია, მეტი კომფორტისთვის მას თასმები არ აქვს, ქუსლებსა და ფეხის წვერებზე კი უხეში საფენები აქვს მიმაგრებული. ფეხის ფიზიკური დატვირთვისას ფეხსაცმელი მაქსიმალურად განტვირთავს ქვედა კიდურებს. ქალბატონები, რომელთაც მანქანაში უკვე მოირგეს **Nubhes**, აცხადებენ, რომ ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს საჭესთან საშინაო ჩუსტებით ისხდნენ.






## რუმინელებს ყჩვეყლო სასაფლაო აქვთ

რუმინეთის პატარა სოფელ საპანტაში მსოფლიოში ყველაზე „მხიარული“ სასაფლაოა. მისი განსაკუთრებულობა, რაც წელიწადში ათასობით ტურისტს იზიდავს, მისი ფერადოვნებაა. სოფლელებმა, რომელთაც აქ საყვარელი ადამიანები მიაბარეს მიწას, მათი უკვდავყოფა გამორჩეული მეთოდით მოახერხეს: ყველა საფლავი ფერადია, ნახატებზე კი გარდაცვლილები იმ ვითარებაში არიან ასახულნი, რამაც მათი გარდაცვალება გამოიწვია. ხის საფლავებს მიცვალებულისადმი მიძღვნილი სახალისო ეპიტაფიაც ახლავს. სასაფლაოზე, ძირითადად, ლურჯი ფერი — თავისუფლებისა და იმედის სიმბოლო სჭარბობს. საპანტელები დარწმუნებულები არიან, რომ ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც ნახავს ამ სასაფლაოს, რადიკალურად შეიცვლის აზრს გარდაცვალებაზე და სიკვდილის შიშიც გაუქრება.

# მთვრალი ბრიტანელები ქუჩაში იძინებენ

ნისლიან ალბიონზე, პირველი იანვრის ღამეს მთვრალი, ნახევრადშიშველი მამაკაცები და ქალები ტროტუარებზე იყვნენ მიმოფენილნი. წლის პირველი დღეების ვარსკვლავი პოლიციის ოფიცერი გახდა, რომელსაც სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ პირდაპირი რეპორტაჟი მიჰყავდა ქუჩებიდან. გაერთიანებულ სამეფოში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, სადაც ახალი წლის აღნიშვნა ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებითა და შედეგად, ქუჩებში ჩხუბითა და დებოშით არ აღინიშნა. ადგილობრივმა პრესამ კი მთვრალი ბრიტანელების ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებიც ან ტროტუარებზე იწვნენ, ანდა ქუჩაში ხოხავდნენ. საკუთარ მიკრობლოგზე პოლიციის ოფიცერმა საკმაოდ ხატოვნად აღწერა დღესასწაულის ღამე, როგორ აწყობდნენ დებოშს მთვრალი ბრიტანელები და როგორ მოიხმარდნენ ნარკოტიკს. პოლიციის განყოფილებაში გამოფხიზლებულ წესრიგის დამრღვევების უმრავლესობას ალბათ შერცხვება საკუთარი საქციელის, რადგან საკუთარი ცხოვრება ერთი უაზრო მოქმედებით დაანგრიესო, — წერს პოლიციელი სოციალურ ქსელში.



# ნარინჯისფერი ხილ-ბოსტნეული ძვლებს იცავს

ნარინჯისფერი შეფერილობის ხილისა და ბოსტნეულის საკვებად გამოყენება ძვლების მოტეხილობის რისკს ამცირებს. განსაკუთრებით ეფექტური ასეთი პროდუქტის მიღება ხანდაზმული ადამიანებისთვის არის. შესაბამისი კვლევა ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს. მიღებული შედეგების თანახმად დადგინდა, რომ გამხდარ და ხანშიშესულ ადამიანებში საკმაოდ მაღალია ბარძაყის ძვლის მოტეხილობის საშიშროება. სწავლულების მტკიცებით, ნარინჯისფერი საკვები, რომელიც დიდი რაოდენობით კაროტინს შეიცავს, ამ რისკს საგრძნობლად ამცირებს. კვლევების თანახმად, ახალი უჯრედების ზრდისთვის და დაბერების პროცესის შესაფერხებლად აუცილებელია „ა“-ვიტამინი, რომელსაც ორგანიზმი კაროტინოიდებით (ბუნებრივი ორგანული პიგმენტი) გამოიმუშავებს. ამ ნივთიერებას უხვად შეიცავს სტაფილო, ციტრუსი და სხვა ნარინჯისფერი ხილ-ბოსტნეული.





# ახალი წელს მაღაზიაში შეხვდა

საფრანგეთში, ქალაქ რუბეს მცხოვრები, 73 წლის ქალბატონი ახალი წლის ღამეს სუპერმარკეტში ჩაკეტილი აღმოჩნდა. ბოლო კლიენტი უბრალოდ, ვერ შენიშნა მაღაზიის დაცვამ. შენობაში შესულმა ქალმა თავი შეუძლოდ იგრძნო და ტუალეტში წავიდა, როცა იქიდან გამოვიდა, აღმოაჩინა, რომ სუპერმარკეტში მარტოდმარტო, ჩაკეტილი იყო. ფრანგმა ქალბატონმა სპეციალური ღილაკის მეშვეობით, არაერთხელ გამოიძახა დაცვა, მაგრამ მათ ვერაფრით გააგონა. ის მხოლოდ დილით აღმოაჩინეს. ხანშიშესული ქალბატონი მაშინვე საავადმყოფოში გაგზავნეს გამოსაკვლევად.

# გულით დაავადებულებს ცეკვას ურჩევენ

როგორც აღმოჩნდა, არგენტინული ტანგო არა მხოლოდ ულამაზესი ცეკვაა, არამედ კურნავს კიდეც. ბუენოს-აირესის ერთ-ერთ კლინიკაში ავადმყოფებს სამკურნალოდ ცეკვას ურჩევენ. ამ საავადმყოფოში მოცეკვავეები პაციენტები არიან, რომლებიც ინფარქტისა თუ გულზე გადატანილი ოპერაციების შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადიან. სამკურნალო ცეკვების შემმუშავებელი ექიმი-კარდიოლოგი ალბერტო მარანი მიიჩნევს, რომ ტანგო სასიკეთო გავლენას ახდენს კორონარულ არტერიებზე ისევე, როგორც ფეხით სეირნობა ან სირბილი. ცეკვებით რეაბილიტაციის კურსი დიდი პოპულარობით სარგებლობს. საცეკვაო კლინიკის კარი ღიაა გულის დაავადებების მქონე ყველა პაციენტისთვის.





# ვირზე ჯდომისთვის გაასამართლებენ

ბრაზილიური ქალაქის, პასა-სეტის ახალ მერს, ვანდერლეი ბატისტას იმის გამო გაასამართლებენ, რომ საკუთარ ინაუგურაციაზე ვირზე ამხედრებული მივიდა. მოსამართლე ქალაქისთავს 250-დოლარი ჯარიმით ემუქრება. ბატისტამ ვირი ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიისას გამოიყენა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მისმა ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ ვანდერლეი უზრდელობაში დაადანაშაულა და მას **burro** უწოდა, რაც პორტუგალიურად „ვირსა“ და „იდიოტს“ ნიშნავს. ბატისტა არ განაწყენებულა ამ შეურაცხყოფაზე, პირიქით, ეს ცხოველი საკუთარი საარჩევნო კამპანიის სიმბოლოდ აქცია. პოლიტიკოსმა მაისურები გამოუშვა ვირის გამოსახულებით და პირობა დადო, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მერის თანამდებობაზე ქალაქის ადმინისტრაციაში მასზე ამხედრებული მივიდოდა. ინაუგურაცია წლის პირველ დღეს შედგა. ახალმა ქალაქისთავმა სიტყვა შეასრულა და ლამის, მთელი დასახლება ვირზე შემჯდარმა გაიარა. პასა-სეტის მოსამართლემ პროკურატურისგან მერის წინააღმდეგ საქმის აღძვრა მოითხოვა და ის წესრიგის დარღვევაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ვირზე ჯდომამ დემოკრატია შეურაცხყო.





# ალილო 2013










იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com



® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით